კარი II. ძველი აღმოსავლეთი და საქართველო

თავი I. ძველი ეგვიპტე

1. რამდენ ხანს იარსება ეგვიპტემ, როგორც უძველესი სამდინარო ცივილიზაციის ერთ-ერთმა კერამ?
ა) თითქმის ოთხი ათასწლეულის განმავლობაში;
ბ) სამი ათასწლეულის განმავლობაში;
გ) მისი არსებობა შეწყდა ახ. წ. X საუკუნეში არაბების დაპყრობის შემდეგ;
დ) ეგვიპტის უძველესი ცივილიზაცია დღესაც განაგრძობს არსებობას.

2. ძირითადად, რითი იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ უძველესმა ეგვიპტურმა ცივილიზაციამ რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში შეძლო არსებობა?
ა) ეგვიპტემ შეძლო იმ დროისათვის უძლიერესი რეგულარული არმიის შექმნა;
ბ) ეგვიპტემ შექმნა საკუთარი საზოგადოების სოციალური ორგანიზებისა და სახელმწიფო მართვის პროგრესული მოდელი;
გ) ეგვიპტე დანარჩენი სამყაროსგან შედარებით იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობით იყო დაცული;
დ) ძველი ეგვიპტის არსებობის საწყის ათასწლეულებში მსოფლიოში არ არსებობდა მასზე ძლიერი ექსპანსიონისტური სახელმწიფო.

3. რა წარმოადგენს ძველი სამყაროს ქრონოლოგიის დასადგენად ერთ-ერთ უძველეს საშუალებას?
ა) ეგვიპტური მასალა-პაპირუსი;
ბ) ეგვიპტური ქვის სტელები;
გ) ხეთური ბილინგვები;
დ) ელინური პერგამენტები.

4. როდის მოხდა ნილოსის ნაპირებზე არსებული დასახლებების გაერთიანება სამეფოებად?
ა) ძვ.წ. III ათასწლეულში ნილოსის დელტაში არსებული დასახლებები გაერთიანდნენ ორ-ჩრდილოეთ და სამხრეთ სამეფოებად;
ბ) ძვ. წ. V ათასწლეულში ნილოსის დელტაში შეიქმნა ერთი ცენტრალიზებული სამეფო, რომელმაც გააერთიანა სანაპირო ზოლში განლაგებული დასახლებები;
გ) ძვ. წ. IV ათასწლეულში ნილოსის ნაპირებზე განლაგებული დასახლებები გაერთიანდნენ ჯერ ორ სამეფოდ, ხოლო შემდეგ ერთ სახელმწიფოდ;
დ) ძვ.წ. IV ათასწლეულში ნილოსის დელტაში შეიქმნა ქვემო, ანუ ჩრდილოეთის სამეფო, ხოლო, ერთი ათასწლეულის შემდეგ ჩამოყალიბდა ზემო,ანუ სამხრეთის სამეფო.

5. რომელი სამეფოები შეიქმნა ნილოსის ნაპირებზე განლაგებული დასახლებების გაერთიანების შედეგად ძვ.წ. IV ათასწლეულში?
ა) ქვემო (ჩრდილოეთის) და ზემო (სამხრეთის) სამეფოები;
ბ) აშურისა და აქადის სამეფოები;
გ) ჩრდილოეთში ეგვიპტისა და სამხრეთში აშურის სამეფოები;
დ) თებესა და მემფისის სამეფოები.

6. რა ძირითადი დანიშნულება ჰქონდა ძველი ეგვიპტელების მიერ აგებულ არქიტექტურულ კონსტრუქციას - პირამიდას?
ა) პირამიდა წარმოადგენდა ქურუმების სავანეს, სადაც აღესრულდებოდა რელიგიური რიტუალები და ხდებოდა მსხვერპლშეწირვა;
ბ) პირამიდა იყო საგანმანათლებლო დანიშნულების ნაგებობა, რომელშიც ფარაონის ოჯახის წევრები შეისწავლიდნენ მეცნიერების მიღწევებს;

გ) პირამიდა წარმოადგენდა ფარაონების სამარხს;
დ) პირამიდა გამოიყენებოდა ჯერ მეფეების, ხოლო, შემდგომ კი ფარაონების ძირითად რეზიდენციად.

7. ნილოსის აღმა მდებარე რომელ ქვეყანას ესხმოდნენ ხშირად თავს ეგვიპტელები სახელმწიფოს არსებობის საწყის პერიოდში?
ა) აშურს;
ბ) ასურეთს;
გ) აქადს;
დ) ნუბიას.

8. რა სახელწოდებით ვიცნობთ დღეს სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ადრეულ ისტორიულ პერიოდში არსებობდა ნუბიის სამეფო?
ა) აბისინია;
ბ) ერითრეა;
გ) ეთიოპია;
დ) მაროკო.

9. ძირითადად რა მიზნით ესხმოდნენ თავს ეგვიპტელები ნუბიას?
ა) ნუბია წარმოადგენდა ეგვიპტის გეოპოლიტიკურ მეტოქეს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მისი გავლენის გაფართოებას ჩრდილო-აღმოსავლეთი აფრიკის რეგიონში;
ბ) ნუბიაზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ეგვიპტეს აღმოსავლეთის სამყაროსთან აკავშირებდა;
გ) ნუბია მდიდარი იყო ოქროსა და სპილენძის საბადოებით. ამასთან ერთად, ეს ქვეყანა ტყვეების ძირითად წყაროს წარმოადგენდა;
დ) ნუბია წარმოადგენდა ეგვიპტელთა ძირითადი მტრის - ჰიქსოსების მთავარ მოკავშირეს რეგიონში.

10. როდის მოხდა ჰიქსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობა?
ა) ძვ.წ. XVII საუკუნეში;
ბ) ძვ.წ XIV საუკუნეში;
გ) ძვ.წ XI საუკუნეში;
დ) ძვ.წ III ათასწლეულის დასასრულს.

11. რომელი არის მართებული მსჯელობა ჰიქსოსების სახელწოდების წარმოშობის შესახებ?
ა) სიტყვა „ჰიკსოს“ ძველ ეგვიპტურ ენაზე ეტლს ნიშნავს, რომლითაც ეგვიპტელებმა გამოარჩიეს გაურკვეველი წარმომავლობის დამპყრობთა სამხედრო უპირატესობა;
ბ) სახელწოდება „ჰიკსოსს“ ეგვიპტელები იყენებდნენ უცხოელი მმართველების მიმართ;
გ) ეს სიტყვა სემიტური წარმოშობისაა და აღწერს ებრაელთა ბიბლიურ თავგადასავალს ეგვიპტეში;
დ) ეს სახელწოდება ბერძნული წარმოშობისაა და გამოიყენება ყველა უცხოელთა კრებსით სახელად.

12. რა სახელით მოიხსენიებს ჰიქსოსებს ძველი ეგვიპტელი ქურუმი და ისტორიკოსი მანეთონი?
ა) „მწყემსების მეფეები“;
ბ) „აზიის ხალხები“;
გ) „ზღვის ხალხები“;
დ) „აღმოსავლეთის მბრძანებლები“.

13. რა სამხედრო უპირატესობა გააჩნდათ ჰიქსოსებს ეგვიპტელებთან ბრძოლის დროს?
ა) ჰიქსოსები ფლობდნენ დიდ, შორსმსროლელ მშვილდს;
ბ) ჰიქსოსებს გააჩნდათ მაკედონური ფალანგის მსგავსი ქვეითთა სამხედრო წყობა;
გ) ჰიქსოსების ძირითადი უპირატესობა მათი კავალერია იყო;
დ) ჰიქსოსებს გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა სამხედრო ფორტიფიკაციებისა და შუბოსანთა არიერგარდის გამოყენება.

14. დახვეწილ მშვილდისართან ერთად, რა სამხედრო უპირატესობა გააჩნდათ ჰიქსოსებს ეგვიპტელებთან ბრძოლაში?
ა) ლოდსატყორცნი მანქანები;
ბ) ჯაჭვის პერანგი და საბრძოლო, ცხენშებმული ეტლი;
გ) საბრძოლო სპილოები;
დ) რეგულარული შუბოსანი არმია.

15. ძველი ეგვიპტის რომელ მხარეს დაეპატრონნენ ჰიქსოსები ეგვიპტელთა დამარცხების შემდეგ?
ა) ცენტრალური ნაწილს, სადაც ფარაონის რეზიდენცია იყო განთავსებული;
ბ) ზემო, ანუ სამხრეთის სამეფოს;
გ) ჩრდილოეთ ნაწილს - ნილოსის დელტას;
დ) ეგვიპტელთა სამფლობელოებს ნუბიაში.

16. საბოლოოდ როგორ დასრულდა ჰიქსოსებსა და ეგვიპტეს შორის დაპირისპირება?
ა) ფარაონ ამენხოტეპ IV-ის მმართველობის პერიოდში ჰიქსოსებმა გაურკვეველი მიზეზით დატოვეს ეგვიპტე;
ბ) ჰიქსოსებსა და ეგვიპტეს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება და ჰიქსოსებმა დატოვეს ოკუპირებული ქვეყანა;
გ) ჰიქსოსები ეგვიპტიდან განდევნა გაძლიერებულმა ხეთების სამეფომ;
დ) ეგვიპტელებმა ჯერ შეძლეს ჰიქსოსების კულტურული ასიმილაცია, შემდეგ კი დაამარცხეს და ძალაუფლებას ჩამოაშორეს დამპყრობლები.

17. რითი იყო განპირობებული ახლო აღმოსავლეთში შორეული დაპყრობების დაწყება ძვ.წ. II ათასწლეულში?
ა) მონოთეიზმის გავრცელებით;
ბ) ზოგიერთ სახელმწიფოში რეგულარული არმიის ჩამოყალიბებით;
გ) ცხენებისა და საბრძოლო ეტლის გამოჩენით;
დ) ახლო აღმოსავლეთის სამეფოების დასუსტებით.

18. რა პერიოდიდან იკიდებს ფეხს ეგვიპტე აზიაში?
ა) ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებიდან;
ბ) ძვ.წ. X-VIII საუკუნეებიდან;
გ) ძვ.წ. IX საუკუნიდან;
დ) ძვ.წ. VII საუკუნიდან.

19. რომელ სახელმწიფოებს ებრძოდა ეგვიპტე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან?
ა) შუმერსა და მიდიას;
ბ) ხეთების სამეფოსა და ბაბილონს;
გ) ხურიტებისა და ხეთების სამეფოებს;
დ) აქადისა და ხურიტების სამეფოებს.

20. რომელი ტერიტორიის დამორჩილება მოახერხეს ეგვიპტელებმა აზიაში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში?
ა) მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის;
ბ) ვრცელი ტერიტორიისა წითელი ზღვიდან ჰინდოსტანის ნახევარკუნძულამდე;
ბ) მცირე ხნით დაიკავა სინაის ნახევარკუნძული;
დ) სირია - პალესტინის დიდი ნაწილის.

21. ჩამოთვლილთაგან რომელმა ფარაონმა განავრცო ყველაზე შორს აზიაში ეგვიპტის ბატონობა?
ა) ამენხოტეპ IV-მ;
ბ) თოტმეს II-მ;
გ) ხატშეპსუტმა;
დ) თოტმეს III-მ.

22. რომელ დინასტიას განეკუთვნებოდა ფარაონი თოტმეს III ?
ა) XVIII დინასტიას;
ბ) რამესიდების დინასტიას;
გ) XIII დინასტია;
დ) პტოლემეების დინასტიას.

23. ეგვიპტის რომელ ფარაონს მოიხსენიებენ ისტორიკოსები „ფარაონ-რეფორმატორად“, რომელსაც პოპულარულ ლიტერატურაში ასევე „მსოფლიოს პირველ პიროვნებასაც“ უწოდებენ?
ა) რამზეს II-ს;
ბ) თოტმეს III-ს;
გ) ტუტანხამონს;
დ) ამენხოტეპ IV-ს.

24. რა ეწოდებოდა ღმერთს, რომელიც ამენხოტეპ IV-მ მანამდე არსებულ მრავალ ღვთაებას ჩაანაცვლა ?
ა) ამონი;
ბ) ატონი;
გ) სეთი;
დ) რა.

25. რომელმა ქალაქმა შეიძინა სახელმწიფოს დედაქალაქის სტატუსი ამენხოტეპ IV-ის მმართველობის დროს?
ა) თებემ;
ბ) ბუბასტისმა;
გ) ახეტატონმა;
დ) მემფისმა.

26. როგორ იწოდებოდა ამენხოტეპ IV მას შემდეგ, რაც თავისი მმართველობის მეხუთე წელს სახელი შეიცვალა?
ა) ახეტატონი;
ბ) ამენხოტეპ I;
გ) ეხნატონი;
დ) ტუტანხამონი.

27. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო ეგვიპტის XV დინასტიის ფარაონ ეხნატონის მეუღლე?
ა) ხატშეფსუტი;
ბ) ტიაა;
გ) ნეფერტიტი;
დ) ბერენიკე.

28. რა ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული ის, რომ ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ მმართველმა ელიტამ გააუქმა ფარაონის მიერ გატარებული რეფორმები და მისი სახელი დავიწყებას მისცა?
ა) ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ დიდგვაროვნებმა აღიდგინეს რეფორმების შედეგად წართმეული უფლებები;
ბ) მისი რელიგიური რეფორმით განსაკუთრებით იზარალეს სხვადასხვა ღვთაებათა ტაძრებმა და ქურუმებმა, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი შემოსავალი;
გ) ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის სათავეში ყოფილი სამხედრო მეთაურები მოვიდნენ, რომლებიც თავის დროზე ეხნატონმა ჩამოაშორა არმიას;
დ) ახალი მმართველები ეხნატონის რეფორმებს განვითარების შემაფერხებლად თვლიდნენ.

29. რა ცვლილებები მოხდა სახელმწიფოში ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ?
ა) დაიშალა ფარაონის პირადი გვარდია და ის რეგულარული ჯარის შემადგენლობაში შევიდა;
ბ) ახეტატონმა დაკარგა დედაქალაქის სტატუსი და მოისპო ატონის კულტი;
გ) ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა 42-დან კვლავ 32-მდე შემცირდა;
დ) უარყოფილი იქნა ეხნატონის მიერ დანერგილი პირამიდების მშენებლობის ახალი ტექნოლოგია, შეიცვალა სამშენებლო მასალა და პირამიდის ზღვრული პარამეტრები.

30. რომელი განსაკუთრებული ნიშნით არის ცნობილი ეგვიპტის ფარაონი ტუტანხამონი?
ა) ცნობილი კანონების კრებულით;
ბ) ხეთების წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული ომებით;
გ) მხოლოდ იმ ფაქტით, რომ ჩვენამდე გაუძარცვავად მხოლოდ მისმა სამარხმა მოაღწია;
დ) ის იყო XVIII დინასტიის უკანასკნელი ფარაონი.

31. რა იყო ეხნატონის სიკვდილის შემდეგ ეგვიპტესა და ხეთებს შორის ბრძოლის განახლების ძირითადი მოტივი?
ა) უძველეს სავაჭრო გზებზე კონტროლის დაწესება;
ბ) ეგვიპტისათვის ეს ბრძოლა წარმოადგენდა ერთგვარ პრევენციას ხეთების ექსპანსიის აფრიკის კონტინენტზე გავრცელების შესაჩერებლად;
გ) წითელ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება;
დ) სირიის ტერიტორიის დაპატრონება.

32. რომელ წელს მოხდა ქადეშის ბრძოლა?
ა) ძვ.წ. 1274 წელს;
ბ) ძვ.წ. 1724 წელს;
გ) ძვ.წ. 1264 წელს;
დ) ძვ.წ. 1324 წელს.

33. ვინ ხელმძღვანელობდა ეგვიპტის არმიას ქადეშის ბრძოლაში?
ა) ეხნატონი;
ბ) რამსეს II;
გ) თუტმეს III;
დ) ტუტანხამონი.

34. ვინ მეთაურობდა ხეთების არმიას ქადეშის ბრძოლაში.
ა) მეფე მურსილი II;
ბ) მეფე მუვათალი II;
გ) მეფე ხათუსილი I;
დ) მეფე მუვათალი I.

35. რომელი არის მართებული მსჯელობა ქადეშის ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ?
ა) ხეთებმა სრულად გაანადგურეს რამსეს II-ის არმიის მარჯვენა ფლანგი და მტერი უკუაქციეს;
ბ) მიუხედავად იმისა, რომ რამსეს II ალყაში მოექცა და მისი მოწინავე რაზმი სრულად განადგურდა, ხეთებმა მაინც ვერ შეძლეს ბრძოლის გამარჯვებამდე მიყვანა;
გ) რამსეს II-მ გაარღვია ხეთების დაცვის ცენტრი და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა;
დ) ხეთების არმია თითქმის სრულად განადგურდა, მეფე მუვათალი კი ტყვედ ჩავარდა.

36. რა მიზეზით ვერ შეძლეს ხეთებმა ქადეშის ბრძოლის საწყის ეტაპზე მოპოვებული წარმატების ბოლომდე მიყვანა და ეგვიპტელთა საბოლოო დამარცხება?
ა) ბრძოლაში გვიან ჩაება ხეთების არიერგარდი, რამაც ეგვიპტელებს საკმარისი დრო მისცა გადაჯგუფებისათვის;
ბ) ბრძოლის დროს მეფე მუვათალი სასიკვდილოდ დაიჭრა, რის გამოც ხეთებმა ვეღარ შეძლეს ბრძოლის გაგრძელება;
გ) რამსეს II-ის არმია სრული განადგურებისაგან იხსნა დამხმარე დაქირავებულმა რაზმმა, რომელიც ბრძოლაში მოგვიანებით ჩაერთო;
დ) ბრძოლის დროს მეფე მუვათალი ტყვედ ჩავარდა და უმეთაუროდ დარჩენილი ხეთები უკუიქცნენ.

37. რომელი არის მართებული მსჯელობა ქადეშის ბრძოლის შემდეგ დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ?
ა) რამსეს II-მ განახევრებული არმიით ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და იძულებული იყო, დათანხმებოდა დამამცირებელ ზავს;
ბ) ბრძოლის შემდეგ დაიდო ორივე მხარისათვის მისაღები საზავო ხელშეკრულება, რომელმაც დაასრულა ომი ხეთებსა და ეგვიპტეს შორის;
გ) მეფის გარეშე დარჩენილი ხეთები იძულებული გახდნენ, დანებებოდნენ და ხელი მოეწერათ მათთვის არახელსაყრელ ზავზე;
დ) ბრძოლის შემდეგ რამსეს II-მ ხეთებს შესთავაზა ზავი, რომლის პირობები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ბრძოლა კვლავ განახლდა.

38. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა განაპირობებს ქადეშის ბრძოლის შემდეგ ეგვიპტესა და ხეთებს შორის დადებული საზავო ხელშეკრულების განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობას?
ა) ის არის სახელმწიფოთა შორის დადებული პირველი დაწერილი ხელშეკრულება;
ბ) ის შესრულებულია ეტრატზე, რომელიც მანამდე არ გამოიყენებოდა საერთაშორისო დოკუმენტებისათვის;
გ) ის ითვლება თანასწორი და ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულების უძველეს ნიმუშად;
დ) ამ დოკუმენტმა ძველ ახლო აღმოსავლეთში უზრუნველყო სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა.

39. როდის წყვეტს არსებობას ძველი ეგვიპტე, როგორც კულტურული და პოლიტიკური ფენომენი?
ა) ძვ.წ. 30 წლის აქციუმის ბრძოლაში მარკუს ანტონიუსისა და დედოფალ კლეოპატრა VII-ის დამარცხების შემდეგ ეგვიპტე იქცა რომის იმპერიის პროვინციად;

ბ) ალექსანდრე დიდის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ეგვიპტეში გაბატონდა მაკედონური წარმოშობის პტოლემეების დინასტია, რამაც საბოლოოდ მოუღო ბოლო ძველ ეგვიპტურ ცივილიზაციას;

გ) ძველმა ეგვიპტემ, როგორც კულტურულ-პოლიტიკურმა ფენომენმა, არსებობა შეწყვიტა არაბების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, ახ.წ. VII საუკუნეში;

დ) ეგვიპტეს, როგორც თვითმყოფად კულტურულ და პოლიტიკურ ფენომენს ბოლო მოუღეს ასირიელებმა, რომლებმაც დაიპყრეს ეგვიპტე ძვ. წ. 671-667 წლებში.

თავი II. შუმერები, ბაბილონი

1. რომელ ისტორიულ პერიოდში ჩანს შუამდინარეთში ქალაქური ტიპის დასახლებები და სახელმწიფოებრიობის ნიშნები?

ა) შუა პალეოლითის ხანაში;

ბ) ჯერ კიდევ ზემო პალეოლითის ხანაში;

გ) ჯერ კიდევ ნეოლითის ხანში;

დ) ენეოლითის ხანაში.

2. რომელ პერიოდს ემთხვევა სამხრეთ მესოპოტამიაში შუმერული ცივილიზაციის აყვავების ხანა?

ა) ძვ.წ. IV - III ათასწლეულებს;

ბ) ძვ.წ. III - II ათასწლეულებს;

გ) ძვ.წ. VI ათასწლეულში;

დ) ზემო პალეოლითის ხანას.

3. რომელი არის მართებული მსჯელობა შუმერების წარმომავლობის შესახებ?

ა) შუმერები ჩრდილო აფრიკული წარმოშობის ხალხია, რომლებიც სამხრეთ შუამდინარეთში გადმოსახლდნენ ე.წ. „მწვანე საჰარის“ პერიოდში;

ბ) შუმერები სემიტური წარმოშობის ხალხია, რასაც მოწმობს შუმერული ენის ნათესაობა აღმოსავლეთ სემიტურ ენებთან;

გ) შუმერების გენეზისის შესახებ არსებული არცერთი თეორია არ არის სარწმუნო;

დ) შუმერები წარმოადგენენ შუამდინარეთში მცხოვრები პროტოევფრატელების გენეტიკურ შთამომავლებს, რომლებმაც განავითარეს უბეიდური ცივილიზაცია.

4. შუმერების კულტურულ მიღწევათა შორის, რომელი დაედო საფუძვლად შუამდინარეთისა და წინა აზიის მრავალ ცივილიზაციას?

ა) შუმერებმა გამოიგონეს ბორბალი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაში მესოპოტამიისა და საერთოდ, წინა აზიის სხვა ცივილიზაციების განვითარებაში;

ბ) შუმერებმა გაავრცელეს სოფლის მეურნეობის წარმოების კულტურა, რამაც გარდატეხა შეიტანა წინა აზიის ცივილიზაციათა ჩამოყალიბებასა და განვითარებაში;

გ) შუმერებმა შემოიღეს და განავითარეს საირიგაციო სისტემა, რამაც უდიდესი გავლენა იქონია შუამდინარეთსა და წინა აზიაში კულტურული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე;

დ) შუმერებმა შემოიღეს ლურსმული დამწერლობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა რეგიონში სხვა კულტურულ ცივილიზაციათა განვითარებას.

5. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შეიძლება ჩაითვალოს შუმერული ცივილიზაციის მიღწევად?

ა) პირველი დაწერილი კანონების შექმნა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და საირიგაციო სისტემების შექმნა;

გ) მონოთეისტური რელიგიის შექმნა;

დ) ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების შემოღება.

6. დღემდე აღმოჩენილ დაწერილ კანონთა კრებულებს შორის რომელი ითვლება უძველეს ნიმუშად?
ა) ხამურაბის კანონები;
ბ) ლიფვით-იშთარის კანონები;
გ) ურ-ნამუს კანონები;
დ) ეშნუნას კანონები.

7. ჩამოთვლი უძველეს კანონთა კრებულებს შორის რომელი არ არის დაწერილი შუმერულ ენაზე?
ა) ურ-ნამუს კანონები დაწერილია აქადურ ენაზე;
ბ) ეშნუნას კანონები დაწერილია ხეთურ ენაზე;
გ) ლიფვით-იშთარის კანონები დაწერილია ელამურ ენაზე;
დ) ხამურაბის კანონები დაწერილია აქადურ ენაზე.

8. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი უკეთ აღწერს ძველი შუმერების კანონმდებლობის ზოგად ბუნებას?
ა) შუმერული კანონმდებლობით, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობები რეგულირდებოდა არა დაწერილი კანონების, არამედ მონარქის ცალკეული გადაწყვეტილებების მეშვეობით;
ბ) შუმერული კანონები ძირითადად სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებდნენ;
გ) შუმერული კანონმდებლობა აწესრიგებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავდა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს;
დ) შუმერული კანონმდებლობა იმით იყო გამორჩეული, რომ ის კონცენტრირდებოდა მხოლოდ ადამიანთა შორის სამოქალაქო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებაზე.

9. რომელი შუმერული ქალაქ-სახელმწიფოს მეფე იყო მითიური გმირი გილგამეში?
ა) უმას;
ბ) ურუქის;
გ) ლაგაშის;
დ) ერიდუს.

10. გილგამეშის მითთან დაკავშირებული მსჯელობათაგან, რომელი აღწერს გავრცელე-ბულ ჰიპოთეზას სხვა ცნობილ სიუჟეტთან მისი მსგავსების შესახებ?
ა) გილგამეში, თავისი ხასიათითა და ქცევით ჰგავს ნორდიკული თქმულებების გმირ ოდინს, რომელიც ნახევრად ადამიანია და უპირისპირდება პანთეონის სხვა ღმერთებს, რასაც მოჰყვება წარღვნა;
ბ) ლეგენდის სიუჟეტი ძალიან ახლოს დგას შურუპაკის მეფე ზიუსუდრას მითის პასაჟთან, რომელშიც აქტუალურია ცხოვრების ამაოებისა და ადამიანის დანიშნულების ძიების პრობლემატიკა;
გ) მითი შეიცავს პასაჟებს, რომელიც ძალიან ჰგავს ძველი ინდური ეპიკური პოემის - მაჰაბჰარატას სიუჟეტს, რომელშიც ასახულია ადამიანის შექმნის, მის ღმერთებთან ბრძოლისა და წარღვნის თემატიკა;
დ) ლეგენდის სიუჟეტი თემატურად ახლოსაა „ძველი აღქმის“ ბიბლიურ პასაჟთან - მათ აერთიანებთ ადამიანის შექმნისა და წარღვნის პასაჟებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსება.

11. როდის შეიქმნა ქალაქ-სახელმწიფოთა პირველი დიდი გაერთიანება შუამდინარეთში?
ა) ძვ.წ. XXIV საუკუნეში;
ბ) ძვ.წ. XXV საუკუნეში;
გ) ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს;
დ) ჯერ კიდევ ძვ.წ. XXVIII საუკუნეში.

12. რომელი მეფე ითვლება უძველესი აქადის სამეფოს დამაარსებლად?
ა) რიმუში;
ბ) მანიშტუშუ;
გ) სარგონ აქადელი, იგივე სარგონ დიდი;
დ) ნარამსუენი.

13. რა წარმოშობის ხალხია აქადელები?
ა) შუმერული წარმოშობის ხალხი;
ბ) სემიტური წარმოშობის ხალხი;
გ) ჩრდილო-აფრიკული წარმოშობის ხალხი;
დ) აქადელთა გენეზისი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

14. რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ მესამე ათასწლეულის ბოლოს შუამდინარეთში სემიტების ინტენსიური შემოსვლის შემდეგ მოხდა შუმერების ასიმილაციას.
ა) ამ პერიოდიდან ქრება შუმერული არქიტექტურისა და ხელოსნობის დამახასიათებელი ნიმუშები;
ბ) ამ დროისათვის შუმერული რჩება დამწერლობისა და მეცნიერების ენად, მასთან ერთად კი გამოიყენება აქადური ენის სხვადასხვა დიალექტები;
გ) ამ პერიოდიდან ქრება შუმერული ენისა და დამწერლობის კვალი;
დ) ამ პერიოდის სამარხებში სულ უფრო იშვიათად ვხვდებით შუმერულ სამკაულებსა და სამოსის ნაშთებს.

15. რომელ ენაზე საუბრობდნენ ბაბილონელები?
ა) ხეთური ენის ერთ-ერთ დიალექტზე;
ბ) ბაბილონურ ენაზე;
გ) შუმერულ ენაზე;
დ) აქადური ენის ერთ-ერთ დიალექტზე.

16. რომელმა ენამ შეიძინა საერთაშორისო სტატუსი შუამდინარეთის სახელმწიფოებში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში?
რომელია ეს ენა?
ა) შუმერულმა;
ბ) ელამურმა;
გ) აქადურმა;
დ) ბაბილონურმა.

17. შუამდინარეთის რომელ სახელმწიფოებს შორის იწყება ბრძოლა პირველობისათვის ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში?
ა) აქადსა და შუმერს შორის;
ბ) ბაბილონსა და ასურეთს შორის;
გ) ბაბილონსა და ხეთების სამეფოს შორის;
დ) ასურეთსა და ელამს შორის.

18. რა პერიოდს მოიცავს ადრედინასტიური პერიოდი მესოპოტამიაში?
ა) ძვ.წ. XXVIII—XXIV საუკუნეებს;
ბ) ძვ.წ. XXIV- XXII საუკუნეებს;
გ) ძვ.წ. XXVIII—XXII საუკუნეებს;
დ) ძვ.წ. XXV—XXI საუკუნეებს.

19. რომელი ქალაქ-სახელმწიფოს მმართველი იყო აგა, რომელიც ურუქის მეფე გილგამეშმა დაამარცხა და წაართვა პირველობა შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის?

ა) ლაგაშის;

ბ) კიშის;

გ) უმას;

დ) ერიდუს.

20. რომელი სახელმწიფო ფლობდა წამყვან პოზიციებს ადრედინასტიური პერიოდის მეორე ეტაპის (ძვ.წ. XXVII—XXVI სს.) განმავლობაში შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის?

ა) ური;

ბ) ურუქი;

გ) უმა;

დ) ბაბილონი.

21. რომელი არის მართებული მსჯელობა ძველი შუმერების რელიგიური შეხედულებებისა და ტრადიციების შესახებ?

ა) ძველი შუმერული რელიგიური ტრადიცია არ ითვალისწინებდა მსხვერპლშეწირვას - შუმერულ ტაძრებში არ გვხვდება მსხვერპლშეწირვისათვის განკუთვნილი ადგილი;

ბ) შუმერულ ღმერთთა პანთეონში უმაღლეს საფეხურზე იდგა ცის ღმერთი ენქი;

გ) შუმერებს ჰყავდათ როგორც საყოველთაო ღმერთები, ასევე ყოველი თემი თავის „შინაურ“ ღვთაებებს სცემდა თაყვანს;

დ) შუმერები ტაძრებს უშენებდნენ როგორც „მთავარ“ღმერთებს, ასევე შინაურ ღვთაებებსაც.

22. რომელი არ არის მართებული მსჯელობა ძველი შუმერების რელიგიური შეხედულებებისა და ტრადიციების შესახებ?

ა) შუმერთა შეხედულების მიხედვით, ადამიანთა საუფლოს ღმერთი ენკი განაგებდა;

ბ) შუმერული ღმერთების პანთეონში უზენაეს ღმერთად ითვლებოდა ანი, ცის ღმერთი;

გ) შუმერებში სახვით ხელოვნებას, უმეტესად, რელიგიური დანიშნულება ჰქონდა;

დ) შუმერული რელიგიურ სტრუქტურაში სამყარო იყოფოდა სამ ნაწილად - ცის, ადამიანის სამყოფელისა და მიწისქვეშეთის საუფლოდ.

23. შუმერთა რელიგიის მიხედვით, სამი საუფლოდან, რომელს განაგებდა ღმერთი ენლილი?

ა) მიწისქვეშეთის სამყაროს;

ბ) ადამიანის სამყოფელს;

გ) ზეცას;

დ) ენლილი პანთეონის უზენაესი ღმერთია, რომელიც ყველა საუფლოს გამგებლად ითვლებოდა.

24. ვინ იყო ადრედინასტიური პერიოდის ბოლოს ჩამოყალიბებული შუმერულ ქალაქ-სახელმწიფოთა დიდი გაერთიანების პირველი მეფე?

ა) ლუგალზაგესი - უმის მმართველი;

ბ) გილგამეში - ურუქის მეფე;

გ) სარგონ დიდი - აქადის მეფე;

დ) ურ-ზაბაბა - კიშის მმართველი.

25. რა შედეგით დასრულდა ძვ.წ. 2312-2311 წლებში მიმდინარე ბრძოლა შუმერთა გაერთიანებული სამეფოს მეთაური ლუგალზაგესსა და აქადის მმართველ სარგონს შორის?

ა) სარგონი სასტიკად დამარცხდა და აქადი შეუერთდა ერთიან შუმერულ სახელმწიფოს;

ბ) სარგონმა დაამარცხა ლუგალზაგესი, გახდა გაერთიანებული შუმერის მეფე და სათავე დაუდო აქადის დინასტიას;

გ) ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მხარეებმა დადეს ზავი, რასაც მოჰყვა უმისა და აქადის მმართველების დინასტიური დანათესავება;

დ) ბრძოლა სარგონის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, მალე ჩრდილო მესოპოტამიის ქალაქ სახელმწიფოთა მმართველები (ენსები) გაერთიანდნენ და დაამარცხეს სარგონი.

26. რომელი დიდი სამეფოს წინააღმდეგ გაილაშქრეს სარგონის მემკვიდრეებმა, რიმუშმა და მანიშტუშუმ სხვადასხვა დროს?

ა) ლაგაშის სამეფოს;

ბ) კიშის სამეფოს;

გ) ელამის;

დ) ბაბილონის.

27. რა განსაკუთრებული ნიშნით არის გამორჩეული აქადის მეფე ნარამ-სუენასა და ელამის მეფეს შორის დაახლოებით ძვ.წ. 2260 წელს დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება?

ა) ამ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ აქადი იძლიერებს პოზიციებს და ხდება მთელი შუამდინარეთის დომინანტი ძალა;

ბ) სამოკავშირეო ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო შუამდინარეთში ხანგრძლივი მშვიდობის ჩამოყალიბებას;

გ) ეს ხელშეკრულება წარმოადგენს დღემდე ჩვენთვის ცნობილი წერილობითი საერთაშორისო ხელშეკრულების უძველეს ნიმუშს;

დ) ეს არის შუმერულ ენაზე დაწერილი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი.

28. რამ გამოიწვია აქადის სამეფოს დაშლა და გაქრობა?

ა) მომთაბარე ტომების - კუტიების შემოსევამ, რომლებმაც ისე დაანგრიეს სატახტო ქალაქი, რომ დღემდე ვერ ხერხდება მისი ნაშთების აღმოჩენა;

ბ) გაძლიერებულმა ელამის სამეფომ ზურგია აქცია ერთ დროს მის მოკავშირეს და დასუსტებული აქადი მიწასთან გაასწორა;

გ) სახელმწიფოს ბოლო მოუღო შინააშლილობამ და ქალაქ-სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებამ;

დ) მკვეთრმა კლიმატურმა ცვლილებებმა: დადგენილია, რომ აქადის იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებში ამ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ძლიერ გვალვებსა და მტვრიან ქარიშხლებს.

29. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში შუამდინარეთში ორი სახელმწიფო ძლიერდება, რომელთა შორის პირველობისათვის ბრძოლა ათას წელზე მეტხანს გაგრძელდა. რომელია ეს სახელმწიფოები?

ა) ბაბილონი და ხეთების სამეფო;

ბ) ბაბილონი და ასურეთი;

გ) ასურეთი და ურარტუ;

დ) აქადი და ელამი;

30. რომელი მმართველის სახელს უკავშირდება ბაბილონის ძველი სახელმწიფოს აღზევება?

ა) მეფე სინმუბალიტს;

ბ) მეფე სუმუაბუმს;

გ) მეფე ხამურაბის;

დ) მეფე სამსუილუნას.

31. რომელია ბაბილონის მეფე ხამურაბის მეფობის წლები?
ა) ძვ.წ. 1813-1793 წლები;
ბ) ძვ.წ. 1626-1595 წლები;
გ) ძვ.წ. 1793-1750 წლები;
დ) ხამურაბი ბაბილონის მითიური მეფეა - მისი, როგორც რეალური პიროვნების მმართველობა სახელმწიფოს სათავეში ისტორიული მასალებით არ დასტურდება.

32. რომელია უფრო მართებული მსჯელობა ხამურაბის მმართველობის შედეგების შესახებ?
ა) ბაბილონი იქცა შუამდინარეთის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად;
ბ) ბაბილონში თავი მოიყარეს მეცნიერებისა და კულტურის იმ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რამაც ეს ქვეყანა ცივილიზაციის ცენტრად აქცია;
გ) ბაბილონმა მოქნილი დიპლომატიითა და ძლიერი ჯარით შეძლო საკუთარი თავის დაცვა ასურეთის მზარდი ექსპანსიისაგან;
დ) ბაბილონი სრულად გაბატონდა მთელს შუამდინარეთში.

33. ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ წყაროს ძველი ბაბილონის სახელმწიფო მოწყობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად?
ა) დიორიტის სტელაზე დაწერილი ხამურაბის კანონები;
ბ) ეტრატზე დაწერილი ნასყიდობისა და ქირავნობის ხელშეკრულებები;
გ) ძველი ბაბილონელი ისტორიოგრაფისა და ქურუმის - ბეროსე ბაბილონელის მიერ სამ წიგნად დაწერილი ბაბილონის ისტორია;
დ) დღემდე შემორჩენილი ქვის სტელები, რომლებზეც ლურსმული დამწერლობით არის გადმოცემული იმდროინდელი სასამართლო გადაწყვეტილებები.

34. რომელ წლებში მართავდა ქვეყანას ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II ?
ა) ძვ. წ. 626 - ძვ. წ. 605 წლებში;
ბ) ძვ. წ. 605 - ძვ. წ. 562 წლებში;
გ) ძვ. წ. 1146 - 1123 წლებში;
დ) ზუსტი მონაცემები დაუდგენელია.

35. როგორ შეწყდა ბაბილონის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა?
ა) ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქვეყნის დაპყრობის შედეგად ძვ. წ. 330 წელს;
ბ) ასურეთმა შეძლო ბაბილონის დამარცხება ძვ. წ. 30-იან წლებში, რის შემდეგაც ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა:
გ) ძვ. წ. 30-იან წლებში ბაბილონი შინა ომებმა მოიცვა, რამაც ქვეყნის დასუსტება და საბოლოოდ მისი დაშლა გამოიწვია;
დ) სპარსელების მიერ მისი დაპყრობის შედეგად ძვ. წ. 539 წელს.

36. ბაბილონის სამეფოს გარდა, რომელი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ქალაქი ბაბილონი?
ა) ბაბილონი იქცა ასურეთის მესამე დედაქალაქად აშურსა და ნინევიასთან ერთად;
ბ) კიროს II - ის მიერ ბაბილონის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ქ. ბაბილონი იქცა აქემენიდური სპარსეთის სახელმწიფოს დედაქალაქად;
გ) ბაბილონი ერთხანს იყო ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დედაქალაქი;
დ) ბაბილონი ერთხანს იყო ხეთების სამეფოს დედაქალაქი.

37. რომელი თანამედროვე ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობდა ძველი ბაბილონი?
ა) თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე;
ბ) თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე;
გ) თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე;
დ) სპარსელების მიერ დაპყრობის დროს ქალაქი ბაბილონი ისე განადგურდა, რომ მისი ნაშთების პოვნა დღემდე ვერ ხერხდება.

38. რომელი ღვთაება ითვლება ქალაქ ბაბილონის მფარველად და ძველი ბაბილონის პანთეონის უზენაეს ღმერთად?
ა) მარდუკი;
ბ) ენლილი;
გ) ზაბაბა;
დ) შამაში.

39. ძველი შუამდინარეთის რომელი ქალაქი წარმოადგენს ქრისტიანული ესქატოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოს?
ა) ნინევია;
ბ) ბაბილონი;
გ) აშური;
დ) არარატი

40. რა მოვლენას უკავშირდება ბაბილონის დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა?
ა) ჩვ. წ. 2228 წელს აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა გუთიებმა მიწასთან გაასწორეს აქადი და მისი ერთ-ერთი პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი - ბაბილონი თავისი ახალი სამეფოს დედაქალაქად აქციეს;
ბ) ძვ.წ. XIX საუკუნეში მომთაბარე დასავლეთსემიტურმა ტომებმა - ამორიტებმა (ამორეველებმა) დაიპყრეს ქალაქი ბაბილონი, რომელიც საკუთარ დედაქალაქად აქციეს;
გ) ძვ.წ. XX საუკუნეში აქადის ერთ-ერთი პროვინცია ახერხებს მეტროპოლიისაგან გამოყოფას და მისი ადმინისტრაციული ცენტრი - ბაბილონი ხდება დამოუკიდებელი სამეფოს დედაქალაქი;
დ) ბაბილონის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ზუსტი პერიოდი და მასთან დაკავშირებული მოვლენები ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

41. ქალაქ ბაბილონს ძალიან მოსახერებელი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა.
რაში გამოიხატებოდა ეს უპირატესობა?
ა) მოსახერხებელი მდებარეობა ქალაქს შესაძლებლობას აძლევდა, სრულად ეკონტროლებინა მთელი შუამდინარეთის საწყლოსნო და სახმელეთო სავაჭრო გზები;
ბ) მისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, მცირერიცხოვანი სამხედრო რაზმებითაც კი შესაძლებელი იყო მთელი მესოპოტამიის მკვებავი არხების გაკონტროლება;
გ) ქალაქი სამი მხრიდან შემოფარგლული იყო წყლით, რაც მას მიუწვდომელს ხდიდა მტრის შემოტევის დროს;
დ) ქალაქი მდებარეობდა კლდოვან შემაღლებაზე, რაც წარმოადგენდა ბუნებრივ ზღუდეს მომხდურთათვის.

42. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ხამურაბის სამხედრო-პოლიტიკურ მიღწევათა ჩამონათვალში?
ა) ხამურაბიმ შეძლო ზემო მესოპოტამიის გაერთიანებული სამეფოსა და აშნუნასთან სამმხრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რითაც უზრუნველყო ბაბილონის სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოება;
ბ) დაახლოებით ძვ.წ. 1764 წელს ხამურაბიმ სასტიკად დაამარცხა ეშნუნის, მალგიუმისა და ელამის გაერთიანებული ჯარები;
გ) მეფობის მიწურულს ხამურაბიმ გაილაშქრა ხეთების ძლიერი სამეფოს წინააღმდეგ და დაიმორჩილა ეს ქვეყანა, რითაც ბოლო მოუღო წინააზიაში ხეთების უპირობო ჰეგემონიას;
დ) ძვ.წ. 1763 წელს ხამურაბიმ გაილაშქრა ლარსას სამეფოზე და ქალაქის ინტენსიური ალყის შედეგად დაიმორჩილა იგი.

43. რომელი არის მართებული მსჯელობა ხამურაბის კანონების შესახებ?

ა) ხამურაბის კანონები წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში შექმნილ პირველ კანონთა კრებულს;

ბ) ხამურაბის კანონები არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელს - როგორც ჩანს, ძველ ბაბილონში მოქალაქის სიკვდილით დასჯა აკრძალული იყო;

გ) ხამურაბის კანონები წარმოადგენს სამართლის სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი ნორმების სისტემატიზაციას - ის დაყოფილია სისხლის სამართლის, საოჯახო, სამოქალაქო და სხვა ნაწილებად;

დ) ხამურაბის კანონები, თავისი არსით, სისხლის სამართლის კოდექსია, რომელშიც ფართოდ გამოიყენება „ტალიონის პრინციპი“.

44. რომელი არ არის მართებული მსჯელობა ხამურაბის კანონების შესახებ?

ა) როგორც ჩანს, ხამურაბის დროს უკვე ცნობდნენ პრინციპს nullum crimen sine lege - „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“. შესაბამისად, ბაბილონელი იურისტები ცდილობდნენ, კანონებში აესახათ ყველანაირი შესაძლო შემთხვევა;

ბ) ხამურაბის კანონების საფუძველზე მოგვიანებით შეიქმნა ლიფით-იშთარის კანონთა კრებული, რომელმაც გადმოიღო ბაბილონის სამართლის ძირითადი მიღწევები;

გ) ხამურაბის კანონებიდან ვარკვევთ, რომ ძველ ბაბილონში ფართოდ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა;

დ) ხამურაბის კანონები დაწერილია ლურსმული დამწერლობით აქადურ ენაზე.

45. ვინ ააოხრა ბაბილონის სამეფო ძვ.წ. 1595 წელს?

ა) ხეთებმა;

ბ) ასურეთმა;

გ) „ზღვის ხალხებმა“;

დ) ხურიტებმა.

46. რას გულისხმობს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ცნება „ბრინჯაოს ხანის კატასტროფა“?

ა) ბრინჯაოს ხანიდან რკინის ხანაზე გადასვლისა და ეპოქათა ცვლის პერიოდს ახლო აღმოსავლეთში თან ახლდა დამანგრეველი კატაკლიზმები, რამაც საზოგადოებრივი წყობის, ტრადიციებისა და კულტურის დაღმასვლა გამოიწვია;

ბ) ბრინჯაოს ხანის ბოლოს ადგილი ჰქონდა კლიმატის მკვეთრ ცვლილებებს, რამაც ხალხების სტიქიური მიგრაცია, ქალაქების დაცარიელება და სახელმწიფოთა რღვევა გამოიწვია;

გ) სპეციალისტები ამ ტერმინით მოიხსენიებენ იმ დამანგრეველ მოვლენებს, რომელიც თან ახლდა ასურეთის მილიტარისტული სახელმწიფოს გაძლიერებასა და მისი ექსპანსიის გაფართოებას, რასაც მრავალი ქალაქ-სახელმწიფოს განადგურება და კულტურის დაკნინება მოჰყვა;

დ) აღნიშნული ტერმინით სპეციალისტები მოიხსენებენ ბრინჯაოს ხანის ბოლოს წინააზიაში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს, რომელსაც შედეგად მოჰყვა უძველესი ეგვიპტური ცივილიზაციის განადგურება.

47. რომელი მნიშვნელოვანი მოვლენა უკავშირდება ძვ.წ. 689 წელს ძველი ბაბილონის ისტორიაში?

ა) ძვ.წ. 689 წელს ბაბილონში დასრულდა უმნიშვნელოვანესი საკულტო ნაგებობის - ზიკურათ ეტემენანკის მშენებლობა;

ბ) ძვ.წ. 689 წელს ასურეთის მეფე სინახერიბმა აიღო ბაბილონი, თითქმის სრულად გაწყვიტა ადგილობრივი მოსახლეობა, შემდეგ კი დანგრეულ ქალაქში ასურელებმა ევფრატის წყალი მიუშვეს;

გ) ძვ.წ. 689 წელს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ბაბილონი ნანგრევებად აქცია, რამაც ბოლო მოუღო ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოს არსებობას;

დ) ძვ.წ. 689 წელს ბაბილონში კვლავ დაბრუნდა ელამელთა მიერ წართმეული მარდუკის კერპი, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ბაბილონის სამეფოს აღზევების ეპოქას.

თავი III. ასურეთი, ხეთები, ურარტუ.

1. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოს შეიძლება ეწოდოს კაცობრიობის ისტორიაში პირველი მილიტარისტული იმპერია?

ა) ხეთების იმპერიას;

ბ) ასურეთის იმპერიას;

გ) ბაბილონს;

დ) ალექსანდრე დიდის იმპერიას.

2. რომელი ძველი იმპერია უზრუნველყოფდა მასში შემავალი ერთეულების კულტურულ და რელიგიურ ავტონომიას?

ა) ურარტუ;

ბ) ასურეთის იმპერია;

გ) სპარსეთის აქამენიანთა იმპერია;

დ) ბაბილონი.

3. რა წარმომავლობის ხალხი იყო ასურელები?

ა) სემიტური;

ბ) ინდოევროპული;

გ) ჩრდილოაფრიკული;

დ) მათი წარმომავლობა დღემდე დაუდგენელია.

4. დაახლოებით როდის დაარსდა ქალაქ-სახელმწიფო აშური?

ა) დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულში;

ბ) დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულში;

გ) დაახლოებით ძვ.წ. III ათასწლეულში;

დ) აშურის დაარსების მიახლოებითი თარიღი ჯერ-ჯერობით უცნობია.

5. საიდან მომდინარეობს ქალაქ აშურის სახელწოდება?

ა) ასურელების სემიტურმა ტომებმა ჩრდილო მესოპოტამიაში დაარსეს ქალაქ-სახელმწიფო და მას საკუთარი ღმერთის - აშურის სახელი უწოდეს;

ბ) ეს სახელწოდება ევფრატის ერთ-ერთი შენაკადის სახელწოდებიდან მომდინარეობს, რომელიც ქალაქს ჩაუდიოდა;

გ) ასე ეწოდებოდათ იმ სემიტურ ტომებს, რომლებმაც დაარსეს ეს ქალაქი;

დ) ქალაქს სახელი მისი დამაარსებელი ტომის ბელადის - აშურის სადიდებლად დაერქვა.

6. ასურეთის სამეფოს ორი დედაქალაქი ჰქონდა.

ჩამოთვლილთაგან რომელია ეს ქალაქები?

ა) ნინევია და ური;

ბ) აშური და ხათუსი;

გ) ნინევია და აშური;

დ) ური და ანი.

7. თავისი არსებობის მანძილზე ასურეთის იმპერიამ მრავალი სამეფო დაიპყრო. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ასურეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიგში?
ა) ურარტუ;
ბ) არამ-დამასკო;
გ) მიდია;
დ) ბაბილონი.

8. როდის დაიპყრო ასურეთმა ურარტუ?
ა) ძვ.წ 612 წელს;
ბ) ძვ.წ 709 წელს;
გ) ძვ.წ 714 წელს;
დ) ძვ.წ 722 წელს.

9. როდის მოხდა ასურეთის მიერ ბაბილონის დაპყრობა და სატახტო ქალაქის დანგრევა?
ა) ძვ.წ 689 წელს;
ბ) ძვ.წ 614 წელს;
გ) ძვ.წ 732 წელს;
დ) ძვ.წ 671 წელს.

10. როდის დაიპყრო ასურეთმა ეგვიპტე?
ა) ასურეთის ექსპანსიონური პოლიტიკა არ გასცილებია შუამდინარეთსა და წინა აზიას;
ბ) ასურეთმა ეგვიპტე მცირე ხნით დაიპყრო ძვ.წ 671 წელს;
გ) ასურელებმა ეგვიპტე რამდენჯერმე დაიპყრეს, ბოლო დაპყრობა კი მოხდა ძვ.წ 689 წელს;
დ) ასურელებმა ეგვიპტე საბოლოოდ ძვ.წ 722 წელს დაიკავეს.

11. რომელ ისტორიულ მონაკვეთში ფლობდა ჰეგემონობას ასურეთის იმპერია წინა აზიაში?
ა) დაახლოებით ძვ.წ 722- 614 წელს;
ბ) დაახლოებით ძვ.წ. 683 - 512 წელს;
გ) დაახლოებით ძვ.წ 883 - 614 წელს;
დ) დაახლოებით ძვ.წ 784 - 612 წელს.

12. რომელმა სახელმწიფომ მოახერხა ერთ დროს უძლიერესი ასურეთის მილიტარისტული იმპერიის განადგურება?
ა) ურარტუმ;
ბ) ხეთებისა და მიდიის სამეფოებმა „ზღვის ხალხების“ დახმარებით;
გ) ახალბაბილონურმა სამეფომ და მიდიამ სკვითების დახმარებით;
დ) ასურეთის სამეფო იმსხვერპლა მოულოდნელად გამოჩენილმა „ზღვის ხალხებმა“.

13. ჩამოთვლილთაგან, რომელი მიღწევა (გამოგონება, სიახლე) არ უკავშირდება ასურეთის იმპერიას?
ა) საალყო მანქანები;
ბ) სამხედრო გზებისა და ხიდების მშენებლობა;
გ) რკინის იარაღი;
დ) დაპყრობილი ხალხების მასობრივი დეპორტაცია მათი საბოლოო ასიმილაციის მიზნით.

14. რომელი არ არის მართებული მსჯელობა ასურეთის იმპერიის მართვის თავისებურებების შესახებ?
ა) ვასალურ ქვეყნებს უნარჩუნდებოდათ ავტონომია, თუმცა, მათ ეკისრებოდათ ხარკი და სამხედრო ბეგარა;

ბ) ასურეთის იმპერია ძირითადად დაპყრობილი ქვეყნებიდან მიღებული ნადავლითა და მათზე დაკისრებული ხარკით საზრდოობდა, თავად კი არსებითად არაფერს აწარმოებდა;
გ) დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისა და მმართველი ელიტის გულის მოგების მიზნით, ასურელები მათ ფართო პოლიტიკურ და კულტურულ ავტონომიას ანიჭებდნენ;
დ) ასურელებმა დაპყრობილ ტერიტორიებზე გააუქმეს ადგილობრივი ხელისუფლება - იმპერიის ყველა პროვინციაზე ვრცელდებოდა პირდაპირი ცენტრალური მმართველობა.

15. რომელ ენაზე საუბრობდნენ ასურელები?
ა) შუმერული ენაზე;
ბ) არამეულ ენის ერთ-ერთ დიალექტზე;
გ) აქადური ენის ერთ-ერთ დიალექტზე;
დ) ასურულ ენაზე, რომელიც არ განეკუთვნებოდა იმ დროს არსებულ არც ერთ ენათა ჯგუფს.

16. რა წარმოშობის ხალხი იყვნენ ხეთები?
ა) სემიტური;
ბ) შუმერული;
გ) ინდო-ევროპული;
დ) დაუდგენელია.

17. ვინ ითვლება ხეთების სამეფოს დამაარსებლად?
ა) ფამბა;
ბ) პითხანა;
გ) თუთხალია;
დ) ანითა.

18. რომელი არის მართებული მსჯელობა ხეთების სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ?
ა) ძვ.წ. II ათასწლეულში მცირე აზიის ქალაქი-სახელმწიფოთაგან დაწინაურდა ქალაქი ქანესი, რომლის მმართველმა დაამარცხა მეზობელი ტომები და საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოთა პირველ ხეთურ გაერთიანებას;
ბ) ხეთების დიდი სახელმწიფო სათავეს იღებს ქალაქ ხათის მმართველის - ნურდაგალის მიერ მეზობელი ქალაქ-სახელმწიფოების დაპყრობიდან, რა დროსაც მან შეძლო ხეთური ტომების პირველი გაერთიანების ჩამოყალიბება;
გ) ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოს მცირე აზიის ქალაქ-სახელმწიფოთა შორის დაწინაურდა ქანესი, რომლის მეფე პიტხანამ დაიპყრო იმ დროს უძლიერესი ქალაქი ქანისა და დაარსა ხეთების პირველი სახელმწიფოთა გაერთიანება;
დ) ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში მცირე აზიაში მცხოვრები პროტოხეთური ტომები დაიპყრეს ასირიელებმა და აქ დაარსეს პირველი ხეთური სახელმწიფო.

19. რომელი თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობდა ხეთების სამეფო?
ა) თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე;
ბ) თანამედროვე იორდანიისა და პალესტინის ტერიტორიაზე;
გ) თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე;
დ) თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე.

20. რომელი ხალხი ითვლება პროტოხეთებად?
ა) ხათები;
ბ) „ზღვის ხალხი“;
გ) მუშქები;
დ) ქართველური ტომები.

21. რომელი ქალაქი აქციეს ხეთებმა საკუთარი სამეფოს დედაქალაქად მას შემდეგ, რაც მათ გაანადგურეს ხათების სახელმწიფო?
ა) ქანესი;
ბ) ცალფა;
გ) ხათუსა;
დ) ქუსარა.

22. ძირითადად რომელ მომთაბარე ტომების თავდასხმებთან უწევდათ გამკლავება ხეთებს?
ა) „ზღვის ხალხების“;
ბ) ქასქების;
გ) მუშქების;
დ) სკვითების.

23. მესოპოტამიის რომელი დინასტია დაამხეს ხეთებმა მეფე მურსილის მმართველობის პერიოდში?
ა) ხეთების მარბიელ ლაშქრობას ემსხვერპლა ბაბილონის მმართველი ხამურაბის დინასტია;
ბ) ხეთებმა, მეფე მურსილის მეთურობით დაამარცხეს შუმერის მეფე ურუინიმგინა და ბოლო მოუღეს ლაგაშის დინასტიას;
გ) ხეთებმა ააოხრეს შუმერ-აქადის სახელმწიფო და დაამხეს ურის III დინასტია;
დ) მურსილის ლაშქრობას ემსხვერპლა ასურეთის მმართველი შამშიადიდთა დინასტია.

24. როდის დაამხეს ხეთებმა ბაბილონში ხამურაბის დინასტია.
ა) ძვ.წ. 1460 წელს;
ბ) ძვ.წ. 1234 წელს;
გ) ძვ.წ. 1640 წელს;
დ) ძვ.წ. 1531 წელს.

25. რომელი მეფის სახელს უკავშირდება ხეთების სამეფოს მკვეთრი გაძლიერება და რეგიონში დომინანტ ძალად ქცევა?
ა) მურსილი I-ის;
ბ) ხათუსილი III-ის;
გ) სუფილულიუმა I-ის;
დ) არნუვანდა II-ს.

26. ხეთების რომელი მეფის ქალიშვილი იყო მაათორნეფერურა, რომელიც ქადეშის ბრძოლის შემდეგ ცოლად შეირთო ეგვიპტის ფარაონმა რამსეს II-მ?
ა) სუფილილიუმა I-ის;
ბ) ხათუსილი III-ის;
გ) მურსილი III-ის;
დ) თუთხალია V-ის

27. რა გზით მოიპოვა ხათუსილი III-ემ სამეფო ტახტი?
ა) მეფე მუვათალის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი ერგო მის უფროს ვაჟს - ხათუსილი III-ს, რომელმაც შემდგომ საკუთარი ქალიშვილი მიათხოვა ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ს და ამით გაიმყარა ერთპიროვნული მონარქის პოზიციები;
ბ) მისი სიძის - რამსეს II-ის დახმარებით მან სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო მუვათალის კანონიერი მემკვიდრე მურსილი III;
გ) გადატრიალების შედეგად მან ტახტიდან ჩამოაგდო საკუთარი ძმის, ქადეშის ბრძოლის გმირის - მუვათალის ვაჟი მურსილი III და გახდა ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი;
დ) მუვათალის კანონიერი მემკვიდრე მურსილი III-ეს არ ჰყავდა გვარის გამგრძელებელი ვაჟი და მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ბიძა ხათუსილი III.

28. სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად რამ განაპირობა ხეთების იმპერიის დაცემა და მცირე სამეფოებად დაშლა ძვ. წ. XIII საუკუნის ბოლოს?

ა) ხეთების იმპერია ტახტის პრეტენდენტთა შორის გამწვავებულმა შიდა დაპირისპირებამ ძლიერ დაასუსტა და მან არსებობა შეწყვიტა;

ბ) იმპერიას მოულოდნელად თავს დაესხა კვლავ გაძლიერებული ეგვიპტე, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო ხეთების ახალ სამეფოს;

გ) ხეთების სამეფომ ვერ გაუძლო „ზღვის ხალხებისა“ და ქასქების მომთაბარე ტომების მარბიელ ლაშქრობებს;

დ) ხეთების იმპერია ემსხვერპლა კვლავ გაძლიერებული ასურეთის სამეფოს შემოსევას.

29. რომელ გეოგრაფიულ არეალში ჩამოყალიბდა ურარტუს სახელმწიფო?

ა) მცირე აზიაში, ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებში;

ბ) მცირე აზიაში, ანატოლიის ზეგანზე, თანამედროვე თურქეთის ევროპულ ნაწილში;

გ) სამხრეთ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე;

დ) აღმოსავლეთ შუამდინარეთში.

30. რომელი თანამედროვე სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ტერიტორიაზე მდებარეობდა ურარტუ?

ა) ურარტუს ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიას, ცენტრალური და აღმოსავლეთი ირანის ნაწილსა და მთელს ამიერკავკასიას;

ბ) ურარტუ განლაგებული იყო მხოლოდ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე;

გ) ურარტუ მდებარეობდა თანამედროვე თურქეთის, სომხეთის, ირანის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილისა და აზერბაიჯანის ნახიჩევანის ოლქის ტერიტორიაზე;

დ) ურარტუ მოიცავდა თანამედროვე თურქეთისა და სომხეთის ტერიტორიის ნაწილს.

31. რომელ ისტორიულ მონაკვეთში არსებობდა ურარტუს სახელმწიფო?

ა) ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში;

ბ) ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში;

გ) ძვ.წ. IX-V საუკუნეებში;

დ) ძვ.წ. XI-VIII საუკუნეებში.

32. ურარტუ ამ ქვეყნის ასურული სახელწოდებაა. როგორ უწოდებდნენ საკუთარ ქვეყანას ურარტუელები?

ა) ნაირი;

ბ) არარატ;

გ) ბიაინილ;

დ) თუშფა.

33. ვინ ითვლება ურარტუს დამოუკიდებელი სამეფოს პირველ მეფედ?

ა) იშფუინი;

ბ) სარდურ I;

გ) არამე;

დ) მენუა.

34. ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ურარტუს პირველი დედაქალაქი?

ა) ტუშფა;

ბ) არზაშკუნი;

გ) ური;

დ) მუსასირი.

35. ასურეთის რომელმა მეფემ გაილაშქრა ურარტუს სამეფოზე და მიწასთან გაასწორა მისი პირველი დედაქალაქი არზაშკუნი?
ა) სალმანასარ II-მა;
ბ) შამშიადიდ IV-მ;
გ) ტიგლათფილესერ I-მა;
დ) სალმანასარ III-მ.

36. ასურელთა შემოსევის შედეგად ურარტუს პირველი დედაქალაქი მთლიად დაინგრა. შემდგომში მეფე სარდურ I-მა ააშენა ახალი დედაქალაქი.
ჩამოთვლილთაგან, რომელია ეს ქალაქი?
ა) ტუშფა;
ბ) რუსახინილი;
გ) არგიშთიხინილი;
დ) მუსასირი.

37. რა უკავშირდება ურარტუს მეფე მენუას სახელს?
ა) ასურეთის მეფე შამში-ადიდ V-ის დამარცხება და მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთება;
ბ) 70 კილომეტრიანი არხის გაყვანა, რომელიც დედაქალაქ ტუშფას სასმელი წყლით ამარაგებდა;
გ) ქალაქ ერებუნის აგება, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი თანამედროვე ერევანს უკავშირებს;
დ) თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს - მანას დაპყრობა და საბოლოო დამორჩილება.

38. რომელი დაპყრობითი ომები უკავშირდება ურარტუს მეფე მენუას სახელს?
ა) კიმერიელების დამარცხება და მათი სამხრეთ კავკასიიდან განდევნა;
ბ) ჩრდილოეთით ლაშქრობა და დიახის ძლიერ შევიწროვება;
გ) ასურეთში გალაშქრება და დედოფალ სემირამიდას დამხობა;
დ) ეგვიპტეში წარმატებული ლაშქრობა.

39. რომელი მეფის მმართველობის ხანაში მიაღწია ურარტუმ თავისი ძლიერების მწვერვალს?
ა) მენუას;
ბ) არგიშთი I-ის;
გ) სარდურ I-ის;
დ) სარდურ II-ის.

40. რომელი მიღწევა არ უკავშირდება ურარტუს მეფე არგიშთი I-ის სახელს?
ა) ჩრდილოეთ სირიასა და ურმიის ტბის რაიონის ხელში ჩაგდება;
ბ) ქვეყანაში დიდი სამშენებლო საქმიანობის გაშლა და ქალაქ ერებუნის დაარსება;
გ) ასურეთის მეფე სარგონ II-ის დამარცხება და მისი ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილის შემოერთება;
დ) სამხრეთ კავკასიის დიდ ნაწილზე საკუთარი გავლენის გავრცელება.

41. რომელი ითვლება ურარტუს აყვავების ხანის უკანასკნელ მეფედ, რომლის მმართველობის ბოლოს დაიწყო სახელმწიფოს დასუსტება და დაღმასვლა.
ა) არგიშთი I;
ბ) რუსა I;
გ) სარდურ II;
დ) არგიშთი II.

42. რომელ წელს მოხდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III-სა და ურარტუს მეფე სარდურ II-ს შორის გადამწყვეტი ბრძოლა, რამლის შედეგადაც ურარტუმ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა?

ა) ძვ.წ. 720 წელს;
ბ) ძვ.წ. 740 წელს;
გ) ძვ.წ. 735 წელს;
დ) ძვ.წ. 765 წელს.

43. რა შედეგით დასრულდა ტიგლათფილესერ III-ს მცდელობა, აეღო ურარტუს დედაქალაქი ტუშფა მას შემდეგ, რაც ბრძოლის ველიდან გაქცეულმა სარდურ II-მ ქალაქის გალავანს შეაფარა თავი?

ა) ტუშფა დაეცა, რამაც დასაბამი დაუდო ერთ დროს უძლიერესი ურარტუს სამეფოს განადგურებას;
ბ) მიუხედავად იმისა, რომ ასურელებმა შეძლეს ქალაქის ერთი ნაწილის აღება, მათ ვერ მოახერხეს მისი გამაგრებული ციტადელის ხელში ჩაგდება;
გ) სარდურ II-ს დროულად მოუსწრო მოკავშირე გურგუმისა და კუმუხის მეფეთა ლაშქარმა და ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ III იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა;
დ) სარდურ II თავისი ოჯახით ჩაბარდა მტერს, რის შემდეგაც ასურელებმა ქალაქი დატოვეს, მის მაცხოვრებლებს კი ხარკი დააკისრეს.

44. ასურეთის რომელი მეფის სახელს უკავშირდება ურარტუს დამარცხება და მათი საკულტო ცენტრის, მუსასირის გადაწვა?

ა) სარგონ II-ის;
ბ) სალმანასარ V-ის;
გ) სინახერიბის;
დ) ასარხადონის.

45. როდის დაამარცხა ასურეთის მეფე სარგონ II-მ ურარტუელები?

ა) ძვ.წ. 709 წელს;
ბ) ძვ.წ. 714 წელს;
გ) ძვ.წ. 720 წელს;
დ) ძვ.წ. 735 წელს.

46. ვინ იყო ურარტუს მეფე, რომელმაც ძვ.წ. 714 წელს ასურელთაგან განცდილი მარცხის შემდეგ თავი მოიკლა?

ა) არგიშთი II;
ბ) ერიმენა;
გ) რუსა I;
დ) სარდურ III.

თავი IV. ფინიკიური ქალაქ სახელმწიფოები და ფინიკიური კოლონიზაცია

1. რომელი თანამედროვე სახელმწიფოების ტერიტორიაზე იყო განლაგებული ძველი ფინიკია?

ა) თურქეთისა და ირანის;
ბ) ლიბანის, სირიისა და ისრაელის;
გ) საუდის არაბეთისა და იორდანიის;
დ) ლიბანისა და იორდანიის.

2. რომელია ფინიკიის პირველი დედაქალაქი?
ა) ტრიპოლი;
ბ) სიდონი;
გ) არვადი;
დ) სარეპტა.

3. ჩამოთვლილ ქალაქთაგან, რომელი არ არის ძველი ფინიკიის მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი?
ა) უგარიტი;
ბ) სამარა;
გ) ტვიროსი;
დ) ბიბლოსი.

4. რა იყო ძველი ფინიკიური ქალაქების ძირითადი საქმიანობა?
ა) მეტალურგია და იარაღის წარმოება;
ბ) სოფლის მეურნეობა, ძირითადად მეხილეობა და მესაქონლეობა;
გ) ვაჭრობა და ზღვაოსნობა;
დ) ხელოსნობა.

5. რას უწოდებდნენ აქადის მეფეები ფინიკიელებით დასახლებულ მხარეს?
ა) „დილის ნიავის ქვეყანას“;
ბ) „კედრის ტყეს“;
გ) „მეწამულ მიწას“;
დ) „ზღვაოსანთა ქვეყანას“.

6. რას უწოდებდნენ საკუთარ ქვეყანას ფინიკიელები, რომლებიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სახლობდნენ?
ა) „კედრის ტყეს“;
ბ) „ნაირის ქვეყანას“;
გ) „მაღრიბს“;
დ) „ქანაანის ქვეყანას“

7. სადაური სახელია „ფინიკია“, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყანას ეწოდა?
ა) ბერძნული;
ბ) შუმერული;
გ) ეგვიპტური;
დ) ხეთური.

8. რას ნიშნავს „ფინიკია“, რომელიც ბერძნებმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყანას უწოდეს?
ა) „კლდოვანს“;
ბ) „აყვავებულს“;
გ) „მეწამულს“;
დ) „წვიმიანს“.

9. რა განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ფინიკიაში ირიგაცია სუსტად იყო განვითარებული?
ა) ფინიკიელთა არასაკმარისი საინჟინრო ცოდნა;
ბ) დიდი მდინარეების სიმცირე;
გ) მოუხერხებელი რელიეფი;
დ) ზღვასთან უშუალო სიახლოვე.

10. რომელი იყო ფინიკიის მთავარი მდინარე?
ა) ჰაროდი;
ბ) იორდანე;
გ) ნაამანი;
დ) მეაროტი.

11. რა მოდგმის ხალხი იყვნენ ქანაანელები (ფინიკიელები)?
ა) ინდო-ევროპული;
ბ) აფრიკული;
გ) სემიტური;
დ) ეს საკითხი ჯერჯერობით დაუდგენელია.

12. რომელ ისტორიულ პერიოდში დასახლდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ქანაანელთა სემიტური ტომები?
ა) ადრე ბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. III ათასწლეულში;
ბ) შუა ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს;
გ) ჯერ კიდევ ენეოლითში;
დ) გვიან ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდში.

13. ძირითადად რომელი სახელმწიფო ქირაობდა ფინიკიურ ფლოტს ძვ. წ. V საუკუნეში?
ა) ფინიკიურ სავაჭრო ფლოტს ხშირად ქირაობდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები საქონლის შორეულ ქვეყნებში ექსპორტის მიზნით;
ბ) მრისხანე ფინიკიურ ფლოტს ძირითადად ქირაობდნენ სპარსელები ათენელთა და მათი მოკავშირე ბერძნული ქალაქების საზღვაო დომინაციის გასანეიტრალებლად;
გ) ფინიკიის ფლოტს ძირითადად ეგვიპტის ფარაონები ქირაობდნენ ნაირის ქვეყნებში საკუთარი სავაჭრო პროდუქციის გადაზიდვისათვის;
დ) ფინიკიის ძლიერ სამხედრო ფლოტს ხშირად ქირაობდნენ ხან სპარტა და ათენი პუნიკური ომების დროს.

14. ვინ ეცილებოდა ფინიკიელებს ზღვაზე პირველობისათვის საუკუნეების განმავლობაში?
ა) შუმერები;
ბ) ბერძნები;
გ) ასურელები;
დ) ეგვიპტელები.

15. რომელი ბერძენი ისტორიკოსი გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ ძვ.წ. VII-VI საუკუნების მიჯნაზე ფინიკიელმა ზღვაოსნებმა აფრიკას შემოუარეს?
ა) თუკიდიდე;
ბ) ჰეროდოტე;
გ) სტრაბონი;
დ) პლუტარქე.

16. როგორ მოიხსენიებდნენ ბერძნები აფრიკას?
ა) მაღრიბი;
ბ) კართაგენი;
გ) ლიბია;
დ) მავრიტანია.

17. ჰეროდოტეს მიხედვით, ეგვიპტის რომელი ფარაონის დავალებით შემოუარეს ფინიკიელმა ზღვაოსნებმა აფრიკის კონტინენტს?

ა) ფსამეტიქის;
ბ) ტეფნახტის;
გ) ამირტისის;
დ) ნეხოს.

18. რომელი ქვეყნების გავლენის ქვეშ მოექცა ფინიკია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში?

ა) ფინიკიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ეგვიპტის კონტროლის ქვეშ ექცევა, ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი - უგარიტის სამეფო კი ხეთების ვასალი ხდება;
ბ) ამ პერიოდში ფინიკიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ასურეთი, ხოლო მისი ჩრდილოეთი მხარე ექცევა ხეთების გავლენის ქვეშ;
გ) ძვ. წ. XV საუკუნეში ფინიკიას იკავებენ „ზღვის ხალხები“, მისი სამხრეთი პერიფერიები კი რჩება ასურეთის გავლენის ქვეშ;
დ) ძვ. წ. XV საუკუნეში ფინიკიის ტერიტორიას ინაწილებენ მიდიისა და ხეთების სამეფოები.

19. რომელი ფარაონების მმართველობის დროს შეძლო ეგვიპტემ ფინიკიის დამორჩილება?

ა) თოთმეს I-ისა და თოთმეს II-ის დროს;
ბ) იახმოს I-ისა და ამენხოტეპ I-ის მმართველობის დროს;
გ) თოთმეს III-ისა და ამენხოტეპ II -ის მმართველობის დროს;
დ) თოთმეს III-ისა და ამენხოტეპ III -ის მმართველობის დროს.

20. ფინიკიის ქალაქ ტვიროსის რომელი მმართველის სახელს უკავშირდება ამ ქალაქ-სახელმწიფოს განსაკუთრებული გაძლიერება ძვ.წ. X საუკუნეში?

ა) პიგმალიონის;
ბ) ჰირამის;
გ) ზიმრიდას;
დ) აბიბაალის.

21. სხვა მიღწევებთან ერთად, რაში გამოიხატა ფინიკიის ქალაქ ტვიროსის ძლიერება ჰირამის მეფობის ხანაში?

ა) ტვიროსმა შეძლო ხმელთაშუაზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების დამორჩილება;
ბ) ქალაქის მოსახლეობამ 40 000-ს მიაღწია, რაც იმ დროს ძალიან დიდი რიცხვი იყო;
გ) ქალაქში აშენდა იმ დროისთვის უდიდესი სასახლე აპადანი;
დ) ტვიროსი იქცა უდიდეს პორტად ხმელთაშუაზღვისპირეთში.

22. რომელი სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ფინიკია ძ.წ. IX-VII საუკუნეებში?

ა) ეგვიპტის;
ბ) ასურეთის;
გ) აქამენინათა სპარსეთის;
დ) ურარტუს.

23. აქამენიანთა სპარსეთის რომელი მეფის სახელს უკავშირდება ფინიკიის დაპყრობა ძვ.წ. VI საუკუნის შუახანებში?

ა) დარიოს I-ის;
ბ) კიროსის;
გ) ასტიაგეს;
დ) არტაქსერქსე I-ის.

24. ფინიკიის ისტორიაში პირველად, რომელ ქალაქში შეიქმნა სახელმწიფო მმართველობის ორგანო „უხუცესთა საბჭო“?
ა) ტვიროსში;
ბ) უტიკაში;
გ) უგარიტში;
დ) ტრიპოლისში.

25. რომელია ფინიკიელთა მიერ კოლონიების დაარსების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?
ა) ჭარბი მოსახლეობა;
ბ) სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების სიმცირე;
გ) მძიმე კლიმატური პირობები;
დ) მილიტარისტულ სახელმწიფოთა შემოსევები.

26. რომელია ფინიკიელთა მიერ აფრიკის კონტინენტზე დაარსებული ერთ-ერთი პირველი კოლონია?
ა) აბიდოსი;
ბ) ცირტა;
გ) უტიკა;
დ) კირენა.

27. როდის დააარსეს ფინიკიელმა კოლონისტებმა ქალაქი უტიკა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით?
ა) ძვ.წ. 1278 წელს;
ბ) ძვ.წ. XI საუკუნეში;
გ) ძვ.წ. 864 წელს;
დ) ძვ.წ. IX საუკუნეში.

28. რომელია ფინიკიელი კოლონისტების მიერ აფრიკაში, თანამედროვე ტუნისის ტერიტორიაზე დაარსებული უმნიშვნელოვანესი ქალაქი?
ა) ბიზერტა;
ბ) ტიპაზა;
გ) კართაგენი;
დ) ბიბლუსი.

29. როდის დააარსეს ფინიკიელებმა კართაგენი?
ა) ძვ.წ. 814 წელს;
ბ) ძვ.წ. 724 წელს;
გ) ძვ.წ. 754 წელს;
დ) ძვ.წ. 1100 წელს.

30. ვის სახელს უკავშირდება კართაგენის დაარსება?
ა) ტვიროსის მეფე ჰირამის სახელს;
ბ) ფინიკიელი მეკობრეების სახელს;
გ) ტვიროსის მეფე პიგმალიონის სახელს;
დ) სიდონის პირველი მეფე ამილიკის სახელს.

31. რომელია პირენეს ნახევარკუნძულზე ფინიკიელ კოლონისტთა მიერ დაარსებული ქალაქი?
ა) კადისი;
ბ) ბილბაო;
გ) სარაგოსა;
დ) ალბასეტე.

32. ურბანული მშენებლობისა და ინჟინერიის რომელი მიღწევის პიონერებად ითვლებიან ფინიკიელები?

ა) ფინიკიელებმა პირველად გამოიყენეს კუნძულის ტერიტორიის გაფართოება ხელოვნური მიწაყრილებით;

ბ) ფინიკიელებმა გამოიგონეს დიდი სამშენებლო მონოლითების ტრანსპორტირებისა და საჭირო სიმაღლეზე აზიდვის ტექნოლოგია;

გ) ფინიკიელებმა პირველად შემოიღეს აკვედუკები და წყალარინების სისტემა;

დ) ფინიკიელების სახელს უკავშირდება გვირაბების გაყვანის საინჟინრო ტექნოლოგიის შემოღება.

33. დამწერლობის რომელ ფორმებს იყენებდნენ ძველი ხალხები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლომდე?

ა) მორფემოგრაფიული დამწერლობას;

ბ) კონსონანტურ-სილაბურ დამწერლობას;

გ) ფიზიოგრაფიკულ დამწერლობას;

დ) შერეულ იდეოგრაფიულ-სილაბურ დამწერლობას.

34. როდის შექმნეს ფინიკიელებმა საკუთარი კონსონანტური დამწერლობა?

ა) ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში;

ბ) ძვ.წ. III ათსაწლეულის ბოლოს;

გ) ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში;

დ) ძვ.წ. III ათსაწლეულის ბოლოს.

35. რითი გააუმჯობესეს ბერძნებმა ფინიკიელთა კონსონანტური დამწერლობა?

ა) ფინიკიურ თანხმოვნებს დაუმატეს სხვა ახალი თანხმოვნები, რომელთა გამოყენებითაც უკვე შესაძლებელი გახდა ნებისმიერი სიტყვის გრაფიკულად გადმოცემა;

ბ) მათ ფინიკიურ თანხმოვნებს ხმოვნებიც დაუმატეს;

გ) ფინიკიურ ხმოვანთა და თანხმოვანთა ნუსხას დაუმატეს ახალი ხმოვნების გამომხატველი გრაფემები;

დ) ცალკეული სიტყვის აღმნიშვნელ გრაფემებს დაუმატეს რიცხვითი მნიშვნელობის გამომხატველი ნიშნები.

36. რა იყო სავარაუდო მიზეზი იმისა, რომ ეგვიპტელმა ქურუმებმა არ შექმნეს საკუთარი ანბანი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ფინიკიელებზე ადრე ჰქონდად ამისათვის საჭირო ცოდნა?

ა) მანამდე არსებული ლურსმული დამწერლობა ღმერთების შვილის, ფარაონის მიერ ბოძებულ საჩუქრად ითვლებოდა, რომლის შეცვლა მკრეხელობად აღიქმებოდა;

ბ) ეს საფრთხეს შეუქმნიდა იმდროინდელ საზოგადოებაში ქურუმთა პრივილეგირებულ მდგომარეობასა და გავლენას, რომელიც განსწავლულობაზე იყო დამოკიდებული;

გ) ამას ხელს უშლიდა ძველი ეგვიპტის კონსერვატიული საზოგადოების კარჩაკეტილობა და სიახლის მიმართ მიუღებლობა;

დ) ეს რევოლუციური სიახლე შეარყევდა ათასწლეულების განმავლობაში არსებულ სოციალ-კულტურულ ბალანსს, რასაც ემყარებოდა ეგვიპტის ძლიერება.

37. რითი აიხსნება ფინიკიელების მიერ ღმერთის სახელის ტაბუირების წესი?

ა) ფინიკიელთა შორის დამკვიდრებული წესის თანახმად, ღმერთების სახელის ხსენების უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა;

ბ) ფინიკიელთა აზრით, სახელით მოხსენიება ღმერთებს განარისხებდა;

გ) ფინიკიელები ფიქრობდნენ, რომ სახელით მოხსენიება ძალას აცლიდა ღმერთებს;

დ) ფინიკიელების რწმენით, მათი ღმერთების სახელები საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო სხვა ხალხებისათვის, რათა შებღალვისაგან დაცული ყოფილიყო მათი სიწმინდე.

38. რას უწოდებდნენ ფინიკიელები კრებსითად ყველა ღმერთს, მათი კონკრეტული სახელების ხსენებისგან თავის არიდების მიზნით?
ა) ბაალს;
ბ) აშთარს;
გ) იაჰვეს;
დ) მოლოხს.

39. რა ერქვა ტიროსის მფარველ ღმერთს ფინიკიურ ღვთაებათა პანთეონში?
ა) ბაალ-ჰამონი;
ბ) მოთი;
გ) მელქართი;
დ) მოლოხი.

40. რომელი იყო ძველი ფინიკიელების სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, რომელიც, ამავდროულად, ქალაქ ბიბლოსის მფარველ ღვთაებადაც ითვლებოდა?
ა) ანატი;
ბ) აშტარტა;
გ) ბაალ-შამინი;
დ) ეშმუნა.

თავი V. დიაოხი და კოლხა.

1. როდის გამოჩნდნენ ქართული ტომები წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე?
ა) ძვ.წ X საუკუნიდან.
ბ) ძვ.წ XI საუკუნის დასაწყისიდან.
გ) ძვ.წ XIII საუკუნიდან.
დ) ძვ.წ XIV საუკუნის ბოლოდან.

2. რომელ ისტორიულ მოვლენას დაემთხვა წინა აზიაში ქრთული ტომების ასპარეზზე გამოსვლა?
ა) კიროს დიდის მიერ აქემენიდების ჩამოყალიბებას;
ბ) ხეთების იმპერიისა და მითანის სახელმწიფოს განადგურებას;
გ) ერთ დროს უძლიერესი მილიტარისტული იმპერიის - ასურეთის გაქრობას;
დ) წინა აზიაში ურარტუს ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

3. ვინ გაანადგურა ხეთების სახელმწიფო?
ა) კიმერიელებმა;
ბ) ასურეთმა;
გ) „ზღვის ხალხებმა“;
დ) მიდიამ.

4. რომელი ძველქართული ტომები დამკვიდრდნენ ხეთების იმპერიის აღმოსავლეთით ამ სახელმწიფოს განადგურების შემდეგ?
ა) მაკრონები;
ბ) სანიგები;
გ) მუშქები;
დ) ჰენიოხები.

5. რომელმა სახელმწიფომ გაანადგურა მითანის სახელმწიფო
ა) ასურეთმა;
ბ) ხათთა სახელმწიფომ;
გ) ეგვიპტემ;
დ) მიდიამ.

6. ასურეთის რომელმა მეფემ გაილაშქრა ქართული ტომების გაერთიანების - დაიაენის წინააღმდეგ ძვ.წ. 1112 წელს?
ა) აშურბანიპალმა;
ბ) აშურ-დან I-მა;
გ) ტიგლათფილესერ I-მა;
დ) შამშიადად IV-მ.

7. რომელ წყაროებში არის მოხსენიებული ქართულ ტომთა გაერთიანება დაიაენი „დიაოხის“ სახელწოდებით?
ა) ბერძნულ;
ბ) ასურულ;
გ) ურარტულ;
დ) ფინიკიურ.

8. რას უწოდებდნენ ბერძნები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდინარე ჭოროხის აუზში მცხოვრებ ქართულ ტომებს?
ა) კოლხებს;
ბ) ქაშქებს;
გ) ზიდრიტებს;
დ) ტაოხებს.

9. ვინ იყო დიაოხის მეფე, რომელიც შეებრძოლა ტიგლათფილესერ I-ის არმიას ძვ.წ. 1112 წლის ლაშქრობის დროს?
ა) ასია;
ბ) სიენი.
გ) აზონი.
დ) უტუფურსი.

10. რა შედეგით დასრულდა ტიგლათფილესერ I-ის ლაშქრობა დაიაენის წინააღმდეგ 1112 წელს?
ა) სინეს მიემხრო მეზობელი 60 ქვეყნის მეფე, რისი წყალობითაც დიაოხმა მოიგერია ასურელების შემოტევა;
ბ) ტიგლათფილესერ I დამარცხდა და სასწაულებრივად დააღწია თავი ტყვედ ჩავარდნას;
გ) დიაოხის მეფე სიენი დამარცხდა, ის ტყვედ ჩაუვარდა ტიგლათფილესერს, რომელმაც შემდეგ მორჩილების პირობის ფასად გაანთავისუფლა;
დ) მეფე სიენის არმიის მედგარი წინააღმდეგობის შედეგად ტიგლათფილესერი იძულებული იყო, დათანხმდებოდა ზავს.

11. რა უკავშირდება დიაოხის მეფე უტუფურსის სახელს?
ა) იგი შეებრძოლა ქვეყანაში შემოჭრილ ურარტუს ლაშქარს, თუმცა, ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მტერს;
ბ) ძვ.წ. VIII საუკუნის დასაწყისში მან შეძლო ურარტუსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება, რითაც შეასუსტა დიაოხზე ასურეთის გავლენა;
გ) მან ისარგებლა ასურეთის დასუსტებით და ქვეყანა გაანთავისუფლა ოკუპანტებისაგან;
დ) მან დიაოხი ძლიერების მწვერვალზე აიყვანა, გააფართოვა ქვეყნის საზღვრები და მისი გავლენა გაავრცელა მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთზე.

12. ურარტუს რომელი მეფეების წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა დიაოხის მეფე უტუფურსს?
ა) სარდური I-ისა და იშფუინის;
ბ) სარდური II-ისა და რუსა I-ის;
გ) მენუასა და არგიშთი I-ის;
დ) კიაქსარისა და ასტიაგეს.

13. როდის შეწყვიტა არსებობა დიაოხმა?
ა) ძვ.წ. V საუკუნეში;
ბ) ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს;
გ) ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისში;
დ) ძვ.წ. VIII საუკუნეში.

14. ურარტუსთან ერთად, რომელმა სახელმწიფომ ითამაშა გადამწყვეტი როლი დიაოხის განადგურებაში?
ა) მიდიამ;
ბ) კოლხამ;
გ) მითანმა;
დ) ეთიუნმა.

15. რომელი ისტორიული პერიოდიდან არიან მოხსენიებული კოლხები მიკენურ ტექსტებში?
ა) ძვ.წ. XVI საუკუნიდან;
ბ) ძვ.წ. XIV საუკუნიდან;
გ) ძვ.წ. X საუკუნიდან;
დ) ძვ.წ. VIII საუკუნიდან.

16. სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად რამ შეუწყო ხელი კოლხებში საზოგადოების განვითარებასა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებას?
ა) ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებამ;
ბ) დიდი ქალაქის ტიპის დასახლებების გაჩენამ;
გ) რკინის სამრეწველო გამოყენებაზე გადასვლამ;
დ) შრომის იარაღების განვითარებამ.

17. რომელ ქართულ ტომთან არის დაკავშირებული მეტალურგიის, კერძოდ კი რკინის დამუშავების განვითარება?
ა) მოსიბიკებთან;
ბ) სანიგებთან;
გ) ხალიბებთან;
დ) სასპერებთან.

18. რა ფაქტორი უწყობდა ხელს შავი ზღვის სანაპიროზე განსახლებული ადრეული ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების განვითარებას?
ა) გარეშე მტრებისაგან დაცული, გეოგრაფიულად იზოლირებული მდებარეობა;
ბ) შავ ზღვის სავაჭრო გზებთან უშუალო სიახლოვე;
გ) წინა აზიის კულტურულ ცენტრებთან მჭიდრო ურთიერთობა;
დ) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების დაარსება ძვ.წ. XI საუკუნეში.

19. რომელ ისტორიულ მონაკვეთში ჩამოყალიბდა მაღლკულტურული და ძლიერი კოლხეთის სამეფო?
ა) ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში;
ბ) ძვ.წ. XI-IX საუკუნეებში;
გ) ძვ.წ. XIII-X საუკუნეებში;
დ) ძვ.წ.XII-XI საუკუნეებში.

20. რომელი ბერძნული მითი ასახავს ძველი კოლხეთის სამეფოს ძლიერებასა და სიმდიდრეს?
ა) მითი ოდისევსის მოგზაურობის შესახებ;
ბ) მითი ჰეფვესტოსის შესახებ;
გ) მითი მეფე ოიდიპოსის შესახებ;
დ) მითი არგონავტების შესახებ.

21. როდიდან იწყება ყოფილი მოკავშირეების - კოლხეთსა და ურარტუს შორის დაპირისპირება?
ა) ძვ.წ. IX საუკუნიდან;
ბ) ძვ.წ. VIII საუკუნიდან;
გ) ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისიდან;
დ) ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულიდან.

22. ურარტუს რომელმა მეფემ ილაშქრა ორჯერ კოლხეთის სამეფოში ძვ.წ. VIII საუკუნის შუა წლებში?
ა) არგიშთი I-მა;
ბ) სარდურ II-მ;
გ) რუსა I-მა;
დ) მენუამ.

23. რა ერქვა კოლხეთის სამეფოს დედაქალაქს, რომელიც ურარტუს მეფე სარდურ II-მ აიღო კოლხეთში ლაშქრობისას?
ა) ეა;
ბ) გიენოსი;
გ) ილდამუშა;
დ) კუტაია.

24. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულმა რომელი ტომების შემოსევამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი კოლხას განადგურებაში?
ა) კიმერიელების;
ბ) ხურიტების;
გ) მასაგეტების;
დ) პელაზგების

25. სკვითების გარდა, რომელმა ტომებმა დალაშქრეს კოლხეთის სამეფო ძვ.წ. VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში?
ა) სარმატებმა;
ბ) ალანებმა;
გ) დალმატებმა;
დ) სკვითებმა.

26. რომელმა სახელმწიფომ გაანადგურა ურარტუ ძვ.წ. 590 წელს, რის შემდეგაც ამ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა და ქართულ ტომებს შეერია?
ა) ასურეთმა;
ბ) მითანმა;
გ) მიდიამ;
დ) ხეთების სამეფომ.

27. რა მიუთითებს იმაზე, რომ თავიანთი სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ურარტუს მოსახლეობის გადარჩენილი ნაწილი ქართულ ტომებს შეერია და მათთან ერთად თანაარსებობდა?
ა) კოლხეთის ძველი სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ურარტული მონეტები;
ბ) ქართულ გვარ-სახელებში დამკვიდრებული ურარტული წარმომავლობის ძირები;
გ) ქართულ ენასა და ფოლკლორში აღმოჩენილი ურარტული კვალი;
დ) კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ურარტული ეპიგრაფიული ძეგლები.

28. რომელი ურარტული ღვთაების სახელი გვხვდება ქართულ სამეურნეო სიმღერებში?
ა) პანთეონის მთავარი ღვთაება ხალდის;
ბ) მიწისა და საქონლის მფარველი ღვთაება შელარდის;
გ) მოსავლიანობის ღვთაება არალეს;
დ) მზის ღმერთ შივინის.

29. რას ნიშნავს ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვა „ყირა“ ურარტუს ენაზე?
ა) ცას, ზეცას;
ბ) ბრუნვას, ტრიალს;
გ) წაქცევას;
დ) მიწას.

თავი VI. აქემენიანთა ირანი

1. ვინ ითვლება აქემენიანთა ირანული დინასტიის დამაარსებლად?
ა) კამბისე;
ბ) აქემენი;
გ) კიროს დიდი;
დ) ტეისპი;

2. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ძველი სპარსული ტომების გაერთიანებას ძვ.წ. VI საუკუნეში?
ა) ზოროასტრიზმის გავრცელებამ;
ბ) ასურეთის იმპერიის განადგურებამ;
გ) ე.წ. „ბრინჯაოს ხანის კატასტროფამ“, რამაც გამოიწვია ხალხთა დიდი მიგრაცია და ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბება;
დ) მიდიის სახელმწიფოს დასუსტებამ.

3. ვის სახელს უკავშირდება მცირე აზიაში პირველი სპარსული სახელმწიფოს დაარსება?
ა) კიროს დიდის;
ბ) აქამენეს;
გ) ტესიპის;
დ) არიარამნას.

4. რითი არის მნიშვნელოვანი ძვ. წ. 558 წელი ძველი სპარსეთის ისტორიაში?
ა) ამ წელს კიროს II - მ დაამრცხა მიდიის ჯარი და დაიწყო ხანგრძლივი ტერიტორიული ექსპანსია წინა აზიასა და აფრიკაში;
ბ) ამ წელს სპარსულ-აქამენურ სამეფოს სათავეში ჩაუდგა კიროს II, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სპარსეთის ძლევამოსილ იმპერიას;
გ) ამ წელს აქამენმა შეძლო სპარსული ტომების გაერთიანება და თავი პირველი სპარსული სახელმწიფოს მეფედ გამოაცხადა;
დ) ამ წელს კიროს II - მ შეძლო ბაბილონის დაპყრობა.

5. რომელ ისტორიულ მონაკვეთში არსებობდა აქმენიანთა იმპერია?
ა) ძვ.წ. VI-III საუკუნეებში;
ბ) ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში;
გ) ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში;
დ) ძვ.წ. V-II საუკუნეებში

6. რომელ წელს დაამარცხა კიროს II - მ მიდიელები?
ა) ძვ.წ.558 წელს;
ბ) ძვ.წ. 550 წელს;
გ) ძვ.წ. 539 წელს;
დ) ძვ.წ. 522 წელს.

7. რა დამსახურებისთვის არის კიროს II დიდი მოხსენიებული ბიბლიაში განსაკუთრებული პატივით?
ა) მან ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის დინასტია დაამხო და მის შთამომავლებს დააკისრა ვალდებულება, საკუთარი ქონება გადაეცათ ადგილობრივი ებრაელებისათვის მათი დევნისა და შევიწროვების საზღაურად;
ბ) მან ებრაელებს შეუქმნა ფართო პოლიტიკური ავტონომია სპარსეთის სახელმწიფოში და შეწყვიტა მათი დევნა აღმსარებლობის გამო;
გ) კიროს დიდმა ებრაელებს უფლება მისცა, გაევრცელებინათ საკუთარი რელიგია სპარსეთის სატრაპიებში;
დ) კიროს დიდმა ებრაელები იხსნა ბაბილონის ხანგრძლივი ტყვეობიდან, სამშობლოში დააბრუნა ისინი და სახსრები გამოუყო იერუსალიმის ტაძრის აღსადგენად.

8. რომელ წელს დაიპყრო კიროს დიდმა ბაბილონი?
ა) ძვ.წ. 550 წელს;
ბ) ძვ.წ. 539 წელს;
გ) ძვ.წ. 558 წელს;
დ) ძვ.წ. 522 წელს.

9. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი აქამენიანთა სპარსული იმპერიის გაძლიერებას?
ა) კიროს დიდმა საფუძველი ჩაუყარა დაპყრობილ ხალხებთან თანაარსებობისა და თანამშრომლობის ტრადიციას, რის შედეგადაც დამარცხებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ელიტა ირანის სამეფოს სამსახურში ჩადგა;
ბ) აქამენიანთა მმართველობა განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა დაპყრობილი ხალხების მიმართ, რაც მათ აიძულებდა მუდმივ მორჩილებაში ყოფილიყვნენ;
გ) აქამენიანთა მეფეები დაპყრობილ ტერიტორიებზე აარსებდნენ სპარსულ კოლონიებს და ხელს უწყობდნენ მათ გაძლიერებას;
დ) აქამენიანთა მმართველობა აღინიშნა საკუთარი რელიგიის აგრესიული გავრცელებით დაპყრობილ ტერიტორიებზე, რამაც მნიშვნელოვნად გააძლირა იმპერიული მმართველობა.

10. ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს მიხედვით, რითი იყო გამორჩეული კოლხებისა და სპარსეთის ძველი იმპერიის ურთიერთობები?
ა) კავკასიის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, კოლხეთში სპარსელებმა სრულად გააუქმეს სახელმწიფოებრიობა და ის პირდაპირ საიმპერიო მმართველობას დაუქვემდებარეს;
ბ) სპარსელებმა კოლხეთს ერთადერთი ვადლებულება დააკისრეს - ჩაეკეტა კავკასიონის გადმოსასვლელები და შეეკავებინა მომთაბარეთა თავდასხმები;
გ) სხვა დაპყრობილი ხალხებისაგან განსხვავებით, კოლხები არ იხდიდნენ ხარკს და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ საჩუქრებით;
დ) სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, კოლხებს ხარკთან ერთად უნდა ეხადათ 1000 ტალანტი გუნდრუკი.

11. რომელი მეფის მმართველობის დროს დაიპყრო ირანმა ეგვიპტე?
ა) კიროს II-ის მეფობის დროს;
ბ) კიროს დიდი მემკვიდრის - კამბისეს მეფობის დროს;
გ) დარიოს I-ის მეფობის დროს;
დ) აქემენინური ირანის მიერ დაპყრობილ ტერიტორიათა ჩამონათვალში ეგვიპტე არასოდეს ყოფილა.

12. რა ერქვათ დარიოს I-ის ადმინისტრაციულ-საგადასახადო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულებს?
ა) დუმნები;
ბ) ვილაიათები;
გ) სატრაპიები;
დ) ნომები.

13. რა ფუნქციით იყვნენ აღჭურვილნი სატრაპები დარიოს I-ის იმპერიაში?
ა) ასრულებდნენ მეფის ნაცვლის ფუნქციებს და აღჭურვილნი იყვნენ შეუზღუდავი სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით;
ბ) მათი ფუნქციები შემოიფარგლებოდა მხოლოდ გადასახადების აკრეფით;
გ) მათ ეკისრებოდათ მხოლოდ სამოქალაქო ფუნქციების შესრულება, ხოლო სამხედრო უფლებამოსილებებს მხედართმთავრები ახორციელებდნენ.
დ) ისინი ძირითადად სამხედრო ფუნქციებს ასრულებდნენ: ადგილებზე კრებდნენ ლაშქარს და უზრუნველყოფდნენ წესრიგს ომიანობის პერიოდში.

14. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ განაპირობა აქემენიანთა სპარსული იმპერიის გაძლიერება დარიოს I-ის მმართველობის დროს?
ა) დარიოს I-ის მიერ გატარებულმა ეფექტურმა ადმინისტრაციულ-საგადასახადო რეფორმამ;
ბ) ქვეყნის მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნამ, რაც შეესაბამებოდა იმპერიის მილიტარისტულ მისწრაფებების;
გ) დარიოს I-ის მიერ გატარებულმა ფართო საგანმანათლებლო-კულტურულმა რეფორმამ;
დ) დარიოსის აგრარულმა რეფორმამ, რომლის ღერძს წარმოადგენდა თავისუფალ მიწის მესაკუთრეთა ფენის ხელშეწყობა.

15. რომელი არ არის მართებული მსჯელობა დარიოს I-ის მიერ გატარებული რეფორმების შესახებ?
ა) რეფორმების შედეგად, იმპერიის ტერიტორიულ ერთეულებში ძირითადად შენარჩუნებული იქნა ადგილობრივი მმართველობის ტრადიციული ფორმები;
ბ) რეფორმის შედეგად ძირეულად შეიცვალა მანამდე არსებული ბაბილონური სამართლის ფორმები და შემოღებული იქნა ახალი, სპარსული სამართალი;
გ) დარიოსის მიერ ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემა თითქმის უცვლელად შენარჩუნდა აქემენიანთა იმპერიის დამხობამდე;
დ) დარიოსის ადმინისტრაციულ-ფინანსურმა რეფორმამ მოაწესრიგა გადასახადების აკრეფა და ხელი შეუწყო სამხედრო კონტინგენტის გაზრდას.

16. ჰეროდოტეს მიხედვით, რამდენ სატრაპიად იყო დაყოფილი დარიოს I-ის იმპერია?
ა) 12;
ბ) 20;
გ) 35;
დ) 70.

17. რომელი არის მართებული მსჯელობა აქემენიანთა იმპერიაში კოლხეთის სამეფოს სტატუსის შესახებ?

ა) კოლხეთის მთელი სამეფო უშუალო დაქვემდებარებაში იყო აქემენიანთა იმპერიასთან და შედიოდა მე-19 სატრაპიაში;

ბ) კოლხეთის სამეფოს სამხრეთი ნაწილი შედიოდა მე-19 სატრაპიაში, ხოლო, დანარჩენი ნაწილი ინარჩუნებდა დამოუკიდებელი სამეფოს სტატუსს;

გ) კოლხეთის სამეფო საკუთარ საზღვრებში რჩებოდა და ინარჩუნებდა ფორმალურ დამოუკიდებლობას;

დ) კოლხეთის სამეფო ქმნიდა ცალკეულ სატრაპიას იმპერიის შემადგენლობაში და არ ფლობდა სუვერენიტეტის ნიშნებს.

18. რა ეწოდებოდა აქემენიანთა იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს?

ა) ნომები;

ბ) ოსტანები;

გ) ტოპარქიები;

დ) სატრაპიები.

19. ძირითადად ვისგან იყო დაკომპლექტებული აქემენიანთა იმპერიის არმია?

ა) მხოლოდ სპარსელებისგან;

ბ) სპარსელების, მიდიელებისა და დაქირავებული სკვითი ჯარისკაცებისაგან;

გ) სპარსელებისა და დაქირავებული სკვითებისაგან;

დ) სპარსელებისა და მიდიელებისაგან.

20. რომელი სამხედრო დანაყოფი შეადგენდა აქემენიანთა ირანის არმიის ძირითად ბირთვს?

ა) დაქირავებულ მიდიელთა ქვეითი ჯარი;

ბ) ფანატიკოს თვითმკვლელთაგან დაკომპლექტებული „ასასინთა“ შენაერთი;

გ) 10 000 „უკვდავი“ მეომარი, რომელიც მეფის პირად დაცვას წარმოადგენდა;

დ) სპარსელ დიდგვაროვანთა მიერ დაკომპლექტებული კავალერია.

21. რომელ სახელმწიფოზე (სახელმწიფოებზე) არ ვრცელდებოდა აქემენიანთა იმპერიის გავლენა?

ა) ბერძნულ პოლისებზე;

ბ) ბაბილონზე;

გ) ეგვიპტეზე.

დ) სირიისა და ფინიკიის მცირე სამეფოებზე.

22. რომელი იყო აქემენიანთა სატახტო ქალაქი?

ა) ეკბატანა;

ბ) პერსეპოლისი;

გ) სუსა;

დ) ისპაჰანი.

23. რა ეწოდებოდა აქემენიანთა სამეფო სასახლეს, რომელიც იმპერიის სიძლიერეს განასახიერებდა?

ა) ალი ქაფუ;

ბ) პართენონი;

გ) აპადანა;

დ) თოფქაფი.

24. ვის სახელს უკავშირდება აქემენიდების სამეფო სასახლის, აპადანას დანგრევა?
ა) სციპიონ ათრიკელის;
ბ) თემურ ლენგის;
გ) მითრიდატე პონტოელის;
დ) ალექსანდრე მაკედონელის.

25. რომელ ენას იყენებდნენ აქემენიდურ ირანში ოფიციალური საქმისწარმოებისათვის?
ა) ბაბილონურს;
ბ) არამეულს;
გ) ბერძნულს;
დ) სპარსულს.

26. რა მიზეზით იყო განპირობებული აქემენიანთა მეფეების სწრაფვა, დაემორჩილებინათ ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები?
ა) მათი არსებობა ხელს უშლიდა სპარსეთის გეგმას, გამხდარიყო აბსოლუტური დომინანტი საერთაშორისო პოლიტიკაში;
ბ) ათენი და ტროა აკონტროლებდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს საზღვაო სავაჭრო არხებს;
გ) ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ხელს უშლიდნენ ზოროასტრიზმის გავრცელებას დასავლეთში;
დ) იმ ხანად გაძლიერებული ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ხშირად ესხმოდნენ თავს ირანის დასავლეთ საზღვრებს.

27. რომელ წლებში მიმდინარეობდა ბერძენ-სპარსელთა ომები?
ა) ძვ.წ. 500 – 449 წლებში;
ბ) ძვ.წ. 431– 404 წლებში;
გ) ძვ.წ. 492 – 431 წლებში;
დ) ძვ.წ. 480 – 431 წლებში.

28. რა გახდა მარათონის ბრძოლის მიზეზი?
ა) ათენის საბრძოლო ფლოტელიის მიერ სპარსული სავაჭრო გემის ჩაძირვა ეგეოსის ზღვაში;
ბ) ათენელთა უარი, სპარსელებისათვის დაეთმოთ კუნძული ლესბოსი ეგეოსის ზღვაში;
გ) სპარსეთის წინააღმდეგ ამბოხებული ბერძნული პოლისებისათვის ათენის მიერ აღმოჩენილი დახმარება;
დ) ათენელთა ტირანის, ჰიპიას უარი, ქალიშვილი მიეთხოვებინა დარიოსის მემკვიდრე ქსერქსესთვის.

29. რომელ წელს მოხდა მარათონის ბრძოლა?
ა) ძვ.წ. 479 წელს;
ბ) ძვ.წ. 449 წელს;
გ) ძვ.წ. 480 წელს;
დ) ძვ.წ. 490 წელს.

30. ვინ დაუპირისპირდა სპარსელებს მარათონის ბრძოლაში?
ა) სპარტა;
ბ) ათენელებისა და პლატეელების კოალიცია;
გ) ათენელებისა და სპარტელების გაერთიანებული ჯარი;
დ) დელოსის სიმახია ათენის მეთაურობით.

31. ვინ სარდლობდა მარათონის ბრძოლაში ბერძნულ არმიას?
ა) პავსანია;
ბ) თემისტოკლე;
გ) არისტიდი;
დ) მილტიადე.

32. ვინ სარდლობდა სპარსელთა არმიას მარათონის ბრძოლაში?
ა) უშუალოდ მეფე ქსერქსე I;
ბ) მარდონიოსი;
გ) მხედართმთავრები დატისი და არტაფერნე;
დ) უშუალოდ დარიოს I.

33. რა შედეგით დასრულდა მარათონის ბრძოლა?
ა) ბრძოლაში სპარსელთა არმიამ გამანადგურებელი მარცხი განიცადა, თუმცა, დარიოსმა მალევე დაიწყო ახალი არმიის მობილიზება;
ბ) ბერძნებმა ვერ ისარგებლეს საწყისი უპირატესობით და სპარსელთა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი უვნებელი გადარჩა;
გ) ბრძოლის დროს სპარსელებს ტყვედ ჩაუვარდათ ათენელთა მხედართმთავარი მილტიადე, რის შემდეგაც ბერძენთა ჯარი დანებდა;
დ) სპარსელთა არმია თითქმის მთლიანად განადგურდა, ბრძოლის ველზე დაეცა მეფე დარიოსიც, რის შემდეგაც ირანელთა ჯარის გადარჩენილი ნაწილები ათენელებს ჩაბარდნენ.

34. რამ შეუშალა ხელი დარიოს I-ს, ახალი ლაშქრობა წამოეწყო ბერძნების წინააღმდეგ მარათონის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ?
ა) ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მომთაბარე ტომების შემოსევამ;
ბ) ეგვიპტეში დაწყებულმა აჯანყებამ;
გ) სამეფო კარზე მომხდარმა გადატრიალებამ, რომლის შედეგად ტახტი დაიკავა მისმა ვაჟმა, ქსერქსე I-მა;
დ) დარიოს I-ის ავადმყოფობამ, რამაც მეფე აიძულა გარკვეული ხნით გადაედო ბალკანეთში ლაშქრობა.

35. როდის გარდაიცვალა დარიოს I ?
ა) ძვ. წ. 494 წელს;
ბ) ძვ. წ. 486 წელს;
გ) ძვ. წ. 482 წელს;
დ) ძვ. წ. 479 წელს.

36. ვინ ავიდა სპარსეთის სამეფო ტახტზე დარიოს I-ის გარდაცვალების შემდეგ.
ა) არტაქსერქსე I;
ბ) ქსერქსე I;
გ) კიროს III;
დ) დარიოს II.

37. როდის მოხდა თერმოპოლის ბრძოლა?
ა) ძვ.წ. 490 წელს;
ბ) ძვ.წ. 480 წელს;
გ) ძვ.წ. 479 წელს;
დ) ძვ.წ. 449 წელს.

38. ვინ ხელმძღვანელობდა სპარსელთა არმიას თერმოპილეს ბრძოლაში?
ა) ქსერქსე I;
ბ) ინტაფერნე;
გ) დატისი;
დ) მარდონიოსი.

39. ვინ ხელმძღვანელობდა ბერძენთა გაერთიანებულ ლაშქარს ძვ.წ. 480 წელს გამართულ თერმოპილეს ბრძოლაში?
ა) პავსანია;
ბ) სპარტის მეფე ლეონიდასი;
გ) თემისტოკლე;
დ) მილტიადე.

40. რას ნიშნავს ფრაზა „Molon labe“, რომელიც დანებების შეთავაზების პასუხად შეუთვალა მეფე ლეონიდასმა ქსერქსეს თერმოპილეს ბრძოლის წინ?
ა) სიტყვასიტყით ფრაზა ითარგმნება, როგორც „იჩქარე ნელა“, რაც გულისხმობდა სარკასტულად გამოთქმულ დაუმორჩილებლობას;
ბ) ფრაზა ითარგმნება, როგორც „არასოდეს თქვა არასოდეს“, რაც გულისხმობდა ირონიზირებულ ეჭვს სპარსელთა შესაძლო გამარჯვებასთან დაკავშირებით;
გ) სიტყვასიტყით ფრაზა ითარგმნება, როგორც „მოდი და აიღე“, რაც გულისხმობდა აბსოლუტურ დაუმორჩილებლობას და წინააღმდეგობის გაწევას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე;
დ) ძველბერძნულად ეს ფრაზა ითარგმნება, როგორც „მამაცები არ ნებდებიან“, რომელიც გულისხმობდა აშკარა უარს კაპიტულაციაზე.

41. რა შედეგით დასრულდა თერმოპილეს ბრძოლა?
ა) მეფე ლეონიდასის ბრწყინვალე გამარჯვებით, რამაც ბოლო მოუღო სპარსელთა შემდგომ ექსპანსიას ბალკანეთზე;
ბ) ბერძენთა მცირერიცხოვანი ჯარი დამარცხდა, რამაც სპარსელებს გზა გაუხსნა ბალკანეთის შემდგომი ექსპანსიისაკენ;
გ) ბერძნებმა თერმოპილეს ვიწრო გასასვლელში შეძლეს მტრის შეკავება და იმდენად დიდი ზიანის მიყენება მათთვის, რომ ქსერქსემ ვეღარ გაბედა ბრძოლის გაგრძელება;
დ) ისტორიული წყაროები გვაწვდიან წინააღმდეგობრივ მონაცემებს, რაც აძნელებს თერმოპილეს ბრძოლის შედეგების შეფასებას.

42. სად მოხდა საზღვაო ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ძვ.წ. 480 წელს?
ა) ეგეოსის ზღვაში, კუნძულ ლემნოსთან;
ბ) ბეოტიაში, ქალაქ პლატეას ყურეში;
გ) ეგეოსის ზღვაში, კუნძულ სალამინთან;
დ) მარმარილოს ზღვაში, კუნძულ ბურგაზთან.

43. სხვა მიზეზთა შორის, რამ განაპირობა ბერძნების გამარჯვება სალამინის ბრძოლაში?
ა) თერმოპილეს ბრძოლის შემდეგ სპარსელებმა ვერ მოახერხეს ძალების აღდგენა, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდეც მათი მარცხი;
ბ) ბრძოლის დღეს ზურგის ქარის გარეშე დარჩენილ დიდ სპარსულ ხომალდებს გაუჭირდათ სწრაფი მანევრირება, რითაც კარგად ისარგებლეს ბერძნებმა;
გ) ათენელთა ესკადრას დროულად შეუერთდა სხვა ბერძნული ქალაქების ხომალდებიც, რამაც მათ სპარსელებთან შედარებით მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობა მისცა;
დ) გადამწყვეტი აღმოჩნდა თემისტოკლეს მიერ არჩეული ტაქტიკა: მან ვიწრო ყურეში შეიტყუა ქსერქსეს ფლოტი, რითაც გაანეიტრალა მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობა.

44. როდის გაიმართა პლატეის ბრძოლა?
ა) ძვ.წ. 490 წელს;
ბ) ძვ.წ. 480 წელს;
გ) ძვ.წ. 479 წელს;
დ) ძვ.წ. 449 წელს.

45. ვინ ხელმძღვანელობდა ბერძენთა არმიას პლატეის ბრძოლაში?
ა) არესტიდი;
ბ) პავსანია;
გ) თემისტოკლე;
დ) თერმოპილეს ბრძოლაში დაღუპული მეფე ლეონიდასის არასრულწლოვანი ვაჟი პლისტარქე.

46. ვინ სარდლობდა სპარსელთა არმიას პლატეის ბრძოლაში?
ა) მარდონიოსი;
ბ) დატისი;
გ) არტაფერნე;
დ) უშუალოდ მეფე ქსერქსე.

47. რომელი არის მართებული მსჯელობა პლატეის ბრძოლის შედეგის შესახებ?
ა) ბერძნებმა მოიპოვეს გადამწყვეტი გამარჯვება, რასაც მალევე მოჰყვა კიდევ ერთი წარმატება მიკალესთან ბრძოლაში და მცირე აზიის ბერძნული ქალაქები განთავისუფლდნენ ირანელ დამპყრობთაგან;
ბ) ბრძოლა აქემენიდთა გამარჯვებით დასრულდა, რამაც მათ გზა გაუხსნა დაუცველი ათენისაკენ;
გ) ბრძოლაში ბერძნებმა გაიმარჯვეს, თუმცა, იმავე წელს მიკალესთან გამართულ ბრძოლაში ქსერქსემ შეძლო გამარჯვების მოპოვება და საბერძნეთის შემდგომი ბედი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა;
დ) ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, თუმცა სპარსელთა დანაკარგები იმდენად დიდი იყო, რომ ქსერქსე იძულებული გახდა პერსეპოლისში გაბრუნებულიყო.

48. როდის და სად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ბერძენთა და აქემენიანთა არმიებს შორის მცირე აზიაში, რამაც განაპირობა ბერძენ-სპარსელთა ომების დასრულება?
ა) ძვ.წ. 469 წელს მცირე აზიაში, მდინარე ევრიმედონტის შესართავთან, რომელშიც დელოსის კავშირის ფლოტმა და არმიამ სასტიკად დაამარცხა და ქსერქსე I - ის ჯარები;
ბ) ძვ.წ. 449 წელს მიკალეს კონცხთან, რომელშიც ბერძებმა კიმონის სარდლობით გაანადგურეს სპარსელთა ჯარი;
გ) ძვ.წ. 449 წელს აქემენიანთა სატახტო ქალაქ პერსეპოლისთან, რომელშიც სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ;
დ) ისტორიული წყაროებით მცირე აზიაში განხორციელებული ბერძენთა კონტრშეტევა არ დასტურდება.

49. რა შედეგით დასრულდა ძვ.წ. 500 - 449 წლების ბერძენ-სპარსელთა ომები?
ა) დელოსის სიმაქიასა და სპარსელთა შორის დადებული ევრიმედონტის საზავო ხელშეკრულებით;
ბ) სპარსელების მიერ კუნძულ ლესბოსზე ხელმოწერილი უპირობო კაპიტულაციით;
გ) ძვ.წ. 449 წელს მხარეებს შორის დადებული კალიასის საზავო ხელშეკრულებით;
დ) ძვ.წ. 441 წელს მხარეთა შორის პერსიპოლისში დადებული საზავო ხელშეკრულებით.

50. კიდევ რა სახელით არის ცნობილი სპარსელთა აგრესიის შესაკავებლად ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებული ალიანსი - „დელოსის კავშირი“?

ა) დელოსის ეპიმაქია;

ბ) დელოსის უნია;

გ) დელოსის სიმაქია;

დ) დელოსის ლიგა.

51. რა უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენით არის ცნობილი ძვ.წ. 331 წელი აქემენიდური ირანის ისტორიაში?

ა) სპარსეთის სამეფო ტახტზე ავიდა დარიოს III, რომელმაც შეძლო განცალკევებული სატრაპიების შემოერთება და იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენა;

ბ) ამ წელს მოხდა გავგემალის ბრძოლა, რომელშიც ალექსანდრე მაკედონელის არმიამ პირწმინდად გაანადგურა დარიოს III-ის ჯარი, რამაც ბოლო მოუღო აქემენიანთა იმპერიის არსებობას;

გ) ამ წელს სპარსეთის სატახტო ქალაქი პერსეპოლისიდან ყუმში გადავიდა;

დ) დარიოს III-ის არმიამ კვლავ აღადგინა კონტროლი ეგვიპტის სამეფოზე.

52. ვინ იყო აქემენიანთა იმპერიის უკანასკნელი მეფე?

ა) არტაქსერქსე IV;

ბ) დარიოს III;

გ) არტაქსერქსე V;

დ) დარიოს II.

53. რომელი არის მართებული მსჯელობა აქემენიდთა ეპოქის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ?

ა) აქემენიანთა ტოლერანტულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ხალხებში ეთნიკური კონტაქტების გამოცოცხლებას, ახალი მატერიალური და სულიერი კულტურის ჩამოყალიბებას;

ბ) აქემენიანთა ეპოქაში გაუთავებელმა ომებმა შეაფერხა საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება;

გ) აღმოსავლეთში გავრცელდა ზოროასტრიზმი, რამაც სიკეთისა და ბოროტების ძალებს შორის მარადიული ბრძოლის იდეის ფილოსოფიური გააზრებისა და კულტურულ მიღწევებში ასახვის წინაპირობები გააჩინა;

დ) აქემენიდებმა დაპყრობილ ქვეყნებში ამოძირკვეს არსებული მმართველობისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ტრადიციის ფორმები და მათ თავს მოახვიეს საკუთარი წესები.

54. ჩამოთვლილთაგან, რომელი აღწერს სიტყვა „დარიკის“ მნიშვნელობას?

ა) დარიკი იყო ოქროს მონეტა, ძირითადი ფულადი ერთეული აქემენიდური სპარსეთის ბიმეტალურ სამონეტო სისტემაში;

ბ) დარიკი იყო სატრაპიების შემადგენლობაში შემავალი ყველაზე მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული;

გ) დარიკი იყო აქემენიანთა მეფეების სამეფო რეგალია - მოოქროვილი ხმალი, რომელიც გადაეცემოდა ტახტის მემკვიდრეს ტახტზე ასვლის დროს;

დ) დარიკი იყო აქემენიანთა სპარსეთის კანონთა კრებული, სამოქალაქო და სასამართლო წესების კომპილირებული კოდექსი.

კარი III. ძველი საბერძნეთი და საქართველო

თავი I. სპარტა, ათენი

1. საბერძნეთის რომელ ისტორიულ მხარეში მდებარეობდა სპარტა?
ა) თეასალიაში;
ბ) პელოპონესში;
გ) ბეოტიაში;
დ) ევბეაში

2. რა მოდგმის ხალხი იყო დორიელები, რომლებმაც პელოპონესში დაარსეს სპარტა?
ა) დორიელები ჩრდილოეთიდან მოსული ინდოევროპული წარმომავლობის ტომები იყვნენ;
ბ) დორიელები ძველბერძნული ტომია;
გ) დორიელები იყვნენ აღმოსავლეთიდან მოსული სემიტური ტომები;
დ) დორიელების წარმომავლობა დადგენილი არ არის.

3. სხვა მიზეზებთან ერთად, ძირითადად რითი არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ძვ.წ. XIII–XII საუკუნეებში დორიელთა მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაკავება შეფასებულია, როგორც ნეგატიური მოვლენა?
ა) დორიელთა შემოსევას უკავშირდება მიკენური ცივილიზაციის დაცემა, რამაც დასაბამი დაუდო დეგრადაციის პერიოდს საბერძნეთის ისტორიაში;
ბ) დორიელთა შემოსევას მოჰყვა საბერძნეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება, რაც ნეგატიურად აისახა მის მეურნეობასა და კულტურაზე;
გ) დორიელებმა შემოიტანეს ახალი რელიგია და სამართლის ნორმები, რომელმაც შეაფერხა მიკენური კულტურის განვითარება და დაიწყო შეუქცევადი დეკედანსი;
დ) დორიელებმა დაანგრიეს ძველი ბერძნული ქალაქები და კულტურის კერები.

4. რა პერიოდიდან ჩნდება პოლიტიკურ რუკაზე სპარტა, როგორც სახელმწიფო?
ა) ძვ.წ. XII საუკუნიდან;
ბ) ძვ.წ. XI საუკუნიდან;
გ) ძვ.წ. X საუკუნიდან;
დ) ძვ.წ. IX საუკუნიდან.

5. რომელ ბერძნულ სახელმწიფოსთან ომობდა სპარტა ძვ.წ. VIII- VII საუკუნეებში რეგიონში პირველობისათვის?
ა) ატიკასთან;
ბ) ბეოტიასთან;
გ) მესენიასთან;
დ) კორინთოსთან.

6. რა შედეგით დასრულდა მესენიასა და სპარტას შორის ხანგრძლივი დაპირისპირება?
ა) სპარტამ დაიკავა მესენიას მთელი ტერიტორია და ადგილობრივი მოსახლეობა განდევნა კონტინენტის სიღრმეში - ბეოტიაში, სადაც მათ დაარსეს ქალაქი მესინა;
ბ) სპარტამ დაიმორჩილა მესენია, რითაც საბერძნეთის ყველაზე დიდი პოლისი გახდა;
გ) თავიდან სპარტელებმა დაიმორჩილეს მესენია, თუმცა, ძვ.წ. 465 წელს მესენიის ილოტები აჯანყდნენ და კვლავ დაიბრუნეს დამოუკიდებლობა;
დ) სპარტა-მესენიას ხანგრძლივი ომი დასრულდა ძვ.წ. 465 წელს დადებული შეთანხმებით, რომლის საფუძველზე მესინიელებმა შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა.

7. რა პერიოდში მიმდინარეობდა სპარტა-მესინიის დაპირისპირება?
ა) ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში;
ბ) ძვ.წ. VIII საუკუნის პირველ ნახევარში;
გ) ძვ.წ. VII საუკუნის პირველ ნახევარში;
დ) დაიწყო ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში და დასრულდა VII საუკუნის პირველ ნახევარში.

8. რა უკავშირდება ძველი სპარტელი მოღვაწის ლიკურგეს (ლიკურგოსის) სახელს?
ა) ლიკურგე გახდა სპარტის პირველი ტირანი;
ბ) ლიკურგეს სახელს უკავშირებენ სპარტაში ახალი საზოგადოებრივი წყობის შექმნას, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე რამდენიმე საუკუნე იარსება;
გ) ლიკურგემ თავი ისახელა მესინიასთან ომებში. იგი სარდლობდა სპარტის არმიას, რომელმაც მოახერხა მესინიელთა საბოლოოდ დამორჩილებ;
დ) ლიკურგე სპარტელი ისტორიკოსია, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდა სპარტა-მესინიის ომების შესახებ.

9. რომელი არის მართებული მსჯელობა სპარტელი რეფორმატორის, ლიკურგეს მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ?
ა) ლიკურგემ გააუქმა ორი მეფის თანამმართველობის ინსტიტუტი;
ბ) ყოველ სპარტელს თანაბრად დაუნაწილდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები დროებით სარგებლობაში;
გ) მოხდა მოქალაქეთა დაყოფა ქონებრივი ცენზის მიხედვით, რაც განსაზღვრავდა მათ ადგილს ჯარში;
დ) სპარტაში უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა არჩევით ორგანოს - ოთხასის საბჭოს (ბულეს) დაეკისრა.

10. რომელი არ არის მართებული მსჯელობა ლიკურგეს რეფორმების შესახებ?
ა) ლიკურგემ ძველი წყობიდან მხოლოდ ორი მეფის თანამმართველობის ინსტიტუტი შეინარჩუნა;
ბ) სპარტაში უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტა 30 ადამიანისაგან შემდგარ უხუცესთა საბჭოს - გერუსიას და სახალხო კრებას დაეკისრა;
გ) კანონების აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებდა 5 ესიმნეტისაგან შემდგარი კოლეგია;
დ) რეფორმის შედეგად მოხდა ცხოვრების ყველა სფეროს უმკაცრესი რეგლამენტაცია.

11. რას ნიშნავს გერუსია?
ა) გერუსია ძველ სპარტაში უხუცესთა საბჭოს ერქვა;
ბ) ასე ერქვა არჩევით ორგანოს ათენში; რომელიც აღჭურვილი იყო საკანონმდებლო უფლებამოსილებებით;
გ) ძველ ათენში ასე ერქვა სოლონის მიერ მოქალაქეთათვის ვალების ჩამოწერის პროცესს;
დ) გერუსია იყო სპარტის მოქალაქეთა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის სახელწოდება.

12. რამდენი ჰერონტისაგან შედგებოდა სპარტაში უხუცესთა საბჭო - გერუსია?
ა) 100;
ბ) 28 ;
გ) 400;
დ) 32.

13. რა ვადით ირჩეოდნენ ჰერონტები ძველ სპარტაში?
ა) უვადოდ, სიცოცხლის ბოლომდე;
ბ) 10 წლის ვადით;
გ) ერთი წლის ვადით;
დ) 6 წლის ვადით.

14. რა ერქვა სახალხო კრებას ძველ სპარტაში?
ა) აგორა;
ბ) ბულე;
გ) არეოპაგი;
დ) აპელა.

15. რა იყო სახალხო კრების - აპელას ძირითადი ფუნქცია სპარტას სახელმწიფო სისტემაში?
ა) თანამმართველი მეფეების არჩევა;
ბ) მიღებული კანონების აღსრულებაზე კონტროლის დაწესება;
გ) უხუცესთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცება ან უარყოფა;
დ) ომის გამოცხადება, ზავის დადება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დამტკიცება.

16. რა ასაკიდან შეეძლო სპარტის მოქალაქეს მონაწილეობა მიეღო სახალხო კრების (აპელას) მუშაობაში?
ა) 30 წლის ასაკიდან;
ბ) 45 წლის ასაკიდან;
გ) 55 წლის ასაკიდან;
დ) 60 წლის ასაკიდან.

17. რა პერიოდულობით იკრიბებოდა სახალხო კრება (აპელა)?
ა) წელიწადში ორჯერ;
ბ) ყოველ სამ თვეში ერთხელ;
გ) ყოველთვიურად;
დ) შეკრების პერიოდულობა არ იყო რეგლამენტირებული და გამომდინარეობდა მიმდინარე საჭიროებიდან.

18. რომელ ორგანოს ეკისრებოდა მიღებული კანონების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელება?
ა) სახალხო კრებას, აპელას;
ბ) უხუცესთა საბჭოს, გერუსიას;
გ) ხუთი არჩეული ეფორისაგან შემდგარ კოლეგიას;
დ) აპელას მიერ არჩეულ ორ ფილარხს.

19. რომელი არ არის მართებული მსჯელობა ეფორების კოლეგიის ფუნქციების შესახებ?
ა) ასრულებდნენ მოსამართლის ფუნქციებს სამოქალაქო საქმეებზე;
ბ) ომის დროს ასრულებდნენ სარდლის ფუნქციებს;
გ) მეთვალყურეობას უწევდნენ თანამმართველი მეფეების საქმიანობას და, საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მეფის დაპატიმრებაც კი შეეძლოთ;
დ) ასრულებდნენ საკრალურ ფუნქციებს: აკვირდებოდნენ ნიშნებს და ამის საფუძველზე შეეძლოთ მეფის გადაყენების, ომის შეწყვეტის ან ნებისმიერი სხვა საკითხის დაეყენება.

20. რა ფორმით ხდებოდა გერუსიის წევრებისა (ჰერონტების) და ეფორების არჩევა ძველ სპარტაში?
ა) კრების მონაწილეები თიხის ფირფიტებზე წერდნენ სასურველი კანდიდატის სახელს;
ბ) კრებაზე ყვირილით: რომელ კანდიდატსაც უფრო ხმამაღლა დაუყვირებდნენ, არჩეულად ის ითვლებოდა;
გ) კრებაზე ხელის აწევით;
დ) სპეციალური ჟეტონები, კლეროტერიონების გამოყენებით.

21. რა ნაკლოვანებას ხედავდა არისტოტელე ძველ სპარტაში მოქმედ ეფორების ინსტიტუტში?
ა) არისტოტელე აკრიტიკებდა ეფორების შეუზღუდავ უფლებებს, რაც, მისი აზრით, არღვევდა ბალანსს მმართველობის სისტემაში;
ბ) არისტოტელე თვლიდა, რომ 5 ეფორი ვერ გაართმევდა თავს ამდენ ფუნქციას, რაც მიღებული გადაწყვეტილებების სანდოობას დააყენებდა ეჭვქვეშ;
გ) ეფორი შეიძლება გამხდარიყო ნებისმიერი პირი, მათ შორის ღარიბი მოქალაქეც, რაც, არისტოტელეს აზრით, ზრდიდა მათი მოსყიდვის შესაძლებლობას;
დ) არისტოტელე თვლიდა, რომ სახელმწიფო სამსახურთან სრულიად შეუთავსებელი იყო ეფორებისათვის დაკისრებული მკითხავი მისნის საკრალური ფუნქცა.

22. რა მიზეზით აკრიტიკებდა არისტოტელე სპარტაში მოქმედ უხუცესთა საბჭოს - გერუსიას?
ა) ის თვლიდა, რომ 28 ადამიანს შორის თანხმობის მიღწევა და სწორი გადაწყვეტილების მიღება ხშირ შემთხვევებში შეუძლებელია;
ბ) მისთვის მიუღებელი იყო ჰერონტების უვადოდ არჩევა, რადგან, ასაკთან ერთად ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები მცირდება;
გ) მისი აზრით გერუსიისა და ეფორების კოლეგიის ფუნქციები პარალელურია, რაც უწყებრივი კონფლიქტების პირველწყაროა;
დ) ის თვლიდა, რომ ჰერონტებს უნდა ჰქონოდათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც, რაც ამ ინსტიტუტს უფრო ეფექტურს გახდიდა.

23. რომელი არის მართებული მსჯელობა ილოტების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ძველ სპარტაში?
ა) ილოტები სპარტის სრულუფლებიანი მოქალაქეები იყვნენ და სარგებლობდნენ ყველა ქონებრივი და პოლიტიკური უფლებით;
ბ) ძველ სპარტაში ილოტი უუფლებო მონის სახელწოდება იყო;
გ) ილოტები ფლობდნენ გარდამავალ უფლებრივ მდგომარეობას მონასა და ყმას შორის, ისინი მიწის მუშები იყვნენ;
დ) ილოტები პირადად თავისუფალნი იყვნენ, ფლობდნენ მიწის ნაკვეთს, თუმცა, მათ პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ.

24. ისინი პირადად თავისუფალნი იყვნენ, ფლობდნენ მიწის ნაკვეთს და უნდა ემსახურათ მძიმედ შეიარაღებულ ქვეით ჯარში, თუმცა, მათ პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ.
სპარტის საზოგადოების რომელ ფენას შეესაბამება მოცემული აღწერილობა?
ა) ჰელოტებს;
ბ) პერიეკებს;
გ) სპარტაიტებს;
დ) კვირიტებს.

25. ძველ სპარტაში საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენლებს ჰქონდათ უფლება, დაკავებულიყვნენ ხელოსნობითა და ვაჭრობით?
ა) პერიეკებს;
ბ) ჰელოტებს;
გ) პლებეებს;
დ) როგორც პერიეკებს, ასევე ჰელოტებს.

26. რატომ უწოდებდნენ სპარტის სრულუფლებიან მოქალაქეებს „თანასწორებს“?
ა) ყველა სარგებლობდა თანაბარი პოლიტიკური უფლებებით;
ბ) სახელმწიფო შემოსავლები ყველა მათგანზე თანაბრად ნაწილდებოდა;
გ) ყველა მათგანი თანაბარი სიდიდის მიწას ფლობდა;
დ) ყველას ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

27. სპარტის საზოგადეობის რომელი ფენა წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას?
ა)ჰილოტები;
ბ) პერიეკები;
გ) სრულუფლებიანი მოქალაქეები;
დ) მონები.

28. რომელი არის მართებული მსჯელობა სპარტაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ?
ა) სხვა ბერძნული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სპარტაში ქალებს არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ და ჩაკეტილ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდნენ;
ბ) სპარტაში ქალები სრულუფლებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ და სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით და პირადი თავისუფლებით;
გ) ათენისაგან განსხვავებით, სპარტაში ქალებს მეტი პატივით ეპყრობოდნენ და ისინი ზოგიერთი პოლიტიკური უფლებითაც სარგებლობდნენ;
დ) სპარტელი ქალების ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა უუფლებო მონის მდგომარეობისაგან.

29. რითი იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ სპარტაში აკრძალული იყო საგარეო ვაჭრობა?
ა) სპარტა თვითკმარი სახელმწიფო იყო და ცხოვრების დონის შესანარჩუნებლად საკუთარი რესურსებიც ჰყოფნიდა;
ბ) სპარტელები შიშობდნენ, რომ საგარეო ვაჭრობის შედეგად ქვეყანა ძვირფას რესურსებს დაკარგავდა;
გ) სპარტელები უფრთხოდნენ იმ დროს გავრცელებულ გადამდებ დაავადებებს;
დ) სპარტელები ძალიან უფრთხოდნენ უცხოელთა გავლენას.

30. სხვა შეზღუდვებთან ერთად, რა ეკრძალებოდათ სპარტის მოქალაქეებს?
ა) განქორწინება;
ბ) მიწის იპოთეკით დატვირთვა;
გ) სხვა ქვეყანაში ცხოვრება;
დ) უცხოელებთან ურთიერთობა.

31. რომელ ბერძნულ ტერიტორიებზე დამყარდა სპარტასთან მიახლოებული საზოგადოებრივი წყობა?
ა) დორიელების მიერ დაკავებულ ისეთ ოლქებში, როგორებიცაა კრეტა, არგოსი, თესალია;
ბ) თითქმის ყველა ბერძნულ ქალაქში, მათ შორის ათენშიც;
გ) სპარტას მეზობელ კორინთიაში;
დ) დორიელების მიერ დაკავებულ ევბეის, ლესბოსისა და თესალიის ოლქებში.

32. რომელი არის მართებული მსჯელობა ლიკურგეს რეფორმების შედეგების შესახებ?
ა) რეფორმების შედეგად წმინდა მონათმფობელური მონარქია იქცა სამხედრო დემოკრატიად;
ბ) რეფორმების შედეგად სამხედრო მონარქია იქცა კონსოლიდირებულ დემოკრატიად;
გ) რეფორმების შედეგად სამხედრო დემოკრატია გადააქცია ოლიგარქიულ მონათმფლობელურ რესპუბლიკად, რომელიც ინარჩუნებდა თემური წყობილების ნიშნებს;
დ) ლიკურგეს რეფორმების შედეგად ადრე არსებული ტირანია იქცა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

33. რომელ პერიოდში არსებობდა მიკენური ცივილიზაცია?
ა) ძვ.წ. 490 წელს. VIII – V საუკუნეებში;
ბ) ადრე ბრინჯაოს ხანაში, ძვ.წ. III-II ათასწლეულებში;
გ) ძვ.წ. 2700-1400 წლებში;
დ) ძვ.წ. XVI – XI საუკუნეებში.

34. რომელია მართებული მსჯელობა ათენის ქალაქ-სახელმწიფოს შესახებ?
ა) ათენი გადაურჩა დორიელთა შომოსევას და ბერძნული კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრად იქცა;
ბ) ძვ. წელთაღრიცხვის 1400 წელს იონელების შემოსევის შემდეგ ათენის კულტურამ და ეკონომიკამ დაღმასვლა დაიწყო;
გ) დემოკრატია ათენში დორიელებმა შემოიტანეს;
დ) ათენის დაარსება ბერძენი კანონმდებლის-სოლონის სახელს უკავშირდება.

35. რომელი ისტორიული ოლქის დედაქალაქი იყო ათენი?
ა) პელოპონესის;
ბ) ბეოტიის;
გ) თესალიის;
დ) ატიკის.

36. რა სახელით არის ცნობილი ათენის ნავსადგური, რომელიც ძველი ქალაქის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო?
ა) რაფინა;
ბ) პირეოსი;
გ) პართენონი;
დ) აკროპოლი.

37. რომელია მართებული მსჯელობა ძველი ათენის შესახებ?
ა) ათენში იმთავითვე დემოკრატიული მმართველობა დამყარდა;
ბ) უძველეს დროში ათენს მეფეები მართავდნენ;
გ) სოლონის ეპოქამდე ათენში არ არსებობდა მმართველობის რაიმე გამოკვეთილი ფორმა;
დ) უძველესი დროიდა ათენში მმართველობის შერეული ფორმა - კვაზიდემოკრატია არსებობდა.

38. ვის მიიჩნევდნენ ათენელები თავიანთი ქალაქის დამაარსებლად?
ა) მითოლოგიურ გმირ ოგიგს;
ბ) პირველ ავტოხტნ კრანაოსს;
გ) ლეგენდარულ მეფე კეკროპს;
დ) ათენის მითიურ მეფე ამფიქტიონს.

39. რომელია მართებული მსჯელობა ძველი ათენის შესახებ?
ა) ათენში იმთავითვე დემოკრატიული მმართველობა დამყარდა;
ბ) უძველეს დროში ათენს მეფეები მართავდნენ;
გ) სოლონის ეპოქამდე ათენში არ არსებობდა მმართველობის რაიმე გამოკვეთილი ფორმა;
დ) უძველესი დროიდა ათენში მმართველობის შერეული ფორმა - კვაზიდემოკრატია არსებობდა.

40. რომაელი ისტორიკოსის ევსები კესარიელის მიხედვით, ვინ იყო ათენის პირველი მითოლოგიური მეფე, რომელიც მას წარღვნამდე მართავდა?
ა) აქტეონი;
ბ) კრანაოსი;
გ) ოგიგი;
დ) კეკროპსი.

41. ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ვინ ითვლება ათენის უკანასკნელ მეფედ?
ა) მელანტი;
ბ) მენესტეოსი;
გ) კოდროსი;
დ) პანდიონი.

42. რომელია მართებული მსჯელობა ძველი ათენის მმართველობის სისტემის შესახებ?
ა) ათენის უკანასკნელმა მეფე კოდროსმა დააწესა არქონტთა მმართველობა, რომელთაც ათი წლის ვადით ირჩევდნენ;
ბ) მეფობის გაუქმების შემდეგ მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება უვადოდ არჩეული არქონტების ხელში გადავიდა;
გ) მეფობის გაუქმების შემდეგ ათენში კლასიკური დემოკრატიის ხანა დაიწყო;
დ) ძვ.წ. VII საუკუნემდე ათენში ბასილევსებისა და ერთ წლით არჩეული არქონტების შერეული მმართველობა არსებობდა.

43. რა ეწოდებოდათ ანტიკური ათენის არისტოკრატიის წარმომადგენლებს?
ა) გეომორები;
ბ) ზევგიტები;
გ) ევპატრიდები;
დ) პენტაკოსიომედიმნები.

44. თავისი არსით რას წარმოადგენდა არეოპაგი ძველ ათენში?
ა) არეოპაგი იყო უმაღლესი სასამართლო ორგანო ძველ ათენში;
ბ) არეოპაგი იყო უხუცესთა საბჭოს ანალოგი მმართველობის კოლეგიური ორგანო;
გ) არეოპაგი წარმოადგენდა დაწერილი სამოქალაქო კანონების ერთგვარ კოდექსს;
დ) არეოპაგი იყო ქურუმთა საბჭო.

45. რომელია ათენის არეოპაგის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია?
ა) გამოსცემდა კანონებს;
ბ) ზედამხედველობას უწევდა კანონების აღსრულებას და ასრულებდა სასამართლოს ფუნქციას ზოგიერთ საქმეებში;
გ) აღასრულებდა კანონებს;
დ) იყო უმაღლესი სასამართლო ორგანო და წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს.

46. სხვა ფუნქციებთან ერთად, რა უფლებამოსილებას ფლობდა არეოპაგი ძველ ათენში?
ა) კრეფდა გადასახადებს;
ბ) ირჩევდა მეფეს (ბასილევსს);
გ) ირჩევდა არქონტებს;
დ) აკონტროლებდა ქალაქის ხაზინას.

47. როგორც წესი, ვინ შედიოდა არეოპაგის შემადგენლობაში?
ა) უმაღლესი ქურუმები;
ბ) ყოფილი არქონტები;
გ) ყოფილი მთავარსარდლები, პოლემარქები;
დ) უხუცესი მოქალაქეები.

48. რომელია ძველი ათენის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო?
ა) არეოპაგი;
ბ) აპელა;
გ) არქონტთა საბჭო;
დ) კომიცია.

49. რამდენი არქონტისგან შემდგარი საბჭო მართავდა ათენს ძვ.წ. VII საუკუნის შუა პერიოდიდან?
ა) 7;
ბ) 12;
გ) 6;
დ) 9.

50. რა ეწოდებოდა პირველ არქონტს, რომლის სახელსაც არქმევდნენ მმართველობის წელწადს?
ა) პოლემარქი;
ბ) ეპონიმი;
გ) ბასილევსი;
დ) თესმოფეტი.

51. რა უფლებამოსილებას ფლობდა პირველი არქონტი ძველ ათენში?
ა) იყო უმაღლესი მსაჯული;
ბ) იყო ჯარების მთავარსარდალი;
გ) იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;
დ) ასრულებდა უმაღლესი ქურუმის ფუნქციას.

52. ძველი ათენის არქონტთა საბჭოში რა ეწოდებოდა მეორე არქონტს?
ა) ბასილევსი, რომელიც განაგებდა რელიგიურ და საკულტო საქმეებს;
ბ) თესმოთეტი, რომელიც განაგებდა სამართლის საკითხებს;
გ) პოლემარქი, რომელიც იყო ჯარების მთავარსარდალი;
დ) ცენზორი, რომელიც კურირებდა გადასახადების აკრეფას.

53. არქონტთაგან რომელი ასრულებდა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციას ძველ ათენში?
ა) მეორე არქონტი, ბასილევსი;
ბ) პირველი არქონტი, ეპონიმი;
გ) მეოთხე არქონტი, ედილი;
დ) მესამე არქონტი, პოლემარქი.

54. რა ფუნქცია გააჩნდათ თესმოფეტებს არქონტთა საბჭოში?
ა) განაგებდნენ სამართლის საკითხებს;
ბ) კურირებდნენ ვაჭრობისა და გადასახადების საკითხებს;
გ) აკონტროლებდნენ პირველი სამი არქონტის საქმიანობას;
დ) ზედამხედველობდნენ საკულტო ცერემონიების აღსრულებას.

55. რა ვადით ირჩეოდნენ არქონტები სოლონის დროს?
ა.) 10 წლის ვადით;
ბ) უვადოდ;
გ) 4 წლის ვადით;
დ) 1 წლის ვადით.

56. სხვა მიღწევებთან ერთად, რომელია ძველი ათენის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი კაცობრიობის ისტორიაში?
ა) ძველი ათენში შეიქმნა ჩაწერილ კანონთა პირველი ნიმუშები;
ბ) ძველ ათენში იშვა კლასიკური ტიპის დემოკრატია;
გ) ძველ ათენში სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოშორდა ეკლესია;
დ) ძველ ათენში პირველად დაინერგა სახელმწიფო ეკონომიკისა და ფინანსების მართვის ცენტრალიზებული მოდელი.

57. რომელი ათენელი არისტოკრატის სახელთან არის დაკავშირებული ტირანიის დამყარების პირველი მცდელობა ძველ ათენში?
ა) სოლონის;
ბ) კილონის;
გ) დრაკონტის;
დ) პისისტრატეს.

58. რა შედეგით დასრულდა ევპატრიდ კილონის მცდელობა, ხელში აეღო ძალაუფლება და დაემყარებინა ტირანია ათენში ძვ.წ. 640 წელს?
ა) ამბოხება მარცხით დასრულდა, კილონმა თავს უშველა, ხოლო მისი მომხრეები ათენელებმა სიკვდილით დასაჯეს;
ბ) არქონტებმა შეიტყვეს ამბოხების შესახებ და ის დაწყებამდევე აღკვეთეს;
გ) ამბოხებული კილონი ბრძოლის ველზე დაეცა, მისი მომხრეები კი ქალაქიდან ექსორიის წესით გააძევეს;
დ) კილონი გახდა პირველი ტირანი ათენის ისტორიაში.

59. რა შეიძლება ჩაითვალოს დემოსის პირველ გამარჯვებად ძველ ათენში?
ა) მონობის გაუქმება;
ბ) არეოპაგის დაწესება;
გ) კანონების ჩაწერა;
დ) მეფობის გაუქმება.

60. ვის სახელს უკავშირდება ძველ ათენში პირველი დაწერილი კანონების შექმნა?
ა) სოლონის;
ბ) დრაკონტის;
გ) ტირან ჰიპიას;
დ) ლიკურგეს.

61. დაახლოებით როდის შეიქმნა პირველი დაწერილი კანონები ძველ ათენში?
ა) ძვ.წ. 721 წელს;
ბ) ძვ.წ. 661 წელს;
გ) ძვ.წ. 524 წელს;
დ) ძვ.წ. 621 წელს.

62. რა იყო დრაკონტის კანონების სპეციფიური ნიშანი?
ა) სისხლის სამართლის დანაშაულთა უმრავლესობისათვის დადგენილი იყო სიკვდილით დასჯა;
ბ) ერთნაირად ისჯებოდა განზრახი და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული;
გ) იკრძალებოდა კერძო საკუთრება;
დ) არ იყო დაწესებული ზღვარი მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქ დანაშაულებს შორის - ყველა მათგანი ერთნაირად ისჯებოდა.

63. რომელია მართებული მსჯელობა დრაკონტის კანონმდებლობის შესახებ?
ა) კანონები მხოლოდ სისხლის სამართლის მარეგულირებელ ნორმებს შეიცავდა;
ბ) კანონმდებლობა შემოიფარგლებოდა სახელმწიფო მმართველობისა და ადმინისტ-რირების საკითხებით;
გ) კანონებში დიფერენცირებული იყო განზრახი, შემთხვევითი და თავდაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობები;
დ) კანონებში ცალკე თავი ეთმობოდა ქალთა უფლებებს.

64. სხვა შედეგებთან ერთად, რა ეფექტი მოჰყვა დაწერილი კანონების შემოღებას ძველ ათენში?
ა) დამკვიდრდა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის პრინციპი;
ბ) შეიზღუდა მონარქის უფლებები;
გ) დაწესდა მმართველობით ორგანოებზე საზოგადოებრივი კონტროლი;
დ) შეიზღუდა წარჩინებულ მოსამართლეთა თვითნებობა.

65. რომელი მსჯელობა ასახავს ძველ საბერძნეთში კანონმდებლობასთან დაკავშირებუ-ლი შეხედულებების ტრანსფორმაციას?
ა) ძველი ბერძენი ფილოსოფოსების გავლენით საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ უმაღლესი კანონმდებლობა ადამიანის მორალია;
ბ) ძველი ბერძნები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კანონი არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმა და ის შეიძლება შეიცვალოს;
გ) ძველ ათენში გაბატონდა რწმენა იმის შესახებ, რომ კანონები უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი, რათა შეაკავოს ადამიანის თანდაყოლილი მავნე მიდრეკილებები;
დ) ძველ საბერძნეთში მომწიფდა შეხედულება, რომ კანონმდებლობა არა ცალკეული მმართველის მოსაზრებას, არამედ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ყოფით და რელიგიურ ტრადიციებს უნდა შეესაბამებოდეს.

66. ძველი საბერძნეთის „შვიდ ბრძენთა“ შორის რომელი იყო ქალაქ მილეტიდან?
ა) ბრიასი;
ბ) თალესი;
გ) ქილონი;
დ) ლიკურგე.

67. ძველი საბერძნეთის „შვიდ ბრძენთა“ შორის რომელი იყო ქალაქ კორინთოდან?
ა) პერიანდროსი;
ბ) პიტაკოსი;
გ) კლეობულოსი;
დ) ბრიასი.

68. ჩამოთვლილ ბერძენ სახელმწიფო მოღვაწეთაგან, რომელი არ შედის „შვიდ ბრძენთა შორის?
ა) ქილონ სპარტელი;
ბ) პიტაკოს მიტელინელი;
გ) დემონაქს არკადიელი;
დ) ათენელი სოლონი.

69. რა თანამდებობაზე იქნა არჩეული სოლონი ძვ.წ. 594 წელს?
ა) პოლემარქად;
ბ) არქონტ-ეპონიმად;
გ) არეოპაგის წევრად;
დ) არქონტ-ბასილევსად.

70. რა იყო ათენის მოქალაქეთა უმრავლესობის ძირითადი პრობლემა სოლონის არქონტად არჩევის დროისათვის?

ა) მაღალი სახელმწიფო გადასახადები, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას;

ბ) სავალო კაბალა, რომლის შედეგად მოქალაქეთა მიწების უდიდესი ნაწილი ევპატრიდების ხელში აღმოჩნდა;

გ) განათლების დაბალი დონე და წერა-კითხვის უცოდინრობა;

დ) საჯარო ბეგარა, რომელიც შრომისუნარიან ცოცხალ ძალას ართმევდა ფერმერულ საოჯახო მეურნეობებს.

71. რომელი მნიშვნელოვანი ცნება დაამკვიდრა სოლონმა ათენის საზოგადოებაში?

ა) ისონომიის - კანონის წინაშე ყველას თანასწორობის ცნება;

ბ) ეგალიტარიზმის ანუ საყოველთაო თანასწორობის ცნება;

გ) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება;

დ) თავისუფალი ადამიანის ანუ მოქალაქის ცნება.

72. რას გულისხმობდა სოლონის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პირველი რეფორმა, რომელიც „სეისახთეია“ ეწოდა?

ა) გლეხობის საბეგარო გადასახადისაგან განთავისუფლებას;

ბ) მოქალქეთა ვალების ჩამოწერას და ვალის გამო მონად გაყიდვის აკრძალვას;

გ) მოქალაქეთა ფენებად დაყოფა-დახარისხებას და თითოეული ფენისათვის უფლება-მოვალეობების დადგენას;

დ) სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის რეფორმირებას.

73. რა რეფორმა გაატარა სოლონმა ხელოსანთა ფენის მხარდაჭერისათვის?

ა) სხვა ქალაქებში მცხოვრებ ხელოსნებს უფლება მიენიჭათ, დასახლებულიყვნენ ათენში;

ბ) ხელოსნები 5 წლით განთავისუფლდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან;

გ) ხელოსნებს უფლება მიეცათ, დაეკავებინათ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები;

დ) ხელოსანთა ნაწარმზე გაუქმდა ექსპორტის გადასახადი.

74. რა მიუთითებს იმაზე, რომ სოლონი ცდილობდა ხელოსნების ფენის მხარდაჭერას?

ა) ახალი კანონმდებლობით, სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, დაეფინანსებინა ახალგაზრდებისათვის ხელობის სწავლება;

ბ) სოლონმა ხელოსნის შვილები გაანთავისუფლა საჯარო ბეგარისაგან;

გ) სოლონის ერთ-ერთი კანონის მიხედვით, ხელოსნის შვილი, რომელსაც მშობელი არ ასწავლიდა ხელობას, თავისუფლდებოდა სიბერეში მშობელის მოვლის ვალდებულებისაგან;

დ) ხელოსანთა ამქრებას უფლება მიეცათ, აერჩიათ საკუთარი წარმომადგენელი არეოპაგში.

75. რა რეფორმა განახორციელა სოლონმა ადგილობრივი აგრარული წარმოების დაცვისა და განვითარების მიზნით?

ა) მან აკრძალა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტის იმპორტი და გამოყო სახელმწიფო სუბსიდია ადგილობრივი წარმოების წასახალისებლად;

ბ) მან სოფლად შექმნა საოჯახო მეურნეობათა კარტელები და შეიმუშავა მექანიზმი მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღების ხელშეწყობისათვის;

გ) მან აკრძალა ათენიდან ხორბლის გატანა და ხელს უწყობდა ზეთისხილის წარმოების განვითარებას;

დ) მან მცირე აგრარული მეურნეობები დროებით გაანთავისუფლა სახელმწიფო გადასახადებისაგან.

76. რას გულისხმობდა სოლონის მიერ განხორციელებული ფულის რეფორმა?

ა) მიმოქცევიდან ამოღებული იქნა „ზედმეტი“ ფული და დაწესდა ფულის მოჭრაზე მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი;

ბ) ფულის ნომინალი მიება რეალურ ეკონომიკას, რამაც განსაზღვრა მისი რეალური მსყიდველუნარიანობა;

გ) აიკრძალა ვაჭრობა სხვა ვალუტაზე, გარდა ადგილობრივი ვალუტისა, რამაც ხელი შეუწყო შემოსავლების აღრიცხვის გამარტივებას;

დ) ეგინური ფულის ერთეული შეიცვალა ევბეური ფულით, რამაც გაამარტივა ათენის ვაჭრობა უშუალოდ ევბეასთან, კორინთოსთან და მცირე აზიასთან.

77. რა ეწოდებოდა სახალხო კრებას ათენში?

ა) აგორა;

ბ) აპელა;

გ) ეკლესია;

დ) არეოპაგი.

78. რომელია მართებული მსჯელობა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში სოლონის მიერ განხორციელებული რეფორმის შესახებ?

ა) საგრძნობლად გაიზარდა სახალხო კრების - ეკლესიის ფუნქციები და როლი;

ბ) ადრე მოქმედ 3 ძირითად არქონტს დაემატა მსაჯულის უფლებამოსილების მქონე 6 არქონტისაგან შემდგარი კოლეგია;

გ) არქონტის ათწლიანი სამსახურის ვადა შემცირდა 1 წლამდე;

დ) ახალი კანონმდებლობით, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა ბულეს ხელში.

79. რა ფუნქცია გააჩნდა სახალხო კრებას - ეკლესიას სოლონის მმართველობის პერიოდში?

ა) ეკლესია ასრულებდა უმაღლესი სასამართლო ორგანოს ფუნქციას;

ბ) ეკლესია იყო სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო;

გ) ეკლესიის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა არქონტების არჩევითა და მათი საქმიანობის ზედამხედველობით;

დ) ეკლესია ასრულებდა პირველი არქონტის სათათბირო ორგანოს ფუნქციას.

80. რა ფუნქცია გააჩნდა „ოთხასის საბჭოს“ (ბულეს) ძველ ათენში სოლონის მმართველობის დროს?

ა) ბულე ასრულებდა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას;

ბ) ბულე წყვეტდა სახალხო კრებებს შორის პერიოდში მიმდინარე საკითხებს;

გ) ბულე ასრულებდა უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ფუნქციას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე;

დ) ბულე წარმოადგენდა არქონტთა საბჭოს სათათბირო ორგანოს ფუნქციას, რომელიც შეიმუშავებდა რეკომენდაციებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე.

81. ძირითადად რას გულისხმობდა სოლონის სოციალური რეფორმა?

ა) წოდებების გაუქმებას და ყველა მოქალაქის უფლებრივ გათანაბრებას;

ბ) მოქალაქეთა დაყოფას კატეგორიებად და თითოეული ფენისათვის უფლება-მოვალეობების დადგენას;

გ) კერძო საკუთრების გაუქმებას და კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებას;

დ) ღარიბი მოქალაქეებისათვის და ნაყიდი მონებისათვის ზოგიერთი სამოქალაქო უფლებების მინიჭებას.

82. რა კრიტერიუმის საფუძველზე განახორციელა სოლონმა ათენის საზოგადოების კატეგორიებად დაყოფა?
ა) წოდებრივი ნიშნით;
ბ) განათლების ცენზით;
გ) საქმიანობის სფეროს მიხედვით;
დ) ქონებრივი ნიშნით.

83. რა საზომით ხდებოდა მოქალაქეთა ქონების შეფასება მათი სოციალური კატეგორიისადმი კუთვნილების დასადგენად სოლონის დროს?
ა) სასოფლო სამეურნეო პროდუქტების (ხორბალი, ღვინო, ზეითუნის ზეთი) მოცულობით;
ბ) ნაღდი ფულით;
გ) მათ საკუთრებაში არსებული მიწის ფართობით;
დ) მათი საცხოვრებელი სახლის ფულად ერთეულში გამოხატული ფასით.

84. სოლონის სოციალური რეფორმის შესაბამისად, რამდენ კატეგორიად იყოფოდა ათენის მოსახლეობა?
ა) 3 კატეგორიად;
ბ) 4 კატეგორიად;
გ) 5 კატეგორიად;
დ) 6 ძირითად და 6 ქვეკატეგორიად.

85. სოლონის რეფორმის მიხედვით, რომელი იყო ათენის საზოგადოების პირველი (უმაღლესი) კატეგორია?
ა) ჰიპეები, ანუ მხედრები;
ბ) პენტაკოსიომედიმნები;
გ) ზევგიტები;
დ) ფეტაები.

86. რომელი იყო ათენის საზოგადოების მეოთხე, უმდაბლესი სოციალური კატეგორია სოლონის რეფორმის მიხედვით?
ა) ფეტაები;
ბ) ზევგიტები;
გ) ჰიპეები;
დ) პარიები.

87. სოლონის რეფორმის მიხედვით, რომელი სოციალური კატეგორიის წარმომადგენელს ჰქონდა უფლება, არჩეულიყო არქონტად ან ხაზინადარად?
ა) პენტაკოსიომედიმნებს და მხედრებს;
ბ) ყველას, გარდა ფეტაებისა;
გ) მხოლოდ პენტაკოსიომედიმნებს;
დ) სოლონის დროს სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევისათვის ქონებრივი და წოდებრივი ცენზი არ არსებობდა.

88. სოლონის სოციალური რეფორმის მიხედვით, რისი უფლება ენიჭებოდათ ზევგიტებს სახელმწიფო სამსახურში?
ა) შესულიყვნენ ნებისმიერ სახელმწიფო სამსახურში, მათ შორის მაგისტრატად;
ბ) ემსახურათ კავალერიაში;
გ) მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრების მუშაობაში;
დ) ემსახურათ მძიმედშეიარაღებულ ქვეით ჯარში (ჰოპლიტებად).

89. სოლონის რეფორმის მიხედვით, რა პოლიტიკური უფელებები ჰქონდათ უდაბლესი სოციალური კატეგორიის მოქალაქეებს?
ა) მხოლოდ სახალხო კრებებში მონაწილეობის უფლება;
ბ) მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სხდომებში მონაწილეობის უფლება;
გ) მძიმედშეიარაღებულ ქვეით ჯარში სამსახურის უფლება;
დ) სახალხო კრებებსა და ნაფიც მსაჯულთა სხდომებში მონაწილეობის უფლება.

90. რომელი მსჯელობა არ არის მართებული სოლონის რეფორმების შესახებ?
ა) სოლონმა ყველა რეფორმის განხორციელება არქონტად მსახურობის ერთ ვადაში, ანუ ერთ წელიწადში მოასწრო;
ბ) სოლონმა მნიშვნელოვნად შეზღუდა მიწათმფლობელი არისტოკრატიის უფლებები, დააწესა რა საკუთრებაში მიწის ფლობის ზღვრული ნორმა.
გ) სოლონმა გააუქმა დრაკონის კანონებით დადგენილი სიკვდილით დასჯის ინსტიტუტი;
დ) სოლონის დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

91. ვის სახელს უკავშირდება სოლონის რეფორმების შემდგომი დახვეწა და ათენში დემოკრატიის საბოლოო დამკვიდრება?
ა) ალკიბიადეს;
ბ) კლისთენეს;
გ) პერიკლეს;
დ) ტირან პისისტრატეს.

92. როდის განხორციელდა ათენში კლისთენეს რეფორმები, რამაც იქ საბოლოოდ დაამკვიდრა დემოკრატია?
ა) ძვ. წ. 351 წელს;
ბ) ძვ. წ. 415-410 წლებში;
გ) ძვ. წ. 444 წელს;
დ) ძვ. წ. 509 წელს.

93. რომელია კლისთენეს მიერ განხორციელებული რეფორმის ერთ-ერთი შედეგი?
ა) აიკრძალა სიკვდილით დასჯა ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის;
ბ) გაუქმდა ათენის მოქალაქეთა დაყოფა ქონების მიხედვით;
გ) გაუქმდა ოთხასთა საბჭო;
დ) აიკრძალა მონებით ვაჭრობა.

94. რა სიახლის შემოტანა უკავშირდება კლისთენეს სახელს?
ა) სეისახთეიას შემოღება, რაც გულისხმობდა მოქალაქეთათვის ვალების ჩამოწერას;
ბ) უცხოელთათვის მოქალაქეობის მინიჭების წესის შემოღება;
გ) ოსტრაკისმოსის ანუ სახელმწიფოსათვის პოტენციურად საშიში პირების ქალაქიდან გაძევების პრაქტიკის შემოღება;
დ) უდანაშაულობის პრეზუმფციის შემოღება, რაც გულისხმობდა პირის უდანაშაულოდ ცნობას მანამდე, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდებოდა.

95. რას უწოდებდნენ ხატოვნად სასამართლო პროცესებს, რომელზედაც წყდებოდა პოტენციური ტირანის ქალაქიდან გაძევების საკითხი?
ა) „თიხის სამსჯავროს“;
ბ) „კლისთენეს სასამართლოს“;
გ) „ნატეხთა სასამართლოს“;
დ) „ტიარანთა სასამართლოს“.

96. რა ძირითად მიზანს ისახავდა კლისთენეს მიერ ატიკის დაყოფა ტერიტორიულ ოლქებად, რომლებშიც მოსახლეობა შერეული იყო?
ა) სხვადასხვა სოციალურ ფენების მკაფიო გამიჯვნას;
ბ) გვარების გათიშვას და დიდგვაროვნების გავლენის შესუსტებას;
გ) ადგილობრივი მმართველობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას;
დ) მეფის გავლენის შესუსტებას.

97. რა ეწოდებოდა კლისთენეს რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ უმცირეს ადმინისტრაციულ ერთეულს?
ა) ფილე;
ბ) დემი;
გ) ნომი;
დ) ილი.

98. რა ერქვა კლისთენეს რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს?
ა) ტრირია;
ბ) ფილე;
გ) პერიფერია;
დ) ოკოლია.

99. რამდენ ფილედ დაყო კლისთენემ ატიკა?
ა) 32;
ბ) 22;
გ) 10;
დ) 8.

100. რა ცვლილება შეიტანა კლისთენემ სახელმწიფო მართვის სისტემაში?
ა) არქონტების სამსახურის პერიოდი 10 წლამდე გაზარდა;
ბ) ეფორების კოლეგიას ჩამოერთვა სასამართლოს ფუნქცია;
გ) სახალხო კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება მისცა ქალებსა და მონებს;
დ) ოთხასთა საბჭო აქცია ხუთასთა საბჭოდ, რომელიც დაიყო სექციებად.

101. რომელ ათენელ პოლიტიკოსსა და რეფორმატორს ეკუთვნის გამოთქმა „ჩვენ ვქმნით დროის მცირე მონაკვეთში, მაგრამ არა დროის მცირე მონაკვეთისათვის“?
ა) არისტიდეს;
ბ) პერიკლეს;
გ) თემისტოკლეს;
დ) სოლონს.

102. ვის სახელთან არის დაკავშირებული დემოკრატიის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება?
ა) კლისთენეს;
ბ) ლიკურგეს;
გ) პერიკლეს;
დ) დემოსთენეს.

103. რომელი თანამდებობა ეკავა პერიკლეს 15 წლის განმავლობაში?
ა) სტრატეგოსის;
ბ) ეფორის;
გ) არქონტის;
დ) სენატორის.

104. რა ეწოდებოდა უმაღლეს მმართველ ორგანოს - სახალხო კრებას ათენში პერიკლეს დროს?
ა) პანკუსი;
ბ) ეკლესია;
გ) ალია;
დ) აგორა.

105. რომელი არ არის მართებული მსჯელობა სახალხო კრების - ეკლესიის საქმიანობის შესახებ პერიკლეს დროს?
ა) სახალხო კრება იკრიბებოდა ყოველ მეათე დღეს;
ბ) ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა ხდებოდა ღია კენჭისყრით;
გ) კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 20 წელზე ზემოთ ყველა ათენელ მამაკაცს;
დ) კრების თავმჯდომარე წილისყრით ირჩეოდა.

106. ვინ ამზადებდა სახალხო კრებაზე (ეკლესიაზე) განსახილველ კანონის პროექტებს პერიკლეს დროს?
ა) ხუთასთა საბჭო-ბულე;
ბ) ეფორთა კოლეგია;
გ) უხუცესთა საბჭო-გერუსია;
დ) არქონტთა საბჭო.

107. რა ვადით ირჩევდა ათენის სახალხო კრების - ეკლესია სახელმწიფო მოხელეებს პერიკლეს დროს?
ა) 10 წლის ვადით;
ბ) 3 წლის ვადით;
გ) 1 წლის ვადით;
დ) სახალხო კრება არ მონაწილეობდა სახელმწიფო მოხელეების არჩევაში - ეს ფუნქცია ბულეს ჰქონდა მინიჭებული.

108. რომელია ერთ-ერთი შეზღუდვა, რომელიც უწესდებოდათ სახელმწიფო მოხელეებს პერიკლეს დროს?
ა) არ ჰქონდათ უფლება ზედიზედ ორჯერ დაეკავებინათ ერთი და იგივე თანამდებობა;
ბ) ერთი ოჯახის წევრებს არ ჰქონდათ უფლება, ერთდროულად ყოფილიყვნენ სახელმწიფო სამსახურში;
გ) არ ჰქონდათ უფლება, თანამდებობაზე ყოფნის დროს შეეძინათ ქონება;
დ) უფლება არ ჰქონდათ, შეეთავსებინათ სხვა სახელმწიფო თანამდებობა.

109. პერიკლეს დროს რომელ სახელმწიფო თანამდებობის პირზე არ ვრცელდებოდა შეზღუდვა, ზედიზედ ორჯერ დაეკავებინა თანამდებობა?
ა) არქონტზე;
ბ) ეფორზე;
გ) სტრატეგოსზე;
დ) ნაფიც მსაჯულზე.

110. რა გზით ცდილობდა პერიკლე, გამოერიცხა მოსამართლეთა მიერ ქრთამის აღება?
ა) საქმეებს განიხილავდა არა ერთი მოსამართლე, არამედ სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია;
ბ) დააწესა სიკვდილით დასჯა ქრთამის აღებაზე;
გ) შეიქმნა მექანიზმი, როდესაც წინასწარ უცნობი იყო, რომელი მოსამართლე განსჯიდა კონკრეტულ საქმეს;
დ) მოსამართლეებს დაენიშნათ მაღალი ხელფასი.

111. რა წესით ხდებოდა სახალხო კრების მიერ სახელმწიფო თანამდებობებზე კანდიდატების არჩევა?
ა) სტრატეგოსები და მოლარეები ირჩეოდნენ ღია კენჭისყრით, სხვები კი ფარულით;
ბ) ღია კენჭისყრით;
გ) ფარული კენჭისყრით;
დ) ფარული კენჭისყრით ირჩეოდნენ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული მოხელეები.

112. რა დანიშნულება ჰქონდა ძველ ათენში გამოყენებულ მოწყობილობას - აქსონს?
ა) მას იყენებდნენ სახალხო კრებაზე კენჭისყრის დროს;
ბ) მისი მეშვეობით აკონტროლებდნენ დროის რეგლამენტს სახალხო კრებაზე;
გ) მის ფიცრებზე კვეთდნენ კანონებს მოქალაქეთათვის გასაცნობად;
დ) აქსონი ათენის მოქალაქის პირადობის მოწმობა იყო.

113. რა ერქვა მოწყობილობას, რომლის მეშვეობითაც ათენელები აკონტროლებდნენ გამომსვლელთა დროის რეგლამენტს სახალხო კრების მსვლელობისას?
ა) პინაკია;
ბ) ოსტრაკონი;
გ) სიფონი;
დ) კლეფსიდრა.

114. რა დანიშნულებით იყენებდნენ ათენელები ოსტრაკონებს?
ა) ოსტრაკონი წარმოადგენდა ბრინჯაოს ფირფიტას, რომელიც მოქალაქის პირადობის მოწმობის ფუნქციას ასრულებდა;
ბ) ოსტრაკონები შავი და თეთრი ფერის ბურთულები იყო, რომლებსაც სახალხო კრებაზე კენჭისყრის დროს იყენებდნენ;
გ) ოსტრაკონს თიხის ფირფიტას უწოდებდნენ, რომელზედაც წერდნენ ქალაქიდან გასაძევებელი პირის სახელს;
დ) ოსტრაკონი ეწოდებოდა სპეციალურ ჩაქუჩს, რომელსაც მოსამართლე რკინის ფირფიტას ურტყამდა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ.

115. რა სახელწოდებით არის ცნობილი პერიკლეს მიერ გამოცემული კანონი, რომლითაც განისაზღვრა ათენის მოქალაქის ცნება და უფლება-მოვალეობები?
ა) "ათენის მოქალაქის შესახებ";
ბ) „ათენის ქარტია";
გ) „წმინდა მოქალაქეობა";
დ) „სახელმწიფო".

116. პერიკლეს კანონის მიხედვით, ვინ ითვლებოდა ათენის მოქალაქედ?
ა) ათენის ყველა მცხოვრები;
ბ) ყველა ათენელი მამაკაცი, გარდა მონებისა;
გ) ყველა მამაკაცი, ვისაც მამა ათენელი ჰყავდა, ხოლო, დედა, ასევე ათენის მოქალაქის შვილი;
დ) ყველა ათენელი მამაკაცი, ვისი წინაპრების ბოლო ორი თაობა ათენის მკვიდრი იყო.

117. პერიკლეს კანონმდებლობის მიხედვით, რომელი იყო ათენის მოქალაქეობის დაკარგვის ერთ-ერთი საფუძველი?
ა) ბრძოლაში გამოჩენილი ლაჩრობა;
ბ) არაათენელზე დაქორწინება;
გ) ათენის მოქალაქის განზრახ მკვლელობა ან დასახიჩრება;
დ) საკუთარი ქონების უცხოელზე გაყიდვა.

118. პერიკლეს კანონმდებლობის მიხედვით, რომელი ქმედება არ ითვლებოდა ათენის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველად?
ა) ვალების გადაუხდელობა;
ბ) ქურდობა;
გ) სახალხო კრების მუშაობაში მონაწილეობისათვის განგებ თავის არიდება;
დ) ღმერთების უპატივცემულობა.

119. პერიკლეს კანონების მიხედვით, რა ასაკამდე ითვლებოდა ათენის მოქალაქე სამხედრო ვალდებულად?
ა) 35 წლის ასაკამდე;
ბ) 43 წლის ასაკამდე;
გ) 49 წლის ასაკამდე;
დ) 51 წლის ასაკამდე.

120. რა სიახლე შემოიღო პერიკლემ სახელმწიფო სამსახურში?
ა) მინიმუმამდე შეკვეცა სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა;
ბ) სახელმწიფო მოხელეებს დაუწესა გამოსაცდელი ვადა;
გ) მან დააწესა ხელფასი თანამდებობისათვის და სხდომებში მონაწილეობისათვის;
დ) შემოიღო სახელმწიფო მოხელეთა გამოცდები და კარიერული წინსვლის სისტემა.

121. პერიკლეს კანონმდებლობის მიხედვით, რა ვალდებულება ეკისრებოდათ ათენის მდიდარ მოქალაქეებს?
ა) თითო მდიდარ მოქალაქეს თავის თავზე უნდა აეღო ერთი ღარიბი ოჯახის შენახვის ხარჯები;
ბ) მათ წლის განმავლობაში უნდა აეგოთ ერთი ტაძარი და ერთი საზოგადოებრივი შენობა;
გ) მათ უნდა დაეფარათ წლის განმავლობაში ერთი საბრძოლო ხომალდის აღჭურვის ან თეატრალური წარმოდგენის ხარჯები;
დ) მათ უნდა დაეფარათ უპოვართა თავშესაფრის მიმდინარე წლიური ხარჯი.

122. რა ეწოდებოდათ ათენში მცხოვრებ უცხოელ თავისუფალ მოქალაქეებს?
ა) აპატრიდები;
ბ) მეტოიკები;
გ) ჰილოტები;
დ) კვირიტები.

თავი II. ბერძნული კოლონიზაცია

1. სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად რა განაპირობებდა ბერძნული კოლონიზაციის დაწყებას?
ა) კლიმატური პირობები;
ბ) გამუდმებული შემოსევები;
გ) მოსახლეობის ჭარბი ტემპით მატება;
დ) უნაყოფო ნიადაგი.

2. რა აზრობრივი დატვირთვა გააჩნია ბერძნული სიტყვა „სტენოხორიას“ კოლონიზაციასთან მიმართებაში?
ა) ტერმინი გულისხმობს ბერძნულ ტრადიციაში დამკვიდრებულ წესს, რომელიც ითვალისწინებს ზრდასრულ ასაკში ვაჟის ოჯახიდან წასვლას და ახალი საცხოვრებლის ძიებას;
ბ) ტერმინი აღწერს ბერძნული პოლისების ექსპანსიონისტური პოლიტიკის არსს, რომელიც გულისხმობს პოლისის ძლიერებისათვის ახალი ტერიტორიების ათვისებას ნებისმიერი საშუალებით;

გ) ტერმინი აღწერს მდგომარეობას, როდესაც ჭარბი მოსახლეობის გამო პოლისს აღარ აქვს შესაძლებლობა, გამოკვებოს და დაასაქმოს მოქალაქეები;
დ) ტერმინი აღწერს ურთულეს პერიოდს საბერძნეთის ისტორიის „ბრინჯაოს ხანის კატასტროფის“ შემდეგ, რამაც მოსახლეობის მასიური მიგრაცია გამოიწვია.

3. დემოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად, რა განაპირობებდა ბერძნული კოლონიზაციის გაძლიერებას ანტიკურ პერიოდში?
ა) საშინაო კონფლიქტები და სამოქალაქო ომები;
ბ) ჭარბი კაპიტალი და გასაღების ახალი ბაზრების ათვისების სურვილი;
გ) იაფი მუშახელის - მონების დეფიციტი;
დ) მძაფრი ეკონომიკური კრიზისი.

4. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა უწყობდა ხელს ბერძნული კოლონიზაციის გაძლეირებას?
ა) პოლისების ხელისუფლების მხრიდან წახალისება და მხარდაჭერა.
ბ) სახმელეთო ტრანსპორტის ახალი სახეობების განვითარება, რაც დიდ მანძილზე მთელი ოჯახისა და საოჯახო ნივთების გადატანის საშუალებას იძლეოდა;
გ) იმ დროს გავრცელებული რწმენა, რომ მეზობელ ტერიტორიებზე ოქროსა და ძვირფასი ლითონების დიდი მარაგები მოიპოვება;
დ) ზღვაოსნობის განვითარება.

5. რომელი მსჯელობა აღწერს ბერძნული პოლისების დამოკიდებულებას ახალი კოლონისტების მიმართ?
ა) ახალი კოლონიების დაარსება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და კოლონისტები მძლავრი მხარდაჭერით სარგებლობდნენ;
ბ) პოლისი არაფრით არ ეხმარებოდა კოლონისტებს, უფრო მეტიც, კოლონისტი პოლისში დაბრუნების უფლებასაც კარგავდა;
გ) პოლისი მხარს უჭერდა არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიერ ახალი კოლონიების დაარსებას, თუმცა, ჩვეულებრივ მოქალაქეს ამის უფლებას არ აძლევდა;
დ) ზოგიერთი პოლისი საკუთარ მოქალაქეებს უკრძალავდა ქალაქის დატოვებას კოლონიის შექმნის მიზნით.

6. რომელი მსჯელობა აღწერს ბერძნული პოლისის ხელისუფლების მონაწილეობას კოლონიზაციის პროცესში?
ა) პოლისის ხელისუფლება ახალი კოლონიების შექმნის პროცესში არ ერეოდა და ის სტიქიურად მიმდინარეობდა;
ბ) ახალი პოლისის შექმნა არისტოკრატების ექსკლუზიური უფლება იყო და ის ინდივიდუალურად, შეთანხმების გარეშე ხორციელდებოდა;
გ) ახალი კოლონიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას სახალხო კრება და არისტოკრატთა საბჭო იღებდა;
დ) ახალი კოლონიების შექმნა რეგულირდებოდა პოლისის კანონმდებლობით და მასზე ნებართვას გასცემდა უხუცესთა საბჭო.

7. რა ეწოდებოდა ექსპედიციის ხელმძღვანელს, რომელსაც უნდა ემართა ახლად დაარსებული ბერძნული კოლონია?
ა) ზევგიტი;
ბ) სტრატეგოსი;
გ) პოლემარქი;
დ) ოიკისტი.

8. როგორც წესი, რომელი სოციალური ფენიდან/წრიდან ირჩეოდა ბერძნული კოლონიის მომავალი მმართველი - ოიკისტი?
ა) მაღალი ფენის არისტოკრატთაგან;
ბ) ზევგიტებისგან, ანუ საშუალო ფენიდან;
გ) ჰიპეების, ანუ მხედრების ფენიდან;
დ) ოიკისტი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი მოქალაქე.

9. რა ფორმით მონაწილეობდნენ რელიგიური კულტის მსახურები ბერძნული კოლონიზაციის პროცესში?
ა) ექსპედიციის მეთაური ინიშნებოდა მხოლოდ დელფოსის ტაძრის უმაღლესი ქურუმის ხელდასმის შემდეგ;
ბ) ახალი კოლონიის შექმნისათვის აუცილებელი იყო დელფოსის ტაძრის უმაღლესი ქურუმის ოფიციალური ნებართვა;
გ) ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, დელფოსის აპოლონის ტაძრის მისანი გასცემდა „რჩევებს“ ახალი კოლონიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ;
დ) კულტის მსახურების მონაწილეობა შემოიფარგლებოდა ექსპედიციაში მისიონერების ჩართვით.

10. რა ძირითად პრაგმატულ გათვლას ითვალისწინებდა დელფოსის ტაძრის კულტის მსახურთა „რჩევები“ ახალი კოლონიების დაარსების პროცესში?
ა) ისეთი ადგილების შერჩევას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ადვილად მიიღებდა ბერძნულ წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ ტრადიციებს;
ბ) ისეთი ტერიტორიის შერჩევას, რომელიც მაქსიმალურად დაშორებული იქნებოდა მეტროპოლიიდან;
გ) შედარებით ძლიერი ქვეყნებისაგან თავის არიდებას და მომავალი კოლონიისათვის უსაფრთხო გარემო პირობების შერჩევას;
დ) ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფოების შერჩევას, რომლის მიღწევების გამოყენება ხელს შუწყობდა პოლისის შემდგომ განვითარებას.

11. ძვ.წ. V საუკუნიდან რომელი ტერიტორია იწოდებოდა „დიდ საბერძნეთად“ ბერძენთა ინტენსიური კოლონიზაციის გამო?
ა) აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი;
ბ) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი;
გ) სამხრეთ იტალია და კუნძული სიცილია;
დ) სამხრეთ შავიზღვისპირეთი.

12. გარდა იტალიისა და შავიზღვისპირეთისა, რომელი მიმართულებით განვითარდა ბერძნული კოლონიზაცია?
ა) ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკაში;
ბ) სირია-პალესტინის სანაპირო ზოლის მიმდებარედ;
გ) ჩრდილოეთ ესპანეთსა და სამხრეთ საფრანგეთში;
დ) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

13. რომელია მართებული მსჯელობა ბერძნული კოლონიზაციის პროცესის შესახებ?
ა) ბერძენი კოლონიზატორები არჩევდნენ დაუსახლებელ ადგილებს, რაც გამორიცხავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტს;
ბ) საუკეთესო პირობების ძიებისას, ბერძნებს ხშირად უხდებოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკება და მათი განდევნა საკუთარი ტერიტორიიდან;
გ) კოლონიზატორები ძირითადად ყიდულობდნენ მიწებს კოლონიისათვის, რაც გამორიცხავდა ადგილობრივ მოსახლეობასთან რაიმე დაპირისპირებას;
დ) ბერძენი კოლონიზატორების შიშით ადგილობრივი მოსახლეობა თავისი ნებით, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს.

14. როგორი ურთიერთობები მყარდებოდა ახალ ბერძნულ კოლონიებსა და მეტროპოლიას შორის?

ა) კოლონიები ცენტრალიზირებულად მეტროპოლიიდან იმართებოდა მათ მიერ დანიშნული ოიკისტების მეშვეობით;

ბ) კოლონია ყველანაირ კავშირს წყვეტდა მეტროპოლიასთან და დამოუკიდებლად ვითარდებოდა;

გ) კოლონია არ კარგავდა კავშირს პოლისთან და მათ შორის ურთიერთობები წარიმართებოდა ნებაყოფლობით საწყისებზე;

დ)კოლონია ფორმალურად პოლისის საკუთრებად მიიჩნეოდა, თუმცა მეტროპოლიის ძალაუფლება ახალშენებში ნომინალური იყო.

15. რომელმა ბერძნულმა კოლონიამ გაითქვა სახელი თავისი სიმდიდრით, რაც მითების თემადაც იქცა?

ა) დიკეარხიამ;

ბ) ელიზეუმმა;

გ) სიბარისმა;

დ) არკადიამ.

16. რომელი ისტორიული მოვლენა ადასტურებს ვარაუდს, რომ ზოგჯერ ომის დროს ბერძნული კოლონიები თავის მეტროპოლიებს უპირისპირდებოდნენ?

ა) ძვ. წ. VI საუკუნეში შეიარაღებული კონფლიქტი მიმდინარეობდა მილეტსა და მის კოლონია მირმეკიონს შორის;

ბ) ძვ. წ. VII საუკუნეში კორინთთან ომში ჩაება მისი ძველი კოლონია - კორკირა.

გ) ძვ. წ. VII საუკუნეში ბერძნული კოლონია პანტიკაპეიონი ომობდა მის მეტროპოლია მილეტთან;

დ) ძვ. წ. V საუკუნეში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ომი კორინთსა და მის ყოფილ კოლონია სირაკუზას შორის.

17. რომელი დიდი ომის საბაბად იქცა ყოფილ კოლონია კორკირასა და მის მეტროპოლია კორინთს შორის არსებული კონფლიქტი?

ა) ოლინთოსის ომის;

ბ) კორინთის ომის;

გ) ბეოტიის ომის;

დ) პელოპონესის ომის.

18. დაახლოებით როდის მოხდა ბერძნული კოლონიზაციის პროცესის შესუსტება?

ა) ძვ. წ. VI საუკუნის განმავლობაში;

ბ) ძვ. წ. IV საუკუნეში;

გ) ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისში;

დ) ძვ. წ. V საუკუნის განმავლობაში.

19. რამ გამოიწვია ბერძნული კოლონიური ექსპანსიის საბოლოოდ შეწყვეტა?

ა) კოლონიებში დაწყებულმა აჯანყებების ტალღამ;

ბ) ეტრუსკების, კართაგენისა და სპარსეთის იმპერიის გაძლიერებამ;

გ) საბერძნეთში მიმდინარე დიდმა შინაომებმა;

დ) ჩრდილოეთიდან გერმანული ტომების შემოსევამ.

20. როდიდან იწყება ბერძნული კოლონიების დაარსება აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე?

ა) ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში;

ბ) ძვ. წ. VI საუკუნეში;

გ) ძვ. წ. VII საუკუნიდან;

დ) ძვ. წ. IV საუკუნეში.

21. რომელია უძველესი ბერძნული კოლონია აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში?
ა) კერკირა;
ბ) ფეოდოსია;
გ) ოლვია;
დ) დიოსკურია.

22. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის ბერძნების მიერ დაარსებული კოლონია აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში?
ა) გაგრა;
ბ) ფაზისი;
გ) გიენოსი;
დ) დიდი პიტიუნტი.

23. ვის მიერ არის დაარსებული ძველი ბერძნული კოლონია დიოსკურია?
ა) კორინთელების მიერ;
ბ) ათენელების მიერ;
გ) იონელების მიერ;
დ) მილეტელების მიერ.

24. ჩამოთვლილთაგან, რომელია ბერძნების მიერ ჩრდილო შავისზღვისპირეთში დაარსებული კოლონიები?
ა) პოსიდონია, კროტონი, ნაკსოსი;
ბ) პარტენოპეია, კირენა, აპოლონია;
გ) პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი;
დ) მასალია, ოლბია, ემპორიონი.

25. რა მიზეზები განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ შავისზღვისპირეთისაგან გასხვავებით, ბერძნებმა ვერ შეძლეს აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთის ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონება?
ა) თავისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბერძნები უფრო მეტ ძალისხმევას ჩრდილოეთ შავისზღვისპირეთისაკენ მიმართავდნენ;
ბ) აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში ბერძნებს მაღალი კულტურის მქონე, განვითარებული მოსახლეობა დახვდათ;
გ) ძვ.წ. VI საუკუნეში ჩრდილოეთ შავისზღვისპირეთის ხალხებს შორის შინაომები მძვინვარებდა;
დ) აღმოსავლეთ შავისზღვისპირეთში ძირითადად მილეტელი კოლონისტები სახლდებოდნენ, რომლებიც იონელებისა და კორინთელებთან შედარებით ნაკლებად განვითარებულნი იყვნენ.

26. რომელია მართებული მსჯელობა ბერძნული კოლონიზაციის დროს კოლხეთის განვითარების დონის შესახებ?
ა) ბერძნული კოლონიზაციის დროს კოლხეთი საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა იყო განვითარებული სოფლის მეურნეობით, მეტალურგიითა და ვაჭრობით;
ბ) ძვ.წ. VI საუკუნეში კოლხეთი ჯერ კიდევ ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო პრიმიტიული შინამეურნეობითა და სუსტად განვითარებული ვაჭრობით;
გ) ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში კოლხეთი ჯერ კიდევ იძენდა სახელმწიფოებრიობის ნიშნებს;
დ) კოლხეთში ბერძნები წააწყდნენ მათზე განვითარებულ ცივილიზაციას და კულტურას, რამაც მათი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე მინიმალური გახადა.

27. რა უწოდეს მეცნიერებმა ძვ.წ. VI – II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში არსებულ ვერცხლის ფულს?
ა) დიდრაქმა;
ბ) ტეტრადრაქმა;
გ) კოლხური თეთრი;
დ) სტატერი.

28. ისტორიული წყაროების მიხედვით, რომელი ლეგენდარული მეფის შთამომავლები იყვნენ კოლხეთის მეფეები?
ა) ქუჯი;
ბ) აფსირტე;
გ) ფარნავაზის;
დ) აიეტის.

29. ისტორიული წყაროების მიხედვით, რა ერქვა აიეტის მემკვიდრეების მიერ შექმნილ კოლხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს?
ა) სკეპტუხიები;
ბ) ნომები;
გ) დიმები;
დ) სატრაპიები.

30. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რა ერქვა დღევანდელი ქალაქ ვანის ტერიტორიაზე ანტიკურ პერიოდში არსებულ ქალაქს?
ა) აფსარი;
ბ) სური;
გ) გიენოსი;
დ) დიმნა.

31. რომელი ფაქტი ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ ანტიკურ პერიოდში კოლხეთი შავიზღვისპირეთისა და წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო?
ა) მიდიის სამეფო ხარკს უხდიდნენ კოლხეთის მეფეს;
ბ) უძლიერესმა სპარსეთის სამეფომ ვერ შეძლო კოლხეთის სრულად დაპყრობა;
გ) გაძლიერებული მიდიის სამეფო ვერ ბედავდა კოლხეთის სამეფოს ტერიტორიასთან მიახლოებას;
დ)ისტორიულ წყაროებში მიდიისა და სპარსეთის მეფეები აღიარებენ კოლხეთის მეფის ძლევამოსილებას და მას პატივით მოიხსენიებენ.

32. რომელ სამეფოს უხდიდა კოლხეთი ნებაყოფლობით ხარკს ყოველ ხუთ წელიწადში ასი ყრმისა და ასი ასულის სახით აგრესიის თავიდან აცილების მიზნით?
ა) მიდიას;
ბ) სასპერებს;
გ) ბერძნებს;
დ) სპარსეთს.

33. რა წარმოშობის ხალხი იყო სასპერები, რომლებიც ანტიკურ პერიოდში განსახლებული იყვნენ საქართველოში ვრცელ ტერიტორიაზე, კოლხეთის მეზობლად?
ა) სასპერები ბერძენ კოლონიზატორთა შტამომავლები იყვნენ;
ბ) სასპერები სამხრეთ საქართველოში მოსახლე ძველი ხეთური ტომი იყო;
გ) სასპერები აღმოსავლეთ ქართული ტომთა მსხვილი გაერთიანება იყო;
დ) დადასტურებულია სასპერების ნათესაური კავშირი სპარსელებთან.

34. ისტორიული წყაროების მიხედვით, როდის მოხდა მესხური ტომების ჩამოსახლება საქართველოს ტერიტორიაზე?
ა) ძვ.წ. V საუკუნეში;
ბ) ძვ.წ. VIII საუკუნეში;
გ) ძვ.წ. VII საუკუნეში;
დ) ძვ.წ. VI საუკუნეში.

35. რომელ ქართულ ტომებს უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილი დედაქალაქის სახელი - მცხეთა?
ა) მოსინიკების;
ბ) სასპერების;
გ) ხალიბების;
დ) მესხების.

36. რომელი ხალხის კულტურასთან ჰქონდათ შეხება ძველ მესხურ ტომებს საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებამდე?
ა) ბერძნებთან;
ბ) ხეთებთან;
გ) სპარსელებთან;
დ) შუმერებთან.

37. ისტორიული წყაროების მიხედვით, რა ადგილი ეკავა „მამასახლისს“ ძველი სასპერების სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში?
ა) „მამასახლისი“ სასპერების ტომთა გაერთიანების მეთაურს ერქვა;
ბ) „მამასახლისი“ იყო სასპერების სამეფოს ცალკეული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის მეთაური;
გ) „მამასახლისს“ ძველი სასპერები უმცირესი სოციალური ერთეულის - ოჯახის მეთურს უწოდებდნენ;
დ) „მამასახლისი“ სათავეში ედგა სასპერების ტომობრივ-თემობრივ ერთეულს.

38. რომელი ბერძენი ისტორიკოსი გვაწვდის ცნობებს სასპერების შესახებ?
ა) პლუტარქე;
ბ) სტრაბონი;
გ) ჰეროდოტე;
დ) პროკოფი კესარიელი.

39. ჩამოთვლილთაგან, რომელი არის კოლხეთის მითიური მეფე?
ა) ქუჯი;
ბ) აფსირტე;
გ) არისტარქე;
დ) აკუსილოხი.

თავიIII. ბერძენ-სპარსელთა ომები

1. რამ გამოიწვია ბერძნული კოლონიური ექსპანსიის საბოლოოდ შეწყვეტა?
ა) კოლონიებში დაწყებულმა აჯანყებების ტალღამ;
ბ) ეტრუსკების, კართაგენისა და სპარსეთის იმპერიის გაძლიერებამ;
გ) საბერძნეთში მიმდინარე დიდმა შინაომებმა;
დ) ჩრდილოეთიდან გერმანული ტომების შემოსევამ.

2. რომელი მეფის მმართველობის ქვეშ მოხერხდა სპარსეთის გაერთიანება და ძლიერი იმპერიის ჩამოყალიბება ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში?
ა) კამბისე I-ს;
ბ) კიროს II დიდის;
გ) დარიოს I დიდის;
დ) ასტიაგეს.

3. რომელი დინასტიის დამაარსებელი იყო სპარსეთის მეფე კიროს II დიდი?
ა) სეფიანების;
ბ) სელევკიდების;
გ) აქემენიდების;
დ) ღაზნავიდების.

4. რომელ ისტორიულ პერიოდში არსებობდა სპარსეთის აქემენიდების იმპერია?
ა) ძვ.წ V – IV საუკუნეებში;
ბ) ძვ.წ VI – IV საუკუნეებში;
გ) ძვ.წ V – IV საუკუნეებში;
დ) ძვ.წ VII – V საუკუნეებში.

5. ვინ იყო მიდიის უკანასკნელი მეფე, რომლის წინააღმდეგაც კიროს II-მ ძვ. წ. 553 წელს აჯანყება მოაწყო და სამეფო წაართვა?
ა) ასტიაგე;
ბ) კიაქსარი;
გ) ფრაორტე;
დ) დეიოკი.

6. რომელი სამეფოები დაიპყრო სპარსეთის მეფე კიროს II-მ მიდიის შემოერთების შემდეგ?
ა) ასურეთი, კილიკია და ლიდია;
ბ) ფრიგია და ეგვიპტე;
გ) ელამი და ხეთების ქვეყანა;
დ) შუმერი, ბაბილონი და აქადი.

7. როდის დაიპყრო კიროს II დიდმა ლიდიის სამეფო?
ა) ძვ.წ VI საუკუნის ბოლოს;
ბ) ძვ.წ 583 წელს;
გ) ძვ.წ 553 წელს;
დ) ძვ.წ VI საუკუნის შუა ხანებში.

8. ვინ იყო ლიდიის უკანასკნელი მეფე?
ა) კრეზი;
ბ) ალიატე;
გ) სადიათი;
დ) არდისი.

9. რა ურთიერთობაში იყვნენ მცირე აზიაში არსებული ბერძნული ქალაქები (მილეტი, ეფესო, სამოსი) ლიდიის სამეფოსთან კრეზის მმართველობის დროს?
ა)კრეზის მმართველობის პერიოდში 12 ბერძნული ქალაქი სრულად დაექვემდებარა ლიდიის მეფეს;
ბ) ფორმალურად ისინი ლიდიის შემადგენლობაში შედიოდნენ, თუმცა, კრეზი მათ სრულ თავისუფლებას აძლევდა აღიარებისა და მცირე ხარკის სანაცვლოდ;
გ) კრეზის მეფობის დროს ბერძნული ქალაქები ინარჩუნებდნენ ფორმალურ და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას;
დ) მეფე კრეზის მმართველობის ბოლო წლებში 12 ბერძნულმა ქალაქმა შექმნა მძლავრი პოლიტიკური კავშირი და ისინი სრულად გამოვიდნენ ლიდიის დაქვემდებარებიდან.

10. როგორი დამოკიდებულება დამყარდა სპარსელებსა და მცირე აზიაში, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე არსებულ 12 ბერძნულ ქალაქს შორის მეფე კიროს II -ის მიერ ლიდიის დაპყრობის შემდეგ?

ა) მეფე კიროსმა უცვლელი დატოვა ბერძნული ქალაქების სტატუსი და დაკმაყოფილდა მხოლოდ მცირე ხარკს;

ბ) კიროსის მმართველობის დროს ბერძნულმა ქალაქებმა სრული დასჯერდა მოიპოვეს და სპარსეთთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობით შემოიფარგლებოდნენ;

გ) კიროსი არ დათანხმდა ბერძნული ქალაქების წინადადებას, უცვლელად დარჩენილიყო მათი სტატუსი და მცირე წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, მალევე დაიპყრო ისინი;

დ) ბერძნული ქალაქები უბრძოლველად დამორჩილდნენ სპარსეთს და აღიარეს კიროსი საკუთარ მბრძანებლად.

11. რომელი ბერძნული ქალაქი დათანხმდა კიროს II-ის წინადადებას, სრულად დამორჩილებოდა სპარსეთის ტახტს?

ა) ეფესო;

ბ) სამოსი;

გ) მილეტი;

დ) ქიოსი.

12. მცირე აზიაში არსებული რომელი ბერძნული ქალაქების მოსახლეობამ არჩია სპარსეთის მონობას სამშობლოს მიტოვება?

ა) მილეტისა და ქიოსის;

ბ) მიუნტისა და პრიენას;

გ) თეოსისა და ფოკეას;

დ) კლაზომენისა და სამოსის.

13. როდის დაიწყო და რამდენ ხანს გაგრძელდა მცირე აზიის ბერძნული ქალაქ სახელმწიფოების სამხედრო აჯანყება აქემენიდების სპარსეთის წინააღმდეგ?

ა) ძვ.წ. 499 წელს და გაგრძელდა ძვ.წ. 493 წლამდე;

ბ) ძვ.წ. 511 წელს და გაგრძელდა ძვ.წ 499 წლამდე;

გ) ძვ.წ. 550 წელს და გაგრძელდა ძვ.წ 545 წლამდე;

დ) ძვ.წ. 522 წელს და გაგრძელდა ძვ.წ 486 წლამდე.

14. ვინ იყო სპარსეთის მეფე იონიელების ძვ.წ. 499-493 წლების აჯანყების დროს?

ა)კიროს II დიდი;

ბ) დარიოს I;

გ) კამბისე;

დ) ქსერქსე I.

15. მცირე აზიაში მდებარე რომელი ბერძნული ქალაქი გახდა სპარსელების წინააღმდეგ იონიელთა ჯანყების მთავარი ეპიცენტრი?

ა) სამოსი;

ბ) მილეტი;

გ) ეფესო;

დ) პრიენა.

16. რომელი ბერძნული პოლისები ეხმარებოდნენ ამბოხებულ იონიელებს სპარსელებთან ბრძოლაში ძვ.წ. 499-493 წლების აჯანყების დროს?

ა) კორინთი და თრაკია;

ბ) სპარტა და როდოსი;

გ) სიკიონი და კნოსი;

დ) ათენი და ერეთრია.

17. რა შედეგით დასრულდა იონიელების აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ ძვ.წ. 499-493 წლებში?

ა) 6 წლის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ბერძნებმა შეძლეს სპარსელების განდევნა მცირე აზიის ბერძნული პოლისებიდან;

ბ) მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, სპარსელებმა მაინც მოახერხეს იონიელების დამარცხება;

გ) დარიოს I იძულებული გახდა, ზავი გაეფორმებინა აჯანყებულთა მეთაურ არისტაგორასთან, რომლის თანახმად პოლისების მმართველები ამიერიდან ადგილობრივთაგან აირჩეოდნენ;

დ) სპარტასა და კორინთის დახმარების მიუხედავად, აჯანყებულებმა ვერ შეძლეს უპირატესობის მოპოვება და საბოლოოდ დამარცხდნენ.

18. სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად რამ განაპირობა ბერძნების დამარცხება ძვ.წ. 499-493 წლებში სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დროს?

ა) ცუდმა შეიარაღებამ და გამოცდილი მხედართმთავრების ნაკლებობამ;

ბ) ბერძნულ პოლისებს შორის გათიშულობამ;

გ) ზოგიერთი ბერძნული პოლისის (მაგ.მილეტი და სპარტა) მოწინააღმდეგის მხარეს ბრძოლამ;

დ) ბერძნული სამხედრო ფლოტის სისუსტემ.

19. პირველად როდის გაილაშქრა დარიოს I-მა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების - ათენის, პლატეასა და ერეთრიის წინააღმდეგ?

ა) ძვ.წ. 493 წელს;

ბ) ძვ.წ. 492 წელს;

გ) ძვ.წ. 490 წელს;

დ) ძვ.წ. 485 წელს.

20. რა გარემოებამ შეუშალა ხელი სპარსეთის ფლოტს, წარმატებით გაელაშქრა ბერძნული პოლისების წინააღმდეგ ძვ.წ. 492 წელს?

ა) დარიოსის ესკადრა უკან გაბრუნდა, რადგან დედაქალაქ პერსეპოლისში დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება;

ბ) ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა სპარსელთა ფლოტელია გაანადგურა;

გ) ხომალდზე გავრცელდა ეპიდემია, რამაც ფლოტის პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიწირა;

დ) გზად სპარსელები წააწყდნენ მეკობრეთა ხომალდებს, რომელთან დაპაირისპირებამ მნიშვნელოვნად დაასუსტა დარიოსის ფლოტი;

21.როდის განახორციელა დარიოს I-მა მეორე ექსპედიცია ბერძნული პოლისების წინააღმდეგ?

ა) ძვ.წ. 490 წელს;

ბ) ძვ.წ. 487 წელს;

გ) ძვ.წ. 491 წელს;

დ) ძვ.წ. 480 წელს.

22. სად მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის ძვ.წ. 490 წელს?

ა) კუნძულ ლადასთან;

ბ) კუნძულ სალამინთან;

გ) ქალაქ მარათონთან;

დ) მიკალეს კონცხთან.

23. რა შედეგით დასრულდა ძვ.წ. 490 წელს სპარსელებსა და ბერძნებს შორის მომხდარი მარათონის ბრძოლა?

ა) ათენისა და პლატეას კოალიციურმა ძალებმა სასტიკი მარცხი აწვნიეს სპარსელებს, რამაც დარიოსის არმია ბრძოლისუუნარო გახადა;

ბ) სპარსელებმა დატისის მეთაურობით პირწმინდად დაამარცხეს მოწინააღმდეგე და დაიწყეს მზადება ათენის ასაღებად;

გ) დარიოსის ლაშქარმა დატისის სარდლობით შეძლო ბერძენთა დამარცხება, თუმცა, პერსიპოლისში დაწყებული არეულობის გამო, სამშობლოში გაბრუნდა და უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო;

დ) ათენისა და პლატეას გაერთიანებული ლაშქარი განადგურებისაგან დარიოს I-ის გარდაცვალებამ იხსნა, რის შემდეგაც სპარსული ფლოტელია სამშობლოში გაბრუნდა.

24. ვინ სარდლობდა ათენისა და პლატეას გაერთიანებულ ლაშქარს მარათონის ბრძოლაში?

ა) თემისტოკლე;

ბ) ალკიბიადე;

გ) მილტიადე;

დ) პერიკლე.

25. სხვა ფატორებთან ერთად, რამ განაპირობა ბერძენთა წარმატება მარათონის ბრძოლაში?

ა) ბრძოლაში საბრძოლო სპილოების გამოყენებამ;

ბ) აქამდე უცნობი იარაღის, ე.წ. „ბერძნული ცეცხლის“ აქტიურმა გამოყენებამ;

გ) მსუბუქად შეიარაღებული ქვეითებისა და კავალერიის შეთანხმებულმა ურთიერთქმედებამ;

დ) საბრძოლო-ტაქტიკურმა სიახლემ, რომელიც ქვეითთა ქვედანაყოფების ორგანიზებულ ურთიერთქმედებას ემყარებოდა.

26. რა ერქვა ბერძენ მებრძოლს, რომელმაც ათენამდე 42 კილომეტრი ირბინა და თანაქალაქელებს მარათონის ბრძოლაში გამარჯვება ახარა?

ა) ლეონიდასი;

ბ) ფილიპიდესი;

გ) კალიმახე;

დ) კიმიონი.

27. ვინ ავიდა სპარსეთის ტახტზე დარიოს I -ის გარდაცვალების შემდეგ?

ა) არტაქსერქსე I;

ბ) ქსერქსე II;

გ) ქსერქსე I;

დ) კამბისა.

28. რომელი ათენელი არქონტის ინიციატივით განხორციელდა სამხედრო ფლოტის მშენებლობა სპარსელებთან მომავალი ომისათვის?

ა) ალკიბიადე;

ბ) პერიკლე;

გ) თემისტოკლე;

დ) კლეოფონტი.

29. ვინ ხელმძღვანელობდა სპარსელთა არმიას, რომელიც ძვ.წ. 480 წელს საბერძნეთში შეიჭრა?

ა) დატისი;

ბ) არიაბიგნი;

გ) ქსერქსე I;

დ) მარდონიუსი.

30. რომელი მსჯელობა არის მართებული თერმოპილეს ბრძოლის წინ შექმნილი მდგომარეობის შესახებ?

ა) თემისტოკლემ შეძლო ყველა დიდი პოლისის გაერთიანება და ბერძენთა კოალიციური არმიის საბრძოლველად განწყობა;

ბ) ბერძენთა შორის არ იყო თანხმობა თავდაცვის გეგმების თაობაზე: სპარტელებს არ სურდათ ჯარის შორს გაშვება და მხოლოდ პელოპონისის დაცვას გეგმავდნენ;

გ) ბრძოლის წინ ბერძნების ძირითადი პრობლემა სუსტი სამხედრო ფლოტი იყო, რომელიც განწირული იყო მარცხისათვის;

დ) ქსერქსე I-მა ვერ შეძლო საკმარისი რაოდენობის არმიის შეკრება, თუმცა, ბრძოლებში გამოცდილი სპარსელთა არმია მაინც ფლობდა რიცხობრივ უპირატესობას.

31. რომელი არ არის მართებული მსჯელობა თერმოპილეს ბრძოლის წინ შექმნილი მდგომარეობის შესახებ?

ა) ათენელებს სურდათ ბრძოლა მათი ქალაქიდან რაც შეიძლება შორს გაემართათ;

ბ) მიუხედავად წინასწარი შეთანხმებისა, ბოლო მომენტში სპარსელებთან ბრძოლაზე უარი განაცხადეს კორითმა, თებემ, არკადიამ, მიკენმა და რამდენიმე სხვა პოლისმა;

გ) ქსერქსემ ბერძენთა წინააღმდეგ იქამდე არნახული რაოდენობის ლაშქარი შეკრიბა;

დ) მიუხედავად წინასწარი დაპირებისა, ბრძოლაში მხოლოდ სპარტელთა 300 კაციანი რაზმი ჩაება.

32. ვინ ხელმძღვანელობდა სპარტელთა მცირერიცხოვან რაზმს თერმოპილეს ბრძოლაში?

ა) მეფე ლეონიდასი;

ბ) მეფე მენელაოსი;

გ) დიენეკესი;

დ) ევრიბიადე.

33. როდის მოხდა თერმოპილეს ბრძოლა?

ა) ძვ. წ. 480 წელს;

ბ) ძვ. წ. 490 წელს;

გ) ძვ. წ. 479 წელს;

დ) ძვ. წ. 499 წელს.

34. რა შედეგით დასრულდა თერმოპილეს ბრძოლა?

ა) ბერძნებმა სპარტელთა თავგანწირვით შეძლეს თერმოპილეს კარის საიმედოდ დაცვა, რამაც სპარსელები აიძულა, უკან გაბრუნებულიყვნენ და შეტევის მიმართულება შეეცვალათ;

ბ) სპარსელებმა მარტივად დაძლიეს მცირერიცხოვანი ბერძნული ჯარის დამარცხება და ათენისაკენ დაიძრნენ;

გ) ბრძოლაში სპარსელებმა რამდენიმე დღით შეაფერხეს მოწინააღმდეგის წინსვლა და თავის მეთაურთან ერთად გმირულად დაიღუპნენ;

დ) თერმოპილეს ბრძოლაში სპარსელთა დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ ქსერქსემ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე და უკან გაბრუნდა.

35. რომელია მართებული მსჯელობა ბერძენ-სპარსელთა ომში მოვლენათა განვითარების შესახებ თერმოპილეს ბრძოლის შემდეგ?

ა) თერმოპილეს ბრძოლაში დაკარგული რამდენიმე დღე გადამწყვეტი აღმოჩნდა და სპარსელთა სარდლობამ ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა;

ბ) თერმოპილეს ბრძოლაში მოგებული დრო ბერძნებმა კარგად გამოიყენეს, საბრძოლო ინიციატივა ხელთ იგდეს და კონტრშეტევაზე გადავიდნენ;

გ) სპარსელებმა შუა საბერძნეთში შეაღწიეს და ათენიც აიღეს;

დ) თერმოპილეს კარიბჭესთან ბერძენთა თავგანწირვამ ქსერქსე აიძულა, შეტევის მიმა-რთულება შეეცვალა, ძირითადი დარტყმა სპარტაზე მიეტანა.

36. რა გარემოების წყალობით შეძლეს ათენელებმა საკუთარი ფლოტისა და მოსახლეობის გადარჩენა ქსერქსეს არმიის ათენში შეჭრის დროს?
ა) ათენში დარჩენილმა ნარჩევმა რაზმმა და მოხალისეებმა შეძლეს ქალაქისა და ხმელეთზე ამოტანილი ხომალდების დაცვა;
ბ) ათენის მისადგომებთან სპარსელთა ფლოტს შტორმმა მოუსწრო და მისი დიდი ნაწილი გაანადგურა;
გ) თემისტოკლეს რჩევით, ათენელებმა საკუთარი ფლოტი უსაფრთხო ადგილას გადამალეს, მოსახლეობა კი ქალაქიდან გახიზნეს;
დ) ათენის ფლოტი დაღუპვისაგან იხსნა საშველად მოსულმა კორინთისა და ევბეის საბრძოლო ხომალდებმა.

37. ვინ ხელმძღვანელობდა ბერძენთა გაერთიანებულ ფლოტს სალამინის ბრძოლაში?
ა) სპარტელი სარდალი ევრიბიადე;
ბ) ათენელი თემისტოკლე;
გ) სპარტის მეფე ლეონიდას II;
დ) ათენის პლემარხი კალიმახე.

38. რა გავლენა იქონია სალამინის ბრძოლაში მარცხმა სპარსელთა შემდგომ საბრძოლო გეგმებზე?
ა) ქსერქსემ შეძლო მოკავშირეთა შორის განხეთქილების ჩამოგდება და ათენელთა გადმობირება, რამაც ომის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა;
ბ) ქსერქსე განახევრებული არმიით უკანასკნელ შეტევაზე გადავიდა და კუნძულ პლატეასთან ბრძოლაში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა;
გ) ფლოტისა და მომარაგების გარეშე დარჩენილი ქსერქსე სპარსეთში გაბრუნდა, ადგილზე კი თავისი სარდალი მარდონიოსი დატოვა დიდი არმიით;
დ) ფლოტის გარეშე დარჩენილმა ქსერქსემ არმია უკან გააბრუნა.

39. რა ხერხს მიმართა სპარსეთის არმიის სარდალმა მარდონიოსმა სალამინის ბრძოლაში მარცხის შემდეგ უპირატესობის დასაბრუნებლად?
ა) ის შეეცადა სპარტელი სარდლების მოსყიდვას და მოკავშირეთა რიგებში განხეთქილების შეტანას;
ბ) ის შეეცადა ათენელთა გადაბირებას ქალაქის დაბრუნებისა და ზარალის ანაზღაურების სანაცვლოდ, თუმცა, ამაოდ;
გ) დროის მოგების მიზნით, ის თავს არიდებდა გენერალურ ბრძოლას და შეუჩერებლად გადაადგილდებოდა, რამაც ბერძენთა ძალები დაქსაქსა და გამოფიტა;
დ) „უკვდავთა“ დივერსიული რაზმის გამოყენებით ის შეეცადა ბერძენთა სამხედრო მეთაურების ლიკვიდაციას, რასაც მოწინააღმდეგის რიგებში დაბნეულება უნდა შეეტანა.

40. სად გაიმართა ერთ-ერთი გადამწყვეტი სახმელეთო ბრძოლა ბერძნებსა და მარდონიოსის არმიას შორის, რომელშიც სპარსელები დამარცხდნენ?
ა) ქალაქ კიტიონთან;
ბ) კუნძულ ლადაზე;
გ) კუნძულ ნაქსოსთან;
დ) პატარა ქალაქ პლატეასთან.

41. ვინ ხელმძღვანელობდა პლატეას ბრძოლაში ბერძენთა გაერთიანებულ არმიას?
ა) ათენელი სარდალი კიმონი;
ბ) სპარტელი სარდალი ბრასიდი;
გ) სპარტელი სარდალი პავსანია;
დ) ათენელი სარდალი თემისტოკლე.

42. რომელია ნაკლებად მართებული მსჯელობა ბერძენ-სპარსელთა ომის შედეგების შესახებ?
ა) ბერძენ-სპარსელთა ომის შემდეგ ათენმა მოიპოვა უპირობო ჰეგემონობა ბერძნულ პოლისებს შორის და საერთაშორისო ასპარეზზეც;
ბ) ბერძენ-სპარსელთა ომი დასრულდა სბერძნეთიდან და მცირე აზიის ბერძნული პოლისებიდან სპარსელთა განდევნით;
გ) ომში გამარჯვების შემდეგ ბერძნებმა ირწმუნეს საკუთარი ძალების და აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადავიდნენ;
დ) ომში ბერძნების გამარჯვებით დასავლეთის ცივილიზაციამ უპირატესობა წაართვა აღმოსავლეთს.

თავი IV. ათენის კავშირი - პირველი საზღვაო იმპერიის შექმნის მცდელობა.

1. როდის შეიქმნა პირველი „საზღვაო კავშირი“ ათენის მეთაურობით?
ა) ძვ.წ. 431 წელს;
ბ) ძვ.წ. 478 წელს;
გ) ძვ.წ. 550 წელს;
დ) ძვ.წ. 412 წელს;

2. რა იყო ძვ.წ. 478 წელს ათენის პირველი ”საზღვაო კავშირის“ შექმნის მთავარი მიზანი?
ა) პოლისებს შორის ვაჭრობის გაუმჯობესება;
ბ) ზღვაზე სპარტას ჰეგემონობის დამხობა;
გ) ქსერქსე I-ის არმიის საბერძნეთში მეორედ შემოჭრის შემდეგ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ძალებით გაგრძელება;
დ) ათენის, როგორც საზღვაო ჰეგემონის ძალაუფლების აღიარება და განმტკიცება.

3. რას უწოდებდნენ სხვაგვარად ათენის მეთაურობით შექმნილ „საზღვაო კავშირს“
ა) „ათენის უნიას“;
ბ) „კორინთის კავშირს“;
გ) „საზღვაო ლიგას“;
დ) „დელოსის კავშირს“.

4. რის გამო უწოდებდნენ ათენის მეთაურობით შექმნილ პოლისების საზღვაო ალიანსს „დელოსის კავშირს“?
ა) ალიანსის შტაბბინა კუნძულ დელოსზე იყო განლაგებული;
ბ) ალიანსის წევრ სახელმწიფოთა შორის დელოსს ჰყავდა ყველაზე დიდი საზღვაო ფლოტი;
გ) ალიანსის ხაზინა კუნძულ დელოსზე მდებარეობდა;
დ) „საზღვაო კავშირის“ დაფუძნება ძვ.წ. 478 წელს კუნძულ დელოსზე მოხდა.

5. რომელია ნაკლებად მართებული მსჯელობა ათენის მეთაურობით შექმნილი პირველი „საზღვაო კავშირის“ შესახებ?
ა) ალიანსს სხვაგვარად „დელოსის სიმახიასაც“ უწოდებდნენ;
ბ) ბერძნული ზღვისპირა პოლისები დაინტერესებულნი იყვნენ სპარსეთისათვის საზღვაო ჰეგემონობის ჩამორთმევით;
გ) პელოპონესის ომის დასრულების შემდეგ, ძვ.წ. 404 წელს ალიანსის ხაზინა დელოსიდან გადატანილ იქნა ათენში;
დ) „საზღვაო კავშირში“ მრავალი ზღვისპირა პოლისი გაერთიანდა.

6. სპარსეთის გარდა, რომელი სახელმწიფო წარმოადგენდა ბერძნული პოლისების ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს ზღვაზე ძვ.წ. V საუკუნის განმავლობაში?

ა) მიდია;

ბ) ფინიკია;

გ) ეგვიპტე;

დ) ლიდია.

7. სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, რა სარგებელს ნახულობდა ათენი „საზღვაო კავშირის“ არსებობით?

ა) ათენი სხვა მცირე პოლისებთან აფორმებდა სარფიან ხელშეკრულებებს, რომელიც გემების მშენებლობას და ეკიპაჟით დაკომპლექტებას ითვალისწინებდა;

ბ) მცირე პოლისები სარგებლობდნენ ათენის სამხედრო და სავაჭრო ფლოტით, რისთვისაც მნიშვნელოვან თანხას იხდიდნენ;

გ) სხვა პოლისები სოლიდურ თანხას იხდიდნენ ათენის პორტებით სარგებლობისათვის;

დ) მცირე ბერძნული პოლისები ვალდებულნი იყვნენ, ათენის ხაზინაში ყოველწლიურად შეეტანათ „კავშირის“ საწევრო გადასახადი.

8. რომელი დადასტურებული ფაქტი გამოდგება იმის სადემონსტრაციოდ, რომ „საზღვაო კავშირით“ ათენი კოლოსალურ ფინანსურ სარგებელს ღებულობდა?

ა) ათენის ზევსის ტაძარი „საზღვაო კავშირის“ ხაზინის სახსრებით აშენდა;

ბ) ათენის დიონისეს თეატრი პოლისების მიერ გადახდილი საწევრო შენატანებით აშენდა;

გ) „საზღვაო კავშირის“ სახსრებით ათენმა შექმნა იმ დროისათვის ყველაზე მრავარიცხოვანი და საუკეთესოდ აღჭურვილი დაქირავებული ჯარი;

დ) ათენის აკროპოლი და მისი გალავანი მნიშვნელოვანწილად მცირე პოლისებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული თანხებით აშენდა.

9. როდის გადავიდა „საზღვაო კავშირის“ ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენში?

ა) ძვ.წ. 431 წელს;

ბ) ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს;

გ) ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში;

დ) ძვ.წ. 454 წელს.

10. რომელია მართებული მსჯელობა ათენისა და „საზღვაო კავშირის“ სხვა პოლისებს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში?

ა) „საზღვაო კავშირი“ მცირე პოლისებს საშუალებას აძლევდა, შეექმნათ დამოუკიდებელი ფლოტი და ამავდროულად გავლენა მოეხდინათ საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე;

ბ) „საზღვაო კავშირის“ ფინანსური და სამხედრო-პოლიტიკური მართვის ბერკეტების საკუთარ ხელში კონცენტრირებით, ათენი იქცა იმპერიულ ცენტრად სხვა პოლისებთან მიმართებაში;

გ) „კავშირის“ მართვის დემოკრატიული და გამჭვირვალე სისტემა განამტკიცებდა ბერძნული პოლისების ერთიანობას მტრულ სახელმწიფოებთან დაპირისპირების დროს;

დ) „საზღვაო კავშირი“ მეტწილად ფორმალურ და არაეფექტურ ალიანსს წარმოადგენდა, გაუმართავი მმართველობის სისტემითა და კონტროლის სუსტი მექანიზმებით.

11. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ განაპირობა ის გარემოება, რომ თემისტოკლეს სამხედრო რეფორმის შემდეგ მოსახლეობის ღარიბი ფენის წარმომადგენლებზე მოთხოვნა გაიზარდა?

ა) ამიერიდან სახელმწიფო თვითონ შეუძენდა ჯარისკაცს ქვეითის ძვირადღირებულ აღჭურვილობას, რისი ყიდვის საშუალებაც ადრე ღარიბებს არ გააჩნდათ;

ბ) რეფორმის შედეგად ჯარში მოისპო წოდებრივი და ქონებრივი ცენზი - ამიერიდან ღარიბი მოქალაქეებისათვის ღია იყო კარი წარმატებული სამხედრო კარიერის შესაქმნელად;

გ) ფლოტის რეფორმირებამ და გაძლიერებამ გამოიწვია ხომალდებზე მენიჩბეების საჭიროება;
დ) თემისტოკლემ შექმნა რამდენიმე საჯარისო შენაერთი, რომლებიც ძირითადად ღარიბი, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი მოქალაქეებით კომპლექტდებოდა.

12. რას გულისხმობს ტერმინი „ისონომია“ იმ გაგებით, რასაც მას ძველი ათენელები ანიჭებდნენ?
ა) კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, კანონის უზენაესობას;
ბ) ადამიანის დაბადებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;
გ) ნებისმიერ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არჩევითობას;
დ) არისტოკრატიის მმართველობის შერეულ ფორმას, როდესაც ნებისმიერ მოქალაქეს გააჩნია გარკვეული პოლიტიკური უფლებები.

13. ვის სახელს უკავშირდება ისონომიის - კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის შემოღება ძველ ათენში?
ა) სოლონს;
ბ) თემისტოკლეს;
გ) კლისთენეს;
დ) პერიკლეს.

14. რა იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარში ათენის მოქალაქეობის მიღება ძლიერ გართულდა?
ა) ათენის მოსახლეობის რაოდენობრივმა ზრდამ ხელისუფლება აიძულა, მკაცრად შეეზღუდათ მოქალაქეობის მიღების პროცედურები;
ბ) მოქალაქეობა, საპატიო სტატუსთან და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად გულისხმობდა სოლიდურ შემოსავლებსაც;
გ) მოქალაქეთა რაოდენობის ზრდამ შეუძლებელი გახადა მათი ზოგიერთი უფლების, კონკრეტულად კი საარჩევნო უფლების რეალიზაცია;
დ) მოქალაქეობის მიღების შეზღუდვა წარმოადგენდა უცხოელთა ჭარბი შემოდინების წინააღმდეგ პრევენციულ ზომას.

15. რა შემთხვევაში ენიჭებოდა ძველი ათენის მცხოვრებს მოქალაქეობა?
ა) თუ ის 10 წლის განმავლობაში იმსახურებდა ათენის ჯარში;
ბ) თუ ათენის ტერიტორიაზე უწყვეტად ცხოვრობდა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;
გ) თუ მისი ერთ-ერთი მშობელი მაინც დაბადებით ათენის მოქალაქე იყო;
დ) თუ მისი წინაპრები ორივე მშობლის მხრიდან ათენის მოქალაქეები იყვნენ.

16. რომელი ისტორიული ფაქტის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ათენის მოქალაქეობის მიღება უკიდურესად რთული იყო?
ა) მოქალაქის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ ძვ.წ. 431 წელს ათენის არქონტები იძულებული გახდნენ, ეს შეზღუდვა გაეუქმებინათ;
ბ) მოქალაქეობის მიღება ვერ შეძლო ათენის ერთ-ერთი მმართველის - პერიკლეს ცოლ-შვილმა;
გ) ძვ.წ. 543-524 წლებში მოქალაქეობის უკანონოდ მიღების მიზნით საბუთების გაყალბების მცდელობისათვის 5000-მდე პირი იქნა სამართალში მიცემული;
დ) ძვ.წ. 436 წელს არქონტებად არჩეული ლისიმახე და მირინუნტი არც ერთი არ იყვნენ ათენის მოქალაქე.

17. რა თანამდებობა ეკავა პერიკლეს ათენში?
ა) არქონტ-სტრატეგოსის;
ბ) პირველი არქონტი-ეპინომის;
გ) სასამართლოს - დიკასტერიის წევრი;
დ) არეოპაგის წევრი.

18. რომელ ფრთას წარმოადგენდა პერიკლე ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში?
ა) რადიკალურ არისტოკრატიას;
ბ) ე.წ. „ომის პარტიას“;
გ) დემოკრატთა ფრთას;
დ) ზომიერი არისტოკრატიის ფრთას.

19. ვინ მეთაურობდა არისტოკრატთა პარტიას ათენში ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედში?
ა) მილტიადე უმცროსი;
ბ) ალკიბიადე;
გ) კლეონი;
დ) კიმონი.

20. რასთან ასოცირდება ძველი საბერძნეთის პოლიტიკურ პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული ე.წ. „ოსტრაკიზმის“ წესი?
ა) განზრახ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან;
ბ) სახალხო კრების მიერ დემოკრატიისათვის საშიში პოლიტიკოსის ქალაქიდან გაძევებასთან;
გ) ძველი ბერძნული სამართლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპთან, რომლის მიხედვითაც განზრახ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულს არ გააჩნია ხანდაზმულობა;
დ) თანამდებობის პირების წილისყრით არჩევის პროცედურასთან.

21. რომელი არ არის მართებული მსჯელობა „ოსტრაკიზმის“ წესის შესახებ?
ა) „ოსტრაკიზმის“ დროს გაძევებულ პირს არ ერთმეოდა მოქალაქეობა;
ბ) „ოსტრაკიზმი“ ,როგორც წესი, არ იყო დაკავშირებული პირის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან;
გ) პირის ქალაქიდან გაძევების შემთხვევაში ხდებოდა მისი პირადი ქონების კონფისკაცია;
დ) სახალხო კრების გადაწყვეტილებით, პირი ქალაქიდან ძევდებოდა 10 წლის ვადით.

22. ბერძენ-სპარსელთა ომის მონაწილე რომელ ათენელ სარდალს მიესაჯა ქალაქიდან გაძევება „ოსტრაკიზმის“ წესით?
ა) კალიმახეს;
ბ) არისტიდეს;
გ) თემისტოკლეს;
დ) მილტიადე უმცროსს.

23. ჩამოთვლილ ათენელ პოლიტიკოსთაგან რომლის წინააღმდეგ არ გამოუყენებია სახალხო კრებას ქალაქიდან გაძევება „ოსტრაკიზმის“ წესით?
ა) კიმონის;
ბ) თუკიდიდეს;
გ) პერიკლეს;
დ) არისტომენეს.

24. სხვა ფაქტორებთან ერთად, რამ განაპირობა ათენში თანამდებობის პირთა დებატებისა და კენჭისყრით არჩევის პროცედურის გადახედვა?
ა) სახალხო კრების მონაწილეთა უმრავლესობა პოლიტიკურ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი იყო, რაც განაპირობებდა მცდარ არჩევანს;
ბ) გახშირდა საარჩევნო კორუფციისა და მოსყიდვის ფაქტები;
გ) არჩევნების არსებული წესი მეტად სუბიექტური იყო და ხშირად მისი შედეგები არ ასახავდა სახელმწიფოს საუკეთესო ინტერესებს;
დ) არსებული პროცედურები დიდ დროს მოითხოვდა და მეტწილად არაეფექტური იყო.

25. რა პროცედურით ჩანაცვლდა ძველ ათენში თანამდებობის პირთა დებატებისა და კენჭისყრის გზით არჩევის წესი?
ა) საერთო სახალხო არჩევნებით;
ბ) წილისყრით;
გ) თანამდებობის პირთა არქონტ-ეპონიმის მიერ დანიშვნით;
დ) როტაციის, ანუ პრეტენდენტთა მიერ თანამდებობის მორიგეობით დაკავების პრინციპით.

26. რომელ თანამდებობაზე არ ვრცელდებოდა წილისყრით შერჩევის პრინციპი ძველ ათენში?
ა) რელიგიური კულტის საქმეებში არქონტის თანამდებობაზე;
ბ) „ბულეს“ წევრებზე;
გ) პირველი არქონტის;
დ) სარდლის - არქონტ-სტრატეგოსის თანამდებობაზე.

27. წილისყრით არჩევის პროცედურასთან ერთად, კიდევ რომელი შეზღუდვა არ ვრცელდებოდა ათენის არქონტ-სტრატეგოსის თანამდებობაზე?
ა) ქონებრივი ცენზი;
ბ) ერთწლიანი სამსახურის ვადა;
გ) წოდებრივი და ასაკობრივი ცენზი;
დ) ათენის მოქალაქეობის ქონის აუცილებელი პირობა.

28. რა ეწოდებოდა „დელოსის კავშირის“ საპირწონედ შექმნილ პოლისების გაერთიანებას, რომელსაც სპარტა ჩაუდგა სათავეში?
ა) „კორინთის კავშირი“;
ბ) „პელოპონესის კავშირი“;
გ) „ბეოტიის კავშირი“;
დ) „დორიელთა კავშირი“.

29. რა საერთო დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდათ „პელოპონესის კავშირში“ შემავალ პოლისებს?
ა) მათ უმრავლესობაში მონარქიული მმართველობა არსებობდა;
ბ) ამ პოლისების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ძველი იონელების შთამომავლები იყვნენ;
გ) თითქმის ყველა პოლისს საკუთარი ფლოტი გააჩნდა;
დ) ყველა მათგანი ეკონომიკურად განვითარებული, ძლიერი პოლისი იყო.

30. რომელია მართებული მსჯელობა „პელოპონესის კავშირის“ შემადგენლობის შესახებ?
ა) პელოპონესის ნახევრკუნძულის გარეთ არსებულმა დიდმა პოლისებმა უარი განაცხადეს კავშირის წევრობაზე ათენის შიშით;
ბ) კავშირს თავიდანვე გამოეთიშნენ ისეთი დიდი სავაჭრო ცენტრები, როგორებიცაა თებე, სიკიონი და კორინთოსი;
გ) ალიანსში პელოპონესის თითქმის ყველა პოლისი შედიოდა არგოსის გარდა;
დ) რამდენიმე პოლისი (მაგალითად, სამოსი, ლესბოსი და ნაქსოსი) ერთდროულად იყვნენ „პელოპონესის კავშირისა“ და „დელოსის კავშირის“ წევრები.

31. ჩამოთვლილთაგან, რომელი პოლისები შედიოდნენ „პელოპონესის კავშირის“ შემადგენლობაში?
ა) როდოსი, ლესბოსი, ერეთრია;
ბ) კერკირა, ქიოსი, ლოკრიდა;
გ) კორინთოსი, მეგარა, თებე;
დ) იქსოსი, კლაზომენი, ფოკეა.

32. რომელი ისტორიული მოვლენის დროს გამოჩნდა პირველი ნიშნები იმისა, რომ ათენსა და სპარტას შორის დაპირისპირება მალე ფართომასშტაბიან ომში გადაიზრდებოდა?

ა) ძვ.წ. 475 წელს სპარტელებმა უარი განაცხადეს ათენში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე;

ბ) სპარტა შეეცადა, ხელი შეეშალა სპარსელთა შემოსევის შედეგად დანგრეული ათენის გალავნის აღდგენისათვის;

გ) სპარტა ყველანაირად ცდილობდა, სპარსელები წაექეზებინა ათენის წინააღმდეგ ახალ სამხედრო კამპანიაზე, რაც დაგვირგვინდა ძვ.წ. 473 წელს სარდალ მარდონიოსის უშედეგეო ლაშქრობით;

დ) „საზღვაო კავშირის“ სალაროს დელოსიდა ათენში გადმოტანის შემდეგ სპარტელებმა აამხედრეს ათენის მოკავშირეები, რამაც კინაღამ მოკავშირეთა შორის დიდი ომი გამოიწვია.

33. როდის მოხდა სპარტაში ჰელოტების აჯანყება, რაც შემდგომში ათენსა და სპარტას შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა?

ა) ძვ.წ. 431 წელს;

ბ) ძვ.წ. 475 წელს;

გ) ძვ.წ. 465 წელს;

დ) ძვ.წ. 461 წელს.

34. რა მიზეზით უთხრა სპარტას ხელისუფლებამ მათ მიერვე მოწვეულ ათენელებს უარი, მონაწილეობა მიეღოთ ჰელოტების აჯანყების ჩახშობის ოპერაციაში?

ა) სპარტელებს სურდათ, საჯაროდ დაემცირებინათ ათენელები;

ბ) აჯანყება ათენელთა ადგილზე მისვლამდე იქნა ლიკვიდირებული;

გ) სპარტელები მეტისმეტად გამომწვევად იქცეოდნენ და სურდათ, თავად ესარდლათ გაერთიანებული ჯარისათვის;

დ) სპარტელები შიშობდენენ, რომ ათენელთა არმია ამბოხებულების მხარეს დაიჭერდა.

35. რა საპასუხო პოლიტიკური აქტი განახორციელა ათენმა სპარტას საწინააღმდეგოდ ჰელოტების აჯანყების დროს განცდილი დამცირების შემდგომ?

ა) ომი გამოუცხადა სპარტას და მის მოკავშირეებს;

ბ) მის კონტროლქვეშ არსებულ ყურეებში აღარ უშვებდა სპარტელთა ხომალდებს;

გ) სპარტელთაგან ლტოლვილი ჰელოტები ჩაასახლა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქალაქ ნავპაქტოსში;

დ) ძვ.წ. 465 წლის ბოლოს თავს დაესხა სპარტას მოკავშირე კორინთოსს.

36. რა შედეგით დასრულდა ძვ.წ. 465 წელს ჰელოტთა აჯანყებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობა სპარტასა და ათენს შორის?

ა) ათენი გამოვიდა სპარტასთან სამოკავშირეო შეთანხმებიდან და ალიანსი შეკრა სპარტას ოდინდელ მტერ არგოსთან;

ბ) ძვ.წ. 461 წელს ათენმა ომი გამოუცხადა სპარტას მოკავშირე კორინთოსს;

გ) ძვ.წ. 460 წელს გაფორმდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება სპარტასა და ათენს შორის;

დ) სპარტამ ცალმხრივად დატოვა სამოკავშირეო ხელშეკრულება ათენთან და გაწყვიტა მასთან ყოველგვარი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები.

37. სხვა ფაქტორებთან ერთად, რითი იყო გამოწვეული ათენის გადაწყვეტილება, ძვ.წ. 459 წელს სამოკავშირეო ხელშეკრულება გაეფორმებინა კორინთოსთან საომარ მდგომარეობაში მყოფ მეგარასთან?

ა) კორინთოსი ათენის დიდ ხნის მოწინააღმდეგე და კონკურენტი იყო ხმელთაშუა ზღვაში;

ბ) მეგარა, ისევე, როგორც კორინთოსი, „პელოპონესის კავშირის“ წევრი იყო და ეს ნაბიჯი სპარტას დასუსტებას ისახავდა მიზნად;

გ) მეგარასთან სამოკავშირეო შეთანხმება უზრუნველყოფდა ათენის ხომალდების უსაფრთხო ნავიგაციას ეგეოსის ზღვაში;
დ) მეგარა ათენის უშუალო მეზობელი იყო და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა განამტკიცებდა ათენის უსაფრთხოებას ხმელეთზე.

38. რა შედეგები მოჰყვა ძვ.წ. 459 წელს ათენის მიერ მეგარასთან გაფორმებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელიც სპარტას წინააღმდეგ იყო მიმართული?
ა) ომის დაწყება გარდაუვალი ჩანდა, თუმცა, პერიკლეს დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, ძვ. წ. 442 წელს მხარეთა შორის გაფორმდა ოცდაათწლიანი ზავი;
ბ) საომარი მდგომარეობის განმუხტვას ხელი შეუწყო ძვ.წ. 445 წელს სპარსელთა ახალი ექსპედიციის გამოჩენამ ეგეოსის ზღვაში, რამაც დაპირისპირებული მხარეები კვლავ გააერთიანა;
გ) დაიწყო ე.წ. „პელოპონესის მცირე ომი“, რამაც ატიკის მიღმა კონტინენტური სამფლობელოების (მათ შორის, მეგარას და ბეოტიის) სპარტელთა გავლენის ქვეშ მოქცევა გამოიწვია;
დ) სპარტასა და ათენს შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, თუმცა, შეიარაღებულ შეტაკებამდე საქმე ამჯერად არ მისულა.

39. როდის გაფორმდა ოცდაათწლიანი ზავი სპარტასა და ათენს შორის?
ა) ძვ.წ. 446 წელს;
ბ) ძვ.წ. 442 წელს;
გ) ძვ.წ. 431 წელს;
დ) ძვ.წ. 444 წელს.

40. რომელი „მოკავშირე“ პოლისი აუჯანყდა ათენს ძვ.წ. 440 წელს?
ა) ლესბოსი;
ბ) პატმოსი;
გ) სამოსი;
დ) კერკირა.

41. სხვა ფაქტორებთან ერთად, რა განაპირობებდა სამოსის ძვ.წ. 440 წლის აჯანყების სახიფათო ხასიათს ათენისათვის?
ა) სპარტის აქტიური მონაწილეობა კონფლიქტში;
ბ) ათენში მიმდინარე პოლიტიკური არეულობა არისტოკრატებსა და დემოკრატებს შორის;
გ) სამოსელთათვის სპარსელების მიერ გაწეული დახმარება;
დ) სამოსის ძლიერი ფლოტი და დიდი ფინანსური რესურსები.

თავი V. პელოპონესის ომი

1. რომელ წლებში მიმდინარეობდა პელოპონესის ომი?
ა) ძვ. წ. 439-421 წლებში;
ბ) ძვ. წ. 444-414 წლებში;
გ) ძვ.წ. 431-404 წლებში;
დ) ძვ. წ. 500-449 წლებში.

2. რა განსაკუთრებული ნიშნით იყო გამორჩეული მსოფლიო ისტორიაში პელოპონესის ომი?
ა) ამ ომში მეომართა მანამდე არნახული რაოდენობა - 2 მილიონი ჯარისკაცი მონაწილეობდა;
ბ) ის იყო ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი;
გ) მასში პირველად იქნა გამოყენებული იარაღის ახალი სახეობები, მათ შორის ე.წ. „ბერძნული ცეცხლი“;
დ) მასში ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა მონაწილეობდა.

3. რა გახდა პელოპონესის ომის დაწყების ერთ-ერთი ძირითადი საბაბი?
ა) სპარტელთა მიერ ათენის კუთვნილი სავაჭრო ხომალდის ჩაძირვა;
ბ) დელოსში განთავსებული „საზღვაო კავშირის“ სალაროს ათენში გადატანა;
გ) ათენის მიერ სპარტის წინააღმდეგ აჯანყებულ ჰელოტთა დახმარება;
დ) ათენის ჩარევა ბერძნული პოლისების - კორკირასა და კორინთოსის კონფლიქტში.

4. ათენის მიერ კორკირასა და კორინთოსის კონფლიქტში ჩარევასთან ერთად, რა იქცა პელოპონესის ომის დაწყების ერთ-ერთ საბაბად?
ა) ათენელთა ფლოტის მიერ პელოპონესის ნახევარკუნძულის ფაქტობრივი ბლოკირება;
ბ) სპარატას მიერ „დელოსის კავშირის“ წევრი პოლისების - სამოსისა და ევბეას წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების წარმოება;
გ) ათენის მიერ პოტიდეასა და მეგარას მიმართ სანქციების გამოყენება, რომელიც კორინთოსის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული;
დ) სპარტელთა მიერ მცირე აზიის ბერძნულ კოლონიებში დესანტის გადასხმა მათი დამორჩილების მიზნით.

5. რა სახელწოდებით არის ცნობილი პელოპონესის ომის საწყისი ეტაპი, რომელიც ძვ.წ. 431- 421 წლებში მიმდინარეობდა?
ა) „არქიდამოსის ომის“;
ბ) „პელოპონესის მცირე ომის“;
გ) „მიტილენას ომის“;
დ) „მეგარას ომის“.

6. რასთან ან ვისთან ასოცირდება პელოპონესის ომის საწყისი ეტაპის - „არქიდამოსის ომის“ სახელწოდება?
ა) სპარტის მეფის სახელთან;
ბ) „პელოპონესის კავშირის“ კორინთელი მხედართმთავრის სახელთან;
გ) გენერალური ბრძოლის გეოგრაფიულ სახელწოდებასთან;
დ) ათენის ფლოტის მეთაურის სახელთან.

7. რამ გამოიწვია ათენის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის (30 000 ადამიანის) დაღუპვა ძვ.წ. 430 წელს?
ა) მიწისძვრამ;
ბ) სპარტელთა ალყის შედეგად გამოწვეულმა შიმშილმა;
გ) შავი ჭირის ეპიდემიამ;
დ) ვულკანის ამოფრქვევამ.

8. გარდა მსხვერპლისა, რა შედეგები მოჰყვა ათენში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელებას ძვ.წ. 430 წელს?
ა) დაპირისპირებული მხარეები ზავზე შეთანხმდენ;
ბ) ათენელები დანებდნენ სპარტას არმიას;
გ) ეპიდემიამ სპარტელებიც შეაშინა და ისინი გაეცალნენ ათენს.
დ) განწირული ათენელები შეტევაზე გადავიდნენ და უკუაგდეს სპარტელთა ჯარი.

9. რა გარემოებებამ იმსხვერპლა ათენელი სტრატეგოსი პერიკლე და მისი ვაჟები?
ა) ისინი ბრძოლის ველზე დაეცნენ ათენის დაცვის დროს;
ბ) ისინი სპარტელთა შეგზავნილმა დივერსანტმა მოწამლა;
გ) ათენში გაჩენილმა შავი ჭირის ეპიდემიამ;
დ) ისინი კლეონის მიერ მოწყობილ შეიარაღებულ ამბოხებას ემსხვერპლნენ.